# ქართული ენა

# GÜRCÜCE DERSİ

**ÖĞRETMEN KİTABI**

5

DEVLET KİTAPLARI
İKİNCİ BASKI
……, 2019

MİLLÎ EĞİTİM BAKANLIĞI YAYINLARI .....: 6257
YARDIMCI VE KAYNAK KİTAPLAR DİZİSİ.....: 672

ქართული ენის მეხუთე კლასის სახელმძღვანელო განკუთვნილია თურქეთის ზოგადსაგანმანათლებლო და იმამ ჰათიბის სასწავლებლების მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს თან ახლავს მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი და კომპაქტ დისკი.

სახელმძღვანელო შეიქმნა „ქართული კულტურის სახლის“ მხარდაჭერით.

Her hakkı saklıdır ve Millî Eğitim Bakanlığına aittir. Kitabın metin, soru ve şekilleri kısmen de olsa hiçbir surette alınıp yayımlanamaz.

**ავტორი:** მაია მელიქიძე

**რედაქტორი:** დალი გვენცაძე

**პროექტის კოორდინატორი და კონსულტანტი:** თემურ ტარტარაშვილი

**მხატვარი:** მაკა ჯებირაშვილი

**დამკაბადონებელი:** თეონა კერესელიძე

Bu ders kitabı, Gücü Kültür Evi'nin (İstanbul) desteği ile hazırlanmıştır.

**Yazar:** Maya Melikidze

**Editör:** Dali Gventsadze

**Program Koordinatörü ve Tercüme:** Temur Tartaraşvili

**Resimleyen:** Maka Cebisaşvili

**Görsel Tasarım Uzmanı:** Teona Kereselidze

ISBN 978-975-11-4332-7

Millî Eğitim Bakanlığı, Talim ve Terbiye Kurulu Başkanlığının 26.07.2016 gün ve 7920668 sayılı yazısı ile eğitim aracı olarak kabul edilmiş, Destek Hizmetleri Genel Müdürlüğünün ..... gün ve ..... sayılı yazısı ile ikinci defa .... adet basılmıştır.

# İSTİKLÂL MARŞI

Korkma, sönmez bu şafaklarda yüzen al sancak;
Sönmeden yurdumun üstünde tüten en son ocak.
O benim milletimin yıldızıdır, parlayacak;
O benimdir, o benim milletimindir ancak.

Çatma, kurban olayım, çehreni ey nazlı hilâl!
Kahraman ırkıma bir gül! Ne bu şiddet, bu celâl?
Sana olmaz dökülen kanlarımız sonra helâl.
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl.

Ben ezelden beridir hür yaşadım, hür yaşarım.
Hangi çılgın bana zincir vuracakmış? Şaşarım!
Kükremiş sel gibiyim, bendimi çiğner, aşarım.
Yırtarım dağları, enginlere sığmam, taşarım.

Garbın âfâkını sarmışsa çelik zırhlı duvar,
Benim iman dolu göğsüm gibi serhaddim var.
Ulusun, korkma! Nasıl böyle bir imanı boğar,
Medeniyyet dediğin tek dişi kalmış canavar?

Arkadaş, yurduma alçakları uğratma sakın;
Siper et gövdeni, dursun bu hayâsızca akın.
Doğacaktır sana va'dettiği günler Hakk'ın;
Kim bilir, belki yarın, belki yarından da yakın.

Bastığın yerleri toprak diyerek geçme, tanı:
Düşün altındaki binlerce kefensiz yatanı.
Sen şehit oğlusun, incitme, yazıktır, atanı:
Verme, dünyaları alsan da bu cennet vatanı.

Kim bu cennet vatanın uğruna olmaz ki feda?
Şüheda fışkıracak toprağı sıksan, şüheda!
Cânı, cânânı, bütün varımı alsın da Huda,
Etmesin tek vatanımdan beni dünyada cüda.

Ruhumun senden İlâhî, şudur ancak emeli:
Değmesin mabedimin göğsüne nâmahrem eli.
Bu ezanlar -ki şehadetleri dinin temeli-
Ebedî yurdumun üstünde benim inlemeli.

O zaman vecd ile bin secde eder -varsa- taşım,
Her cerîhamdan İlâhî, boşanıp kanlı yaşım,
Fışkırır ruh-ı mücerret gibi yerden na'şım;
O zaman yükselerek arşa değer belki başım.

Dalgalan sen de şafaklar gibi ey şanlı hilâl!
Olsun artık dökülen kanlarımın hepsi helâl.
Ebediyyen sana yok, ırkıma yok izmihlâl;
Hakkıdır hür yaşamış bayrağımın hürriyyet;
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl!

**Mehmet Âkif Ersoy**

GENÇLİĞE HİTABE

Ey Türk gençliği! Birinci vazifen, Türk istiklâlini, Türk Cumhuriyetini, ilelebet muhafaza ve müdafaa etmektir.

Mevcudiyetinin ve istikbalinin yegâne temeli budur. Bu temel, senin en kıymetli hazinendir. İstikbalde dahi, seni bu hazineden mahrum etmek isteyecek dâhilî ve hâricî bedhahların olacaktır. Bir gün, istiklâl ve cumhuriyeti müdafaa mecburiyetine düşersen, vazifeye atılmak için, içinde bulunacağın vaziyetin imkân ve şeraitini düşünmeyeceksin! Bu imkân ve şerait, çok namüsait bir mahiyette tezahür edebilir. İstiklâl ve cumhuriyetine kastedecek düşmanlar, bütün dünyada emsali görülmemiş bir galibiyetin mümessili olabilirler. Cebren ve hile ile aziz vatanın bütün kaleleri zapt edilmiş, bütün tersanelerine girilmiş, bütün orduları dağıtılmış ve memleketin her köşesi bilfiil işgal edilmiş olabilir. Bütün bu şeraitten daha elîm ve daha vahim olmak üzere, memleketin dâhilinde iktidara sahip olanlar gaflet ve dalâlet ve hattâ hıyanet içinde bulunabilirler. Hattâ bu iktidar sahipleri şahsî menfaatlerini, müstevlîlerin siyasî emelleriyle tevhit edebilirler. Millet, fakr u zaruret içinde harap ve bîtap düşmüş olabilir.

Ey Türk istikbalinin evlâdı! İşte, bu ahval ve şerait içinde dahi vazifen, Türk istiklâl ve cumhuriyetini kurtarmaktır. Muhtaç olduğun kudret, damarlarındaki asil kanda mevcuttur.

Mustafa Kemal Atatürk



MUSTAFA KEMAL ATATÜRK

# სარჩევი


| | |
|---|---|
| შესავალი | 7 |
| სახელმძღვანელოს კომპონენტების ზოგადი დახასიათება | 9 |
| მეთოდიკური რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის | 16 |
| თემატური ერთეულების მიზნებისა და შინაარსის რუკა | 26 |
| ცალკეული თემის ანალიზი | 29 |
| **თემა 1 ანბანი** | **29** |
| **თემა 2 გავიცნოთ** | **41** |
| **თემა 3 ჩემი სახლი** | **52** |
| **თემა 4 სკოლაში** | **58** |
| **თემა 5 ქალაქში** | **66** |
| დამატებითი რესურსები და სახალისო მინიპროექტები | 73 |
| მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები | 76 |
| ცალკეულ სავარჯიშოთა პასუხები | 83 |
| მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფციები | 92 |

# შესავალი

ქართული ენის სახელმძღვანელო განკუთვნილია თურქეთის ზოგადსაგანმანათლებლო და იმამ ჰათიბის სასწავლებლების მეხუთე კლასების მოსწავლეებისათვის და მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ისინი იმგვარი ცოდნით, რომ შეძლონ ქართულ ენაზე კომუნიკაცია.

სახელმძღვანელო შეესაბამება ამავე კლასისათვის სპეციალურად შექმნილ საგნობრივ პროგრამას, რომელიც ეყრდნობა ევროსაბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების მიერ დადგენილ ენის ფლობის არასრულ A1 (გასაღები) დონის ძირითად მოთხოვნებს – A1.1-ს (იხ. *„უცხოური ენების ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები; შესწავლა, სწავლება, შეფასება“, უცხოური ენების დეპარტამენტი, სტრასბურგი, 2000 წ.; აგრეთვე ზაგადსაგანმანათლებლო და იმამ ჰათიბის სასწავლებლებში ქართული ენის მე-5 კლასის სასწავლო პროგრამა, თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, სწავლებისა* და *აღზრდის დეპარტამენტი, 2014 წ.*).

სახელმძღვანელო მასწავლებელსა და მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული კლასის სტანდარტით (საგნობრივი პროგრამით) განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, სათანადო ენობრივ/კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებას.

# მე-5 კლასის სახელმძღვანელოს კომპონენტები

სახელმძღვანელო შედგება ოთხი კომპონენტისაგან.

**მოსწავლის წიგნი**, რომელიც შედგება 6თემატური ერთეულისაგან. ყოველი თემატური ერთეულის ბოლოს წარმოდგენილია როგორც შესაბამისი ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციების, ისე სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარის შესამოწმებელი აქტივობები და კითხვარები.

მოსწავლის წიგნს ბოლოში ერთვის როგორც ქართულ-თურქული თემატური და ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, ისე ზმნური ლექსიკონი.

წიგნს აგრეთვე ახლავს დამატებითი საკითხავები და მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფციები.

**მოსწავლის რვეული,** რომელიც ყველა თემატური ერთეულისათვის შეიცავს დამატებით სავარჯიშოებს, რაც ხელს უწობს მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი მასალის ათვისებას.

**აუდიო კომპაქტ-დისკი,** რომელიც შეიცავს როგორც კონკრეტული მოსასმენი ტექსტების, ისე ცალკეული სიმღერების აუდიოჩანაწერებს.

დისკში მრავლად არის წარმოდგენილი საანბანე პერიოდისათვის საჭირო მასალაც.

**მასწავლებლის წიგნი,** რომელშიც მოცემულია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო რეკომენდაციები, მითითებები, რჩევები და ა.შ.

# კომპონენტების ზოგადი დახასიათება

## 1. მოსწავლის წიგნი

<u>სტრუქტურა და შინაარსი</u>

მოსწავლის წიგნი 5 თემატური ერთეულისაგან შედგება. ესენია:

1. ანბანი

2. გავიცნოთ

3. ჩემი სახლი

4. სკოლაში

5. ქალაქში

- თითოეული თემა, მოსასმენი და საკითხავი ტექსტების გარდა, მოიცავს სათანადო კომუნიკაციურ და ენობრივ სავარჯიშოებს. ყოველი თემა შედგება რამდენიმე ქვეთემისაგან, რომლებსაც საერთო შინაარსობრივი და ენობრივ-საკომუნიკაციო მიზნები გააჩნია.

- თემის დასაწყისში (პირველ გვერდზე) გამოტანილია თემაში გასავლელი ახალი შინაარსისა და ენობრივი მასალის შემცველი სურათები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეებს, გაიგონ, რას შეისწავლიან ისინი მოცემულ თემატურ ერთეულში.

  თემაში შემოტანილ ახალ ენობრივ მასალას, საჭიროებისამებრ, იქვე ახლავს სხვადასხვა ტიპის ენობრივი თვალსაჩინოება – გრამატიკული ფორმულები და კონკრეტული ენობრივი კონსტრუქციები, რომელთა დანიშნულებაც არის საკომუნიკაციო სიტუაციებში მათი ფუნქციური გამოყენება; წარმოდგენილია ცალკეულ ზმნათა უღლების ნიმუშები; საორიენტაციო შეკითხვები შესაბამისი პასუხებით და ა.შ.

- უკეთ გასააზრებლად ახალ ენობრივ მასალას წიგნშივე ახლავს გარკვეული რაოდენობის შესაბამისი სავარჯიშოები (დამატებითი ვარჯიშისათვის კი აქტივობათა ძირითადი პაკეტი მოცემულია სამუშაო რვეულში).

  შეძენილი ენობრივი ცოდნის განსამტკიცებლად წიგნი ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩაბმას ზეპირ ინტერაქციაში, რაც გულისხმობს შესატყვისი საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნას, დიალოგების გათამაშებას, საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებასა და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას. შესაბამისად, წიგნში მოცემულია მთელი რიგი კომუნიკაციური სავარჯიშოები, რომელთა მიზანია სამეტყველო აქტების განხორციელება. ეს სავარჯიშოები მთლიანად არის აგებული იმ ლექსიკური და გრამატიკული ფორმებითა თუ ენობრივი კონსტრუქციებით, რომლებიც მნიშვნელოვანია მოცემულ საკომუნიკაციო სიტუაციებში.

  რაც შეეხება თავად საკომუნიკაციო სიტუაციებს, მოცემული ტექსტები (მათ შორის დიალოგებიც), ძირითადად, ხელოვნურადაა შექმნილი, რაც საშუალებას გვაძლევს მიზნობრივად დავუქვემდებაროთ ტექსტი ენობრივ და კომუნიკაციურ მიზნებს და, შესაბამისად, გადავათამაშოთ ის ენობრივი თუ გრამატიკული ფორმები, რომლებიც ამ კონკრეტული თემის პრიორიტეტს წარმოადგენს.

- ყოველი თემის ბოლოს წარმოდგენილია თემის ფარგლებში შეძენილი ენობრივი და კომუნიკაციური უნარების შესამოწმებელი შემაჯამებელი დავალებები და კითხვარები. თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, შეამოწმონ საკუთარი ცოდნა, საკომუნიკაციო უნარები და იქვე განსაზღვრონ, რამდენად შეუძლიათ მათ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვა და უკეთესი შედეგების მიღწევაში ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა. მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით, ცოდნის შესამოწმებელი დავალებები წიგნში მოცემულია ქართულ ენაზე. რაც შეეხება სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვებას, ის თურქულ ენაზე მიმდინარეობს, რათა ენობრივმა ბარიერმა ხელი არ შეუშალოს მოსწავლეს, უკეთ გაიგოს და გაიაზროს იქ მოცემული ინფორმაციები.




წიგნს ბოლოში ახლავს როგორც ქართულ-თურქული თემატური და ძირითადი ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, ისე ზმნური ლექსიკონი და მოსასმენი დიალოგების ტრანსკრიფციები.

<u>ლექსიკონების შედგენის პრინციპები:</u>

- **თემატურ ლექსიკონში** სახელები წარმოდგენილია მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმებით. თუმცა, ქართული ენისათვის დამახასიათებელი სახელის ფუძის რედუცირების გათვალისწინებით, იქვე ფრჩხილებშია მითითებული მოცემული ლექსიკური ერთეულის ნათესაობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ფორმებიც. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

| **ადამიანები / ოჯახი / ნათესავები** | |
|---|---|
| **ბაბუა** (ბაბუ-ის; ბაბუ-ები) | dede |
| **ბავშვი** (ბავშვ-ის; ბავშვ-ები) | çocuk |
| **ბებია** (ბები-ის; ბები-ები) | büyükanne |
| **ბიჭი** (ბიჭ-ის; ბიჭ-ები) | oğlan |

**ზმნურ ლექსიკონში** ზმნები დალაგებულია არა მორფოლოგიური ტიპის, არამედ სინტაქსური ყალიბის მიხედვით (ამოვდივართ სუბიექტის ბრუნვიდან). ამგვარი პრინციპით დალაგებული ფორმებით მოსწავლეს გაუადვილდება სინტაქსური მოდელის სწორად აგება.

შესაბამისად, გამოყოფილია ზმნის ორი ძირითადი ჯგუფი, რომელთაც აქვთ:

1. სახელობითში მდგარი სუბიექტი (**ვ**ხატავ (მე – ბიჭი მას); **ვ**დგავარ/**ვ**დგები (მე – ბიჭი)
2. მიცემითში მდგარი სუბიექტი (**მ**იყვარს (მე – ბიჭს ის).

ცალკეა გატანილი თავისებური ზმნები.

ლექსიკონში მოცემულია მხოლოდ ზმნის საწყისი და აწმყოს ფორმები მხოლობითი რიცხვის პირველი და მესამე პირების მითითებით, ვინაიდან ამ ეტაპზე ისწავლება სხვადასხვა ტიპის ზმნების მხოლოდ ახლანდელი დროის ფორმათა წარმოება. გამონაკლისის სახით შემოდის ყოფნა ზმნა, რომელიც მოცემულია სამივე დროში – აწმყოში, წარსულსა და მომავალში. საწყისები დალაგებულია ანბანის რიგზე. ობიექტური პირები ჩასმულია ფრჩხილებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ზმნას შეიძლება შეეწყოს და შეიძლება – არა. შესაბამისად, ზმნა შეიძლება იყოს როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ან სამპირიანი. ზმნის პირიან ფორმასთან ფრჩხილებში ჩაწერილი რიცხვი კი მიუთითებს სწორედ პირთა რაოდენობას. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

**ვინიანი ზმნები:**

| **საწყისი** | ახლანდელი დრო<br>**S** **O**<br>ის (მას) |
|---|---|
| **ბანაობა** | ვბანაობ/ბანაობს (1) |
| **გაკეთება** | ვაკეთებ/აკეთებს (2) |
| **სეირნობა** | ვსეირნობ/სეირნობს (1) |
| **გატარება** | ვატარებ/ატარებს (2) |

**მანიანი ზმნები:**

| **საწყისი** | ახლანდელი დრო<br>**S** **O**<br>მას (ის) |
|---|---|
| **სიყვარული** | მიყვარს/უყვარს (2) |
| **დაინტერესება** | მაინტერესებს/აინტერესებს (2) |
| **რქმევა** | მქვია/ჰქვია (2) |
| **ქონა** | მაქვს/აქვს (2) |

**<u>თავისებური ზმნები:</u>**

| **საწყისი** | **წარსულში**<br>**S**<br>ის | **ახლანდელი დრო**<br>**S**<br>ის | **მომავალში**<br>**S**<br>ის |
|---|---|---|---|
| **ყოფნა**<br>**წასვლა**<br>**გადასვლა**<br>**მოსვლა** | ვიყავი/იყო (ის) | ვარ/არის<br>მივდივარ/მიდის<br>გადავდივარ/<br>გადადის | ვიქნები/იქნება (ის) |

## *2. მოსწავლის რვეული*

- რვეული შეიცავს მრავალფეროვან კომუნიკაციურ და ენობრივ სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს წიგნში მოცემული მასალის ათვისება-განმტკიცებაში.

- რვეულში მოცემული მასალა მიჰყვება წიგნის თემატიკას. ერთი თემის ფარგლებში მასალა შესაბამისი ქვეთემების მიხედვითაა დალაგებული. ყოველ განშლას (ცალკეული გამონაკლისის გარდა) ახლავს რუბრიკა – **„ჩემი ლექსიკონი“**, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ მოსწავლისათვის და გულისხმობს, საჭიროებისამებრ მის გამოყენებას. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, თავად შექმნან საკუთარი ლექსიკონი კონკრეტულ საკითხთან / ტექსტთან თუ დავალებასთან მიმართებაში.



## 3. მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- შესავალი;
- სახელმძღვანელოს კომპონენტების ზოგადი დახასიათება;
- მეთოდიკური რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის;
- თემატური ერთეულების მიზნებისა და შინაარსის რუკა;
- ცალკეული თემის ანალიზი;
- დამატებითი რესურსები და სახალისო მინიპროექტები;
- მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები;
- ცალკეულ სავარჯიშოთა პასუხები;
- მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფციები;

◆ მასწავლებლის წიგნის ფუნქციაა, კონკრეტული რჩევებით, რეკომენდაციებითა და ცალკეული თემის ფარგლებში არსებული მეთოდური კომენტარებით გაუადვილოს მასწავლებლებს მუშაობა დასახული მიზნებისა თუ დასმული ამოცანების გადასაჭრელად.

◆ რჩევებისა და რეკომენდაციების გარდა, წიგნი ცალკეულ შემთხვევებში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობს აგრეთვე სწავლა/სწავლების კონკრეტულ სტრატეგიებს ამა თუ იმ საკითხის მიწოდებისა თუ ათვისების გასაიოლებლად. დეტალურად არის აღწერილი ისეთი სავარჯიშოები თუ ენობრივი საკითხებიც, რომლებიც გარკვეულ სირთულეებს შეიცავს როგორც მოსწავლისთვის, ისე მასწავლებლისთვისაც. ასევე ცალკეული საჭიროებებისათვის, დამატებითი რესურსის სახით, მასწავლებლის წიგნში ჩადებულია მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს მასწავლებელმა სწავლების პროცესში, აგრეთვე საჭირო თვალსაჩინოებები სქემებისა და ცხრილების სახით და შედარებით რთული სავარჯიშოების პასუხები.

◆ <u>რამდენი კვირა თუ საათი უნდა დაეთმოს თითოეული თემის შესწავლას?</u> საანბანე პერიოდი, რომელსაც წიგნის პირველი თემა („ანბანი“) მოიცავს, დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში (8 კვირა) გრძელდება, თუმცა, აქვე ხაზგასმით გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგადად, როგორც ცალკეული თემის, ისე კონკრეტული აქტივობის ხანგრძლივობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ: როგორია მასწავლებლის პროფესიული გამოცდილება; მოსწავლეთა მოტივაცია; მზაობა; მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესში განსახორციელებელი მიზნები და ამოცანები  და ა.შ.  მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაც.  აქედან გამომდინარე, დროის თვალსაზრისით მკაცრი შეზღუდვა არ არსებობს.

◈ მნიშვნელოვანი რეკომენდაცია: აუცილებელია, მასწავლებლის წიგნში მოცემული მითითებებისა და კონკრეტულ საკითხთან/თემასთან დაკავშირებული დამატებითი აქტივობების განხორციელება. გაკვეთილებს შორის დიდი შუალედის გამო, სამუშაო რვეულში მოცემული სავარჯიშოებიდან, შეგიძლიათ, ნაწილი სახლში სამუშაოდ მისცეთ, შესაბამისად, დაკვეთილზე დიდი დრო დაგრჩებათ გაგება-გააზრებისათვის და პრაქტიკული აქტივობებისათვის. მთავარია, რომ სახლში შესასრულებელი აქტივობები სწორად განსაზღვროთ, მაგალითად:

ა. მსგავსი სავარჯიშოების შემთხვევაში, ნაწილი შეასრულეთ კლასში, დანარჩენი მიეცით სახლში სამუშაოდ.

ბ. ერთად შეასრულეთ ნიმუში და სავარჯიშოდან ერთი-ორი მაგალითი და სავარჯიშო დაასრულებინეთ სახლში.

რაც ძალიან არსებითია, არ უნდა დაგავიწყდეთ შემდეგ გაკვეთილზე მათი შემოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანის დავიდან შესრულება კლასში.

## *3. აუდიომასალა*

- წიგნში ჩადებული მოსასმენი დავალებების ორი წყარო არსებობს. ერთია თავად მასწავლებელი, რომელიც კითხულობს წიგნში მოცემულ ტექსტს (დიალოგი იქნება ეს, კონკრეტული რეპლიკა თუ სხვა) და მეორეა მოსასმენი ტექსტების აუდიოჩანაწერები, რომლებიც წიგნში სპეციალურად არის გამოყოფილი **(Track)**.

- აუდიოჩანაწერები სხვადასხვა სახისაა. მოცემულია, როგორც წმინდა ფონეტიკური ხასიათის მქონე მასალა (მათ შორისაა ენისგასატეხებიც), ისე საკომუნიკაციო სიტუაციების შესატყვისი დიალოგები და მიზნობრივი ტექსტები კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. არის სიმღერებიც თავისი „კარაოკეებით“, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მუსიკის ფონზე თავადაც იმღეროს. აუდიოდისკში დამატებით ჩადებულია ერთი ზღაპარიც („გოგონა და სამი დათვი“), რომლის მოსმენასაც მოსწავლეები უკვე მესამე თემის დასრულების შემდეგ შეძლებენ.

# მეთოდიკური რეკომენდაციები

## კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება

### მოსმენის უნარის განვითარება:

ამ ეტაპზე მოსმენას, როგორც ენის ათვისების მთავარ არხს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების სმენით გარჩევას, რადგან ქართული ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად, მასწავლებელმა ინტენსიურად უნდა გამოიყენოს როგორც სახელმძღვანელოში მოცემული კონკრეტული ფონეტიკური სავარჯიშოები, ისე აუდიოჩანაწერები (ენის გასატეხები, ლექსები, დიალოგები და სხვა) და, საჭიროებისამებრ, მიმართოს დამატებით ვარჯიშსაც.

საწყის ეტაპზე მასწავლებელმა მოსწავლეებს არ უნდა მოსთხოვოს ტექსტის ამომწურავად გაგება. საკმარისია მხოლოდ საკომუნიკაციო სიტუაციის, ზოგადი ინფორმაციისა და ცალკეული გამოთქმების გაგება; ასევე სახელმძღვანელოში მოცემული მოსასმენი ამოცანების შესრულება.

მოსასმენი დავალების შესრულებისას მნიშვნელოვანია, რომ მოსასმენი აუდიომასალა, სულ ცოტა, ორჯერ მაინც მოვასმენინოთ, რათა მათ შეძლონ შესასრულებელი სამუშაოს კონტროლი. დავალების შესრულების შემდეგ კი მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, თავიდან მოისმინონ ტექსტი და გადაამოწმონ თავიანთი ნამუშევარი (შეავსონ, შეასწორონ, დააზუსტონ და ა.შ.).

რაც შეეხება სახელმძღვანელოში არსებულ სხვა მოსასმენ ტექსტებს, როგორც წესი, მათ ახლავს შესაბამისი ილუსტრაციები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს მოსამენი ტექსტის შინაარსის გაგებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა დავალების შესრულებამდე ჯეროვნად იმუშაოს ამ ილუსტრაციებზე.

### კითხვის სწავლება:

ვინაიდან ამ ასაკის მოსწავლეებს უკვე ათვისებული აქვთ კითხვის უნარები სწავლების ენაზე (ანუ, თურქულ ენაზე), უკვე თავისუფლად არის შესაძლებელი მათთვის კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მაინც გარკვეული დოზით უნდა მოხდეს.

სახელმძღვანელოში **საანბანე პერიოდში** კითხვა მინიმალიზირებულია და ის მოიცავს მხოლოდ წიგნში მოცემული საანბანე ტექსტების, ნაცნობი სიტყვებისა და მარტივი წინადადებების წაკითხვას. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეხუთე კლასის მოსწავლეებს უკვე ათვისებული აქვთ კითხვის უნარები, თუმცა სწავლების საწყის ეტაპზე მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წერილობითი ნიშნების გახმოვანებაზე ანუ დეკოდირებაზე სათანადო მუშაობის წარმართვა (მით უფრო, როცა საქმე ეხება ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, ფონეტიკის სწავლების ნაწილში).

აუცილებელია, რომ მასწავლებელმა იმუშაოს როგორც ხმამაღალ კითხვაზე, ისე ჩუმ კითხვაზეც. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ხმამაღალი კითხვისთვის უკვე მოსმენილი და ზეპირმეტყველებაში მეტ-ნაკლებად დამუშავებული ტექსტები წავაკითხოთ.

გთავაზობთ ხმამაღალ კითხვაზე მუშაობის სტრატეგიებს:

ა. გუნდური კითხვა – მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ხმამაღლა კითხულობენ ტექსტს რამდენჯერმე; ჯერ მასწავლებელი კითხულობს ნელა და გარკვევით და შემდეგ მთელი კლასი იმავე ტექსტს კითხულობს რამდენჯერმე;

ბ. წყვილებში კითხვა – მოსწავლეები ერთად ან რიგრიგობით კითხულობენ ტექსტს ხმამაღლა (წყვილებში მუშაობის დროს კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი დააწყვილებს ძლიერი-სუსტის პრინციპით);

გ. ინდივიდუალური კითხვა – როცა ერთი მოსწავლე კითხულობს ტექსტს თავიდან ბოლომდე; ან კითხულობს მითითებულ ადგილს. აქვე შემოდის გაგრძელებებით წაკითხვაც, როცა მასწავლებელი აწყვეტინებს მოსწავლეს კითხვას და აგრძელებინებს მეორეს.

რაც შეეხება ~~ჩუმ კითხვას~~, ეს არის წაკითხულის შინაარსის გაგების უნარი და მას საკითხავი ამოცანების შესრულებისას უნდა მივმართოთ. სახელმძღვანელო ამ კუთხით საკითხავი ტექსტის ტიპებისა და საკითხავი ამოცანების მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს მოსწავლეებს.

აქვე მასწავლებელს ვთავაზობთ ერთ-ერთ სტრატეგიას, რომლის გამოყენებაც ტექსტის დამუშავების პროცესში ხელს შეუწყობს წაკითხულის გაგების უნარის განვითარებას. ეს არის ე.წ. **ინფორმაციული ბლოკების** შექმნა (და შემდგომ მათი გამოყენება ზეპირი თუ წერითი კომუნიკაციის დროს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, წერისა და ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება). ინფორმაციული ბლოკების მიზანი არის ტექსტში არსებული ინფორმაციების კონკრეტული საკითხის/თემის მიხედვით მოძიება და ერთი ღერძის გარშემო მათი განთავსება. ასეთი ღერძების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, მოცემული ტექსტი თავისთავად რამდენ და რა ტიპის ინფორმაციას მოიცავს.

ინფორმაციული ბლოკები შეგვიძლია შევქმნათ ნებისმიერ საკითხზე, თუკი მის შესახებ მინიმუმ ორი ინფორმაცია მაინც არსებობს ტექსტში.

გთავაზობთ ნიმუშს: თემა 2, „გავიცნოთ“ (გვ. 32, №1):




შემდეგ შეგვიძლია მოსწავლეებს ასეთივე ბლოკის შექმნა მოვსთხოვოთ თემურის მეგობარზეც.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ნიმუშის სახით პირველ ეტაპზე თავად შექმნას ასეთი ბლოკი დაფაზე მოსწავლეების ჩართულობით (ის სვამს კონკრეტულ კითხვას და სთხოვს მათ, შესაბამისი ინფორმაციის ტექსტში მოძიებას). მთავარია, რომ მოსწავლეებმა კარგად დაინახონ და გაიაზრონ ამგვარ აქტივობაზე მუშაობის პრინციპი და მისი საჭიროება. ამის შემდეგ, სასურველია, მოსწავლეებმა ჯერ თავად (დამოუკიდებლად ან წყვილებში) იმუშაონ ამგვარ აქტივობებზე, ხოლო მასწავლებელი პასუხების შეჯერების პროცესში ჩაერთოს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლის აქტივობის შესრულების პროცესშიც აუცილებელია.

## წერის სწავლება:

მასწავლებელს მეხუთე კლასშივე შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს წერის სისტემური კურსი. მოსწავლეები საანბანე პერიოდში იწყებენ ასოების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების წერას. ძირითადი აქცენტი გადადის ბადიან რვეულზე (კალიგრაფიის რვეულზე). რაც შეეხება მოსწავლის რვეულში საანბანე თემაში მოცემულ ე.წ. წერით დავალებებს (მაგალითად, სიტყვაში გამოტოვებული ასოების ჩასმა, ცალკეული სიტყვის გადაწერა, წინადადებაში დაშვებული შეცდომის მოძებნა და გამოსწორება და სხვა), ისინი ემსახურება არა ასოების გამოყვანის ტექნიკის დაუფლებას, არამედ მათ იდენტიფიცირებას, ასოებისა და სიტყვების ამოცნობას, ასევე ემსახურება გარკვეულ ენობრივ მიზნებსაც – კონკრეტული ლექსიკისა თუ გრამატიკის სწავლებას.

ვინაიდან სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კითხვის უნარის გაუმჯობესება, ენობრივი მასალის დამახსოვრება და მოსწავლეთა მომზადება ტექსტების პროდუცირებისათვის, ამიტომ სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ დავალებებს, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის კითხვაც უწევთ და წერაც.

მოსწავლეთა წერის უნარის გასავითარებლად სახელმძღვანელო მასწავლებელსა და მოსწავლეებს მრავლად სთავაზობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- გამოტოვებული ადგილების შევსება (სიტყვებში - ასოების, წინადადებებში - სიტყვების, ტექსტებში - წინადადებების);
- კითხვარის, ანკეტის, გაკვეთილების ცხრილისა და ა.შ. შევსება;
- არეულად მოცემული სიტყვებით წინადადების შედგენა;
- არეულად მოცემული რეპლიკების/ფრაზების სწორად დალაგება და შემდგომ აწყობილი ტექსტის გადაწერა;
- კროსვორდის შევსება;
- კითხვარების შედგენა (მაგ.: ვის მოსწონს/არ მოსწონს კლასში ესა თუ ის საგანი, ნივთი... და ა.შ.);
- წინადადებების დასრულება სხვადასხვა გზით (მაგ.: მოცემული ვარიანტებიდან სწორი ვარიანტის შერჩევით; კონტექსტით);
- და სხვა.

## წერილობითი ტექსტის შედგენა:

მოსწავლეებს უკვე მეხუთე კლასშივე მოეთხოვებათ სტანდარტით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის შექმნა, მაგ.: პრაგმატული ხასიათის ტექსტები (გაკვეთილების ცხრილი, ანკეტა...); მცირე აღწერითი ტექსტები (მაგ., ცხოველის/ სათამაშოს/საკუთარი ოთახის აღწერა, ოჯახის წევრის/ მეგობრის/პერსონაჟის აღწერა-დახასიათება და სხვა).

## ლაპარაკი:

ზეპირმეტყველება გულისხმობს ორი ტიპის უნარ-ჩვევას: პროდუცირებას (ანუ მონოლოგურ და დიალოგურ მეტყველებას) და რეპროდუცირებას (ანუ სიტყვის, ფრაზის სათანადო გამოთქმით, ლოგიკური მახვილების დაცვითა და სათანადო ინტონაციით გამეორებას).

სწავლების პირველ ეტაპზე ძირითადი აქცენტი რეპროდუცირებასა და დაზეპირებაზე (მარტივი ფრაზების, ენისგასატეხების...) უნდა გაკეთდეს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია გამოთქმის დამუშავება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

პირველ ეტაპზე მოსწავლის ალაპარაკება გაჭირდება და მასწავლებელმა არც უნდა დაატანოს მას ძალა. სამაგიეროდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სწორი გამოთქმის ჩამოყალიბებასა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება/განმტკიცებას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მუდმივად წაახალისოს მოსწავლეები, შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით დასვან და უპასუხონ შეკითხვებს, ნიმუშების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ მარტივ ყოფით სიმულაციურ სიტუაციებში, გაითამაშონ მარტივი დიალოგები და სხვა.

სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს როგორც რეპროდუცირების უნარ-ჩვევის განვითარებას (ანუ სწორი გამოთქმის ჩამოყალიბებასა და ლექსიკური მარაგის განმტკიცება/განვითარებას), ასევე უზრუნველყოფს მოსწავლის ალაპარაკებას (მისი მონოლოგური თუ დიალოგური მეტყველების განვითარებას).

როგორც ზემოთ ითქვა, ინფორმაციული ბლოკები ასევე წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათზე დაყრდნობით სხვისი ან საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი (იხ. ქვემოთ, დამატებითი რესურსები).

პროდუცირების უნარის გასავითარებლად სახელმძღვანელო მრავლად შეიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით კითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა (მაგ., *სად დევს ჩემი ჩანთა? ვისია ეს წიგნი?* და ა.შ.);
- მარტივი ინტერაქცია ნაცნობი თემების გარშემო (მაგ.: *რომელი საათია? რა მოსწონს/არ მოსწონს?* და ა.შ.);
- ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობის მიღება (მაგ., *მინიინტერვიუების მოწყობა, გამოკითხვების ჩატარება კლასში კონკრეტულ თემაზე; კონკრეტული სიტუაციების გათამაშება*);
- სურათების, ფოტოების აღწერა;
- საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი და სხვა.

## ლინგვისტური კომპეტენციების სწავლება.

### ფონეტიკა:

ქართული ენა განსხვავდება სხვა ენებისაგან ფონემატური შედგენლობით, ფონემების პოზიციური რეალიზაციითა და შეხამების წესებით, განსხვავებულია ინტონაციაც. სახელმძღვანელო ამ კუთხით მასწავლებელსა და მოსწავლეებს ისეთი ფონოლოგიურ სავარჯიშოებს სთავაზობს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ქართულისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებზე, ბგერების იდენტიფიცირებასა და სიტყვაში მათ პოზიციაზე (სიტყვის დასაწყისშია თუ ბოლოში), ბგერების ჩანაცვლებით სიტყვების ტრანსფორმირებაზე და სხვა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ:

- <u>მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნების გაგება და მათი წარმოთქმა</u> (**თ-ტ, ქ-კ, ფ-პ, ც-წ, ჩ-ჭ**); როგორც წესი, უცხოენოვან შემსწავლელებს განსაკუთრებით უჭირთ ყრუ ფშვინვიერისა და ყრუ მკვეთრი ბგერების გარჩევა, ამიტომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება ამ ფონემებზე (**პ**ური-**ფ**ური; **პ**აპა-**ფ**აფა; **კ**არი-**ქ**არი, **ქ**უდი-**კ**უდი...).
- <u>სიტყვები მცირე განსხვავებებით</u> (ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სიტყვებზე, რომლებიც წარმოთქმის თვალსაზრისით მსგავსნი არიან, მაგრამ მათი მნიშვნელობა განსხვავებულია (**კ**უდი-**ქ**უდი; **კ**არი-**ქ**არი; **პ**ირი-**ფ**ირი; **ქ**არი-**ქ**ალი...). შესაბამისი სავარჯიშოები ნათელს ხდის სიტყვების სწორად აღქმის აუცილებლობას.
- <u>ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერები</u> (**ც, ყ, ხ, ჩ, ჭ, წ**). ასევე ხშირია მათი აღრევა ქართული ენის ათვისებისას, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათზე სათანადო მუშაობა.

- <u>თანხმოვანთა თავმოყრა</u>, რომელიც ასევე სირთულეს წარმოადგენს (ცე**ცხლ**ი, **ცხვ**ირი, **ბრდღვნ**ის...) არაქართულენოვანებისათვის.

აუდიოდისკში, რომელიც ახლავს სახელმძღვანელოს, პირდაპირ არის ჩადებული (გარდა ენისგასატეხებისა, რომლებიც კონკრეტული ასო-ბგერების შესწავლის შემდეგ მიეწოდებათ მოსწავლეებს) ისეთი მოსასმენი დავალებები, რომლებიც ემსახურება ქართული ენისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თანხმოვნებსა და თანხმოვანთკომპლექსებზე მუშაობას. ასევე ემსახურება მკვეთრი და ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების გაგებასა და მათ სწორ წარმოთქმას და ა.შ. (იხ. აუდიოდისკი, ბოლო ორი ტრეკი- 19, 20, 21). მასწავლებელს შეუძლია, ეს მასალა მთელი საანბანე პერიოდის (და არა მხოლოდ) განმავლობაში, საჭიროებისამებრ, გამოიყენოს და არაერთგზის მოასმენინოს ის მოსწავლეებს.

სახელმძღვანელო სთავაზობს მოსწავლეებს ისეთ დავალებებს, როგორებიცაა:

- მოისმინე  და გაიმეორე.
- მოისმინე, იპოვე და შემოხაზე (ასო, მარცვალი ან სიტყვა).
- შეავსე სიტყვაში გამოტოვებული ასო;
- გაასწორე არასწორად დაწერილი სიტყვები;
- შემოხაზე ნახატის მიხედვით სწორი ვარიანტი;
- იპოვე და შემოხაზე სწორი დაწერილობა;
- დაალაგე არეულად მოცემული ასო-ბგერები და შეადგინე სიტყვა;
- და ა.შ.

## <u>ლექსიკა:</u>

ლექსიკის მზამზარეული თარგმნა არ უნდა გახდეს სიტყვის (და, ზოგადად, აზრის) მნიშვნელობის მიწოდების ერთადერთი (თუნდაც, ძირითადი) საშუალება,  მნიშვნელობა არ აქვს სწავლების რომელ საფეხურზეც არ უნდა ვიმყოფებოდეთ. უფრო მეტიც, სასურველია, რომ აუცილებელი საჭიროების გარდა, მასწავლებელმა თავი აარიდოს მას. თარგმნის გარდა, არსებობს სიტყვის მნიშვნელობის მიწოდების სხვა, არათარგმნითი გზაც, რომელიც აქტიურად უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა.

სიტყვის მნიშვნელობის  არათარგმნითი გზით მიწოდება განსაკუთრებით უწყობს ხელს არა მარტო უშუალოდ სიტყვის მნიშვნელობის გააზრებას, არამედ მის დამახსოვრებასაც. გთავაზობთ ლექსიკის სწავლების სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ასევე შეუძლია გამოიყენეოს მასწავლებელმა ახალი ლექსიკური ერთეულების სწავლებისას.

◈ სასურველია, რომ ახალი ლექსიკის სწავლებისას, მასწავლებელმა ამ ეტაპზე თანმიმდევრულად განახორციელოს ეს აქტივობები:

1. მიუთითე ყოველ ახალ ლექსიკურ ერთეულზე და ასახელებს, რა არის (მაგ., ეს არის ჩიტი, ეს არის პეპელა და ა.შ.);
2. მასწავლებელი მიუთითებს, ასახელებს, რა არის და მოსწავლეები იმეორებენ.
3. შემდეგ მასწავლებელი მხოლოდ მიუთითებს და მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რა არის;
4. მასწავლებელი მხოლოდ ასახელებს და მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, რომელია;
5. მასწავლებელი მიუთითებს და ასახელებს შეცდომით, მოსწავლეებმა უნდა გაასწორონ;

6. ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით, მასწავლებელი აღწერს (როგორია? – დიდი, პატარა, მსუქანი, დაბალი ... რა ფერია?) და მოსწავლეები ასახელებენ.

ლექსიკის სწავლებისათვის სახელმძღვანელოში შეთავაზებულია აგრეთვე:

ა. სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენება;

ბ. სიტყვიერი განმარტება (ეს, ძირითადად, ეხება აფიქსალურ ნაწარმოებ სიტყვებს და არა - კომპოზიტებს, მაგალითად, *გამყიდველი: ის, ვინც ყიდის* და ა.შ.);

გ. ლექსიკის სხვადასხვა კატეგორიად დაყოფა (მაგ., გრამატიკულ კატეგორიებად: სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ ადგილს, დროს, ნიშან-თვისებას, მოქმედებას და ა.შ.; სიტყვები, რომლებიც განსხვავდებიან სულიერება/უსულოების მიხედვით და სხვა);

დ. ერთი ცნების ქვეშ გაერთიანება (მაგ., *ყვავილი, ცხოველი, სათამაშო, ხილი, ბოსტნეული* და ა.შ.);

ე. კონტექსტის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის დადგენა;

ვ. და ა.შ.

## გრამატიკა:

გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება, შესაბამისად, ის არა იზოლირებულად, არამედ კონტექსტში ისწავლება.

არ არის რეკომენდებული გრამატიკული საკითხების აღწერით-თეორიული მიწოდება, წესებისა და ტერმინების ზეპირად დასწავლა. ენობრივი ნიმუშების დამახსოვრებასთან ერთად, მოსწავლეებს გრამატიკული კონსტრუქციები, მით უფრო სწავლების საწყის ეტაპზე, ანალიზის გარეშე უნდა შევთავაზოთ. მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს კონკრეტული გრამატიკული ფორმები და კონსტრუქციები.

თუმცა, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მასწავლებელს შეუძლია, ამ შემთხვევაშიც მიმართოს სიტყვიერ ახსნასაც (ცხადია, თურქულ ენაზე) და, უფრო მეტიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პარალელების გავლება თურქულთან (უფრო კონკრეტულად ამის შესახებ გარკვეულ მითითებებსა და რჩევებს მასწავლებელს ცალკეული გრამატიკული საკითხის ანალიზისას ვთავაზობთ).

აქ ზოგადად შევნიშნავთ, რომ გრამატიკის სწავლებისას აუცილებელია:

- ახალი გრამატიკული საკითხის მიწოდებისას ადვილი და გასაგები თვალსაჩინოებების (სქემები, ცხრილები, დიაგრამები და ა.შ.) გამოყენება.
- გრამატიკული მასალის სახალისო, ადვილად გასაგებ ზეპირ თუ წერილობით საკომუნიკაციო სიტუაციებში მიწოდება.
- სხვადასხვა სირთულის მრავალფეროვანი აქტივობებისა და სავარჯიშოების შეთავაზება, რასაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი სახელმძღვანელო.
- გამეორებადი გამონათქვამების (კლიშეების, გრამატიკული ფორმულების) ხშირი გამეორება, რაც მოსწავლეს გამოუმუშავებს ალღოს გრამატიკული წესების მიმართ.

შევჩერდებით მხოლოდ იმ რამდენიმე მეთოდზე, რომელთა აქტიური გამოყენებაც საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, განსაკუთრებით, მოცემულ ეტაპზე მისაღწევი შედეგების უზრუნველსაყოფად. ესენია:

**<u>დემონსტრირების ხერხი,</u>** ანუ თვალსაჩინოებების გამოყენება.

აქ საუბარია ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენაზე, რომელიც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, საკმაოდ ეფექტურია. ამ მეთოდის გამოყენებას მასწავლებლებს განსაკუთრებით ახალი ენობრივი (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) საკითხების სწავლებისას ვურჩევთ. ამ შემთხვევაში საუბარია დამატებით პოსტერებისა და სქემების შექმნა და გამოყენება, რომელთა კონკრეტულ ნიმუშებსაც მოგაწვდით გზადაგზა, ცალკეული თემების განხილვისას.

სასწავლო მასალისა და ინფორმაციის მიწოდებისას უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ბუნება, ასაკი და მათი განსხვავებული ცოდნის დონე.

◈ ბავშვებს სწავლების პროცესს უადვილებს ისეთი სიტუაციები, როდესაც მასწავლებელი, საჭიროებისამებრ, მიმართავს მოსწავლის სწავლების ენას (თურქულს), ან იყენებს შესაფერის ჟესტიკულაციას, რეალურ საგნებს, ან კარგად შერჩეულ სურათებს; მასალის ახსნისას მინიშნებას აკეთებს სხვა ბავშვების მოქმედებაზე.

ინფორმაცია აუცილებლად უნდა მივაწოდოთ სხვადასხვა არხით — ეს იქნება ვიზუალური, სამეტყველო თუ ჟესტიკულაციური.

მასწავლებელმა რაც შეიძლება აქტიურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი:

**ვიზუალური** (საგნობრივი თვალსაჩინოებები; თემატური პოსტერები, გრამატიკული ცხრილები თუ სქემები, დაფაზე ან "ფლირჩატებზე" გაკეთებული ჩანაწერები, კომპიუტერული მასალა და ა.შ.).

◈ ენის ზოგიერთი ელემენტის სწავლება რთული არ არის, ვინაიდან ადვილია მათი დემონსტრირება რეალურ გარემოში მიმიკა-ჟესტიკულაციით, მითითებით და ა.შ., მაგალითად:

- კუთვნილების აღმნიშვნელი სიტყვები და ფრაზები (ვისია ეს? ეს ჩემია / შენია / მისია)
- თანდებულები
- ზმნისწინები
- გრძნობა/აღქმის გამომხატველი ზმნები (მიყვარს / არ მიყვარს...)
- და ა.შ.

**სმენითი** (როგორც აუდიოჩანაწერების სახით, ისე მასწავლებლის მხრიდან. *არაქართულენოვანი მასწავლებლის შემთხვევაში ჩნდება საფრთხე — დამახინჯებული ფორმებითა და არასწორი ინტონაციით მეტყველება. ასეთ დროს სასურველია, რომ მასწავლებელმა აუდიოჩანაწერების დახმარებით წინმსწრებად იმუშაოს საკუთარ მეტყველებაზე*).

**<u>კეთებით ანუ პრაქტიკით სწავლება.</u>**

კეთებით სწავლა ეხმარება მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ეს გულისხმობს როგორც როლურ და სიტუაციურ თამაშებს, ისე სხვადასხვა მინიპროექტების

განხორციელებასაც; აგრეთვე სწავლებას ბარათებითა და ა.შ. კეთებით სწავლების დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. პირველ რიგში, აქტივობის შესრულებამდე, მოსწავლეებს ზუსტად უნდა მიაწოდოს საჭირო ინსტრუქცია და დარწმუნდეს იმაში, რომ მოსწავლეებმა ზუსტად გაიგეს შესასრულებელი ამოცანის პირობა;

2. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი როლურ თუ სიტუაციურ თამაშებს (მით უფრო, მინი-პროექტების განხორციელებას) წინ უძღოდეს გავარჯიშების ფაზა. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მოსწავლეებს აქვთ სათანადო ენობრივი კომპეტენციები მათ შესასრულებლად.

3. როლური თამაშის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო თემატიკას, მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ინტერესებსა და საჭიროებებს.

<u>ენის შესასწავლად რეალური სიტუაციების გამოყენებისას</u>

- პირველ რიგში, მყარად უნდა გვახსოვდეს, რომ ენის შესწავლის მეთოდოლოგიის მიზანია კომუნიკაცია, ანუ ენის გამოყენება არა მხოლოდ საკლასო ოთახში, არამედ რეალურ სიტუაციაშიც.

- შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებითად გაიზარდოს კომუნიკაციური სიტუაციების რიცხვი, სადაც მოსწავლეს ჩართვის საშუალება მიეცემა, ეს კი თავისთავად იძლევა შესაძლებლობას, უფრო სწრაფად აითვისოს ენა.

<u>რას იძლევა ასეთი სიტუაციები?</u> - ბავშვი მოკლე საუბრების დროს აქტიურად იყენებს სოციალური და შემეცნებითი ხასიათის სტრატეგიებს — მოსწავლე კონკრეტულ კონტექსტთან მიმართებაში ირჩევს მზა ფრაზებს (კლიშეებს, ფორმულებს) და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის საკმარისად ფლობს ენას. ეს ზრდის მის მოტივაციასაც და უზრუნველყოფს შედეგსაც. ასეთი სიტუაციები იძლევა გამეორებული გამონათქვამების ხშირი გამეორების საშუალებასაც, რაც მოსწავლეს გამოუმუშავებს ალღოს გრამატიკული წესების მიმართ.

მუდმივად გამოიყენეთ კონტექსტზე დაფუძნებული აქტივობები და სიტუაციური მიგნებები, რომლებიც დაეხმარება სწავლა/სწავლების პროცესს (მაგ., *როცა ვთხოვთ მოსწავლეს, გამოვიდეს დაფასთან, ვაწვდით ცარცს. მიწოდებული ინსტრუმენტი ეხმარება მას იმის აღქმაში, თუ რა უნდა გააკეთოს. მრავალმხრივი გამეორება უზრუნველყოფს თუნდაც იმ ეტაპზე უცნობი ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული ფორმებისა თუ კონკრეტული ენობრივი კონსტრუქციების დალექვას და შემდგომ მის სწრაფად და მარტივად ათვისებას*).

შესთავაზეთ საკუთარ და სხვის ფოტოსურათებზე დაკვირვება და მათზე საუბარი.

მოაწყვეთ საკლასო ოთახის კედლებზე ნახატების/ფოტოებისა და ა.შ. გამოფენა მუდმივი გამოყენების მიზნით.

## <u>თანამშრომლობითი სწავლება.</u>

ამ მეთოდის გამოყენება მიზნად ისახავს მოსწავლეთა ერთობლივ ძალისხმევას დავალებების შესასრულებლად. თანამშრომლობითი სწავლებისას გამოიყენეთ როგორც წყვილური, ისე ჯგუფური მუშაობის ფორმები.

1. წყვილებში შეგიძლიათ წარმართოთ დიალოგები, მინიინტერვიუები; მოსწავლეები დააწყვილოთ კონკრეტული საკითხავი, წერილობითი თუ ენობრივი ამოცანების გადასაჭრელად.

**რეკომენდაცია:** სასურველია, მოსწავლეთა დაწყვილება შედარებით სუსტი მოსწავლის დახმარების მიზნითაც ხდებოდეს.

2. რაც შეეხება ჯგუფურ მუშაობას, მისი მიზანია, ჯგუფის ყველა წევრმა ერთობლივად მიაღწიოს მიზანს. ეფექტურობისთვის აუცილებელია, წინასწარ განსაზღვრეთ ჯგუფის კომპოზიცია და ისე შეადგინეთ დავალება, რომ ჯგუფის თითოეულ წევრს კონკრეტული ამოცანა ჰქონდეს შესასრულებელი.

**რეკომენდაცია:** 1. ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სწორი დაჯგუფება (არ უნდა მოხდეს ერთ ჯგუფში მხოლოდ თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების გაერთიანება. ასეთ შემთხვევაში, სუსტი ძალების მქონე მოსწავლეები დაკარგავენ ჯგუფური მუშაობის აზრსა და ინტერესს და, შესაბამისად, სწავლის მოტივაციასაც).

2. ფუნქციების გადანაწილებისას აუცილებლად გაითვალისწინეთ მოსწავლეთა შესაძლებლობები.

3. აუცილებელია, მუდმივად აკონტროლეთ ჯგუფის მუშაობა.

## ინდივიდუალური მიდგომები

არის სიტუაციები, როდესაც მიზანშეწონილი არ არის ზოგიერთი მოსწავლის უშუალოდ ჩართვა ამა თუ იმ აქტივობაში, ან მათთვის შეკითხვების დასმა. ცოდნა იმისა, რა სიტუაციაში როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მასწავლებელმა, ეს თავად მან განსაზღვრეთ მოსწავლეთა დინამიკაში დაკვირვების საფუძველზე.

**ასეთ შემთხვევაში** უფრო გამართლებულია, რომ მასწავლებელმა სთხოვოს უფრო ძლიერ მოსწავლეს, გაუძღვეს კონკრეტულ აქტივობას და, შესაბამისად, სუსტს დააკისროს მეორეხარისხოვანი როლი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ამ უკანასკნელის უფრო უმტკივნეულო ჩართვას სამუშაო პროცესში.

როდესაც ბავშვი, ზოგადად, ზედმეტადაა დამოკიდებული სხვა ბავშვების ქცევაზე, მუდმივად არის იმის მოლოდინი, რომ ის საკუთარი ინიციატივით ვერ იმოქმედებს, ან სწორად ვერ უპასუხებს, ან ვერ მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას და სხვა.

**ასეთ შემთხვევაში** მასწავლებელმა, შესაძლოა, არასწორად შეაფასოს ბავშვის უნარი (*ერთ შემთხვევაში, მოსწავლის მოჩვენებითმა წარმატებამ შეიძლება გამოიწვიოს მასწავლებლის გადაჭარბებული შეფასება, რაც უბიძგებს მოსწავლეს, მუდმივად დარჩეს ვიღაცის ჩრდილქვეშ და, მეორე შემთხვევაში, მართლაც იყოს ეს მოსწავლის წარმატება, მაგრამ მასწავლებელმა ამ ბავშვის ბუნებიდან გამომდინარე, არ მიიღოს ის, როგორც წარმატება. ეს კი უთუოდ გამოიწვევს მოსწავლეში საკუთარი თავისადმი რწმენის უფრო დაკარგვას და შესაბამის პროტესტსაც*).

განსაკუთრებით ეს ჩნდება ჯგუფური მუშაობისას. ასწავლებელმა მუდმივად ნდა აკონტროლეთ ამ ტიპის ბავშვების ჩართულობის ხარისხი და მისცით მათ ისეთი დავალებები, რომლებიც არ (ან ნაკლებად) ითხოვს მათი მხრიდან გაუაზრებელ დამოკიდებულებას პარტნიორზე ან დამხმარეზე. როგორც წესი, ამ ტიპის ბავშვების პრობლება არის ის, რომ მათ ან საერთოდ არ აქვთ, ან დაკარგული აქვთ საკუთარი თავისადმი რწმენა.

მოსწავლე მუდმივად უნდა ჩავაყენოთ აქტიურ მდგომარეობაში. ეს აძლევს მას აზროვნების, ნებისყოფისა და ყურადღების ერთგვარი კონცენტრაციის საშუალებას.

## მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა:

- გამოიჩინოს ინტერესი მოსწავლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე;
- შეცდომისდა მიუხედავად, გაამხნევოს და შეაქოს მოსწავლე;
- არ დაატანოს ძალა მოსწავლეს, ილაპარაკოს ქართულად, ვიდრე ამას თვითონ მოსწავლე არ გააკეთებს;
- მთავარია, რომ დაინახოს მოსწავლის მცდელობა და მის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი.

## მოსწავლის სწავლების ენის (თურქულის) ფაქტორი ენის სწავლების პროცესში

ქართული ენის სწავლებისას თურქული ენის ჩართვა სასწავლო პროცესში კატეგორიულად არ უნდა გამოვრიცხოთ. მართალია, მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ მისი გამოყენება, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, სწორედ თურქულ ენაზე წარვმართოთ სწავლების პროცესი. გარდა იმ შემთხვევებისა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, უნდა გვახსოვდეს, რომ თურქული ენის გამოყენება:

1. წაახალისებს მოსწავლეებს სწავლების პროცესში;
2. ზრდის მათ მოტივაციას;
3. საშუალებას იძლევა, მოსწავლემ შეადაროს ეს ორი ენა ერთმანეთს;
4. საშუალებას აძლევს, შექმნას გარკვეული ქვესისტემები;
5. ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციული მიგნებების ძიებაში განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორ ენაში არსებობს ერთი და იმავე ბგერებისაგან შემდგარი სიტყვები (საუბარია ისეთ ლექსიკაზე, როგორიცაა, მაგალითად, კომპიუტერი, ტელეფონი და ა.შ.), ან კიდევ მაშინ, როდესაც ენებში გამოიყენება ერთმანეთისაგან ნასესხები სიტყვები;
6. თურქული ენის ჩართვა მოსწავლეს უადვილებს ასევე იმ ზეწოლის დაძლევას, რომელიც განპირობებულია "ერთი კულტურიდან მეორე კულტურაში გადასვლით".

საჭიროა სტიმულირება იმისათვის, რომ ბავშვმა დაიწყოს სხვადასხვა ენაზე სიტყვების ერთმანეთთან შედარება. სიტყვების შერჩევის პროცესი აძლევს მას საშუალებას, დაფიქრდეს და გააცნობიეროს, რომ სიტყვები დასახელებებია და, რომ ერთსა და იმავე საგანს, შესაძლოა, ჰქონდეს რამოდენიმე დასახელება.

## თემატური ერთეულების მიზნებისა და შინაარსის რუკა

| თემატური ერთეული | თემატური ცნობარი | ენობრივი ცნობარი | ძირითადი მიზნები |
|---|---|---|---|
| **1. ანბანი** | • აი ია<br>• ეს არის მზე<br>• რიცხვები და ფერები<br>• დიდი თეთრი გემი | • <u>ლექსიკა:</u><br>ია, მაიმუნი, ზარი, მზე, ბურთი, ბუშტი, ხე, სოკო, ბანანი, თაგვი, ჩიტი, პეპელა, ყაყაჩო, ჯოხი, ცისარტყელა, ჰამაკი, ჭიანჭველა, ზღვა, ღრუბელი, ფოთოლი, გემი, ბაყაყი, ფანქარი, თუთიყუში, ჟირაფი, თევზი, წიწილა, ჩემოდანი<br>რიცხვები: 1-10<br>ფერები: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი<br>• <u>ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები, საკითხები, ფორმულები:</u><br>მე ვარ... / ის არის... (ის ...-ა); ის / ეს; მე მქვია... / მას ჰქვია; მე მაქვს / შენ გაქქვს / მას აქვს;<br>ზედსართავი სახელები: დიდი/პატარა; დაბალი/ მაღალი; მსუქანი / გამხდარი... | • ანბანის ყველა ასოს ცნობა და მათი სწორად წარმოთქმა;<br>• ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• ენისგასატეხების ზეპირად თქმა;<br>• მინიდიალოგების გათამაშება;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ადამიანის / ნივთის / ცხოველის გარეგნობის აღწერა;<br>• უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა;<br>• ბადიანი რვეულის გაცნობიერება და ოთხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგება;<br>• ცალკეული სიტყვებისა და მოკლე წინადადებების წერა;<br>• მარტივი ნაცნობი ტექსტების წაკითხვა და გაგება. |
| **2. გავიცნოთ** | • გაცნობა, წარდგენა<br>• მონაცემები, რიცხვები და ფერები<br>• ჩემი ოჯახი და ნათესავები | • <u>ძირითადი ლექსიკა:</u><br>რიცხვები: 11-20<br>რთული ფერები: ცისფერი, ყავისფერი, ვარდისფერი და ა.შ.<br>ოჯახის წევრებისა და ნათესავების აღმნიშვნელი ლექსიკა: დედა, მამა... დეიდა, მამიდა... დეიდაშვილი ...<br>• <u>ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები, საკითხები, ფორმულები:</u><br>მისალმება: გამარჯობა!<br>გაცნობა/მოკითხვა: გაიცანი, ეს არის ...<br>როგორ ხარ?<br>აქვს / ჰყავს;<br>კუთვნილებითობის გამოხატვა: ვისი? – ჩემი, ომარის ...<br>წარმომავლობის, სადაურობის გამოხატვა: ვარ ...-ელი / არის ...-ელი;<br>ადგილის მითითება: სად? – ...-ში;<br>ნაცვალსახელები: პირის, კუთვნილებითი, კითხვითი | • ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• მინიდიალოგების გათამაშება;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ადამიანის აღწერა-დახასიათება;<br>• ინტერაქცია საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების შესახებ (ვინ არის? რა ჰქვია? რამდენი წლისაა? სადაურია? სად ცხოვრობს? როგორია?)<br>• უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა;<br>• მოკლე ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით;<br>• მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **3. ჩემი სახლი** | • ვინ ცხოვრობს ამ სახლში?<br>• სახლის ინტერიერი | • <u>ძირითადი ლექსიკა:</u><br>საცხოვრებელი ადგილი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა: სახლი, ეზო, სართული, აივანი...<br>ინტერიერი: ოთახები, საძინებელი, სამზარეულო...<br>საოჯახო ავეჯი და საყოფაცხოვრებო ნივთები<br>• <u>ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები, საკითხები, ფორმულები:</u><br>რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება;<br>სახელის მრავლობითობა;<br>კუთვნილებითობის გამოხატვა (ვისი? – სამივე პირის ორივე რიცხვში);<br>ადგილის მითითება (სად? რომელ სართულზე?)<br>ჩვენებითი ნაცვალსახელი (ეს / ამ);<br>სიტყვათწარმოება (...-იანი: ქუდიანი, წვერიანი; გრძელწვერიანი, დიდეზოიანი...) | • ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• მინიდიალოგების გათამაშება;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ადამიანის აღწერა-დახასიათება; ადგილის აღწერა;<br>• ინტერაქცია საკუთარი საცხოვრებელი სახლის / ოთახის შესახებ;<br>• უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა;<br>• მოკლე აღწერითი ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით;<br>• მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. |
| **4. სკოლაში** | • საკლასო ოთახი. საკლასო ნივთები<br>• საგნები. კვირის დღეები და საათები<br>• საქმიანობა სკოლაში | • <u>ძირითადი ლექსიკა:</u><br>სკოლა, კლასი... საკლასო ნივთები<br>მასწავლებელი, მოსწავლე<br>საგნები: მათემატიკა, სპორტი, სიმღერა, ხატვა...<br>კვირის დღეები: ორშაბათი, სამშაბათი...<br>დრო: საათი, წუთი<br>სასკოლო აქტივობები<br>• <u>ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები, საკითხები, ფორმულები:</u><br>მისალმება: გამარჯობა! სალამი! დილა მშვიდობისა!<br>სახელის მრავლობითობა;<br>კუთვნილებითობის / დანიშნულების გამოხატვა (...-ის: – სკოლის ჩანთა, ქართულის მასწავლებელი...);<br>დროის მითითება (რომელი საათია? რომელ საათზე?);<br>„ყოფნა“ ზმნა სამივე დროში;<br>თავისებური ზმნა: დევს – აწყვია;<br>ზმნების წარმოება აწმყო დროში. | • ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• მინიდიალოგების გათამაშება;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ადგილის აღწერა;<br>• საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (უყვარს / არ უყვარს; აინტერესებს / არ აინტერესებს);<br>• დროში ორიენტაცია (მიუთითებს, რომელი საათია, როდის რა აქვს და ა.შ.);<br>• ინტერაქცია გაკვეთილების ცხრილზე, საყვარელ საგნებზე, სასკოლო საქმიანობაზე;<br>• უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა;<br>• გაკვეთილების ცხრილის შედგენა;<br>• მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **5. ქალაქში** | • ტრანსპორ-ტი. ქალაქის ქუჩები.<br>• ადგილმდე-ბარეობის მითითება.<br>• ტანსაცმელი. სხეულის ნაწ-ილები. მაღა-ზიები | • <u>ძირითადი ლექსიკა:</u><br>ტრანსპორტის სახეობა<br>ტანსაცმელი / ფეხსაცმელი<br>ადამიანის სხეულის ნაწილები<br>საყოფაცხოვრებო ნივთები<br>ხილი, ბოსტნეული, ჭურჭელი, ტე-ქნიკა<br>• <u>ძირითადი ენობრივი კონ-სტრუქციები, საკითხები, ფორ-მულები:</u><br>მაქვს / მყავს ოპოზიცია<br>სახელის მრავლობითობა;<br>შედარების გამოხატვა: უფრო ... / ყველაზე ...<br>სახელობითის, მიცემითისა ნათე-საობითის კონკრეტული ფუნქციე-ბი<br>ადგილის მითითება: ...-ის + წი,, უკან, გვერდით; ...-ზე / ...-ში / ...-თან<br>ზმნები: ჩაცმა, დახურვა, გაკეთება აწმყოში;<br>თავისებური ზმნა: დევს – აწყვია. | • ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• მინიდიალოგების გათამაშე-ბა;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ქალაქის / ქუჩის აღწერა;<br>• საკუთარი დამოკ-იდებულების გამოხატვა;<br>• სივრცეში ორიენტაცია (მიუ-თითებს, სად არის და ა.შ.);<br>• ინტერაქცია ტრანსპორტის სახეობებზე; საკუთარი ქალ-აისა და ქუჩის შესახებ<br>• ინტერაქცია მაღაზიაში;<br>• უცნობი მარტივი წინადადე-ბების თავისუფლად კითხვა;<br>• მოკლე აღწერითი ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით;<br>• მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. |

# ცალკეული თემის ანალიზი
# პირველი თემა – „ანბანი“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

| | |
|---|---|
| **ძირითადი მიზნები** | • ანბანის ყველა ასოს ცნობა და მათი სწორად წარმოთქმა;<br>• ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• ენისგასატეხების ზეპირად თქმა;<br>• მინიდიალოგების გათამაშება;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ადამიანის / ნივთის / ცხოველის გარეგნობის აღწერა;<br>• უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა;<br>• ბადიანი რვეულის გაცნობიერება და ოთხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგება;<br>• ცალკეული სიტყვებისა და მოკლე წინადადებების წერა;<br>• მარტივი ნაცნობი ტექსტების წაკითხვა და გაგება. |
| **ძირითადი ლექსიკა** | ია, მაიმუნი, ზარი, მზე, ბურთი, ბუშტი, ხე, სოკო, ბანანი, თაგვი, ჩიტი, პეპელა, ყაყაჩო, ჯოხი, ცისარტყელა, ჰამაკი, ჭიანჭველა, ზღვა, ღრუბელი, ფოთოლი, გემი, ბაყაყი, ფანქარი, თუთიყუში, ჟირაფი, თევზი, წიწილა, ჩემოდანი<br><br>რიცხვები: 1-10<br><br>ფერები: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი |
| **ძირითადი ენობრივი საკითხები** | მე ვარ... / ის არის... (ის ...-ა); ის /ეს; მე მქვია... / მას ჰქვია; მე მაქვს / შენ გაქვს / მას აქვს;<br><br>ზედსართავი სახელები: დიდი/პატარა; დაბალი/ მაღალი; მსუქანი / გამხდარი... |

პირველი გაკვეთილი იწყება ერთმანეთის გაცნობით. მასწავლებელი მიესალმება მოსწავლეებს და ჟესტიკულაციის გამოყენებით (ხელის მკერდზე მიდებით) გააცნობს თავს მოსწავლეებს: **მე ვარ ...** (ამბობს სახელს).

**მიზანი:** მოსწავლეები უნდა მიხვდნენ ამ მარტივი ენობრივი კონსტრუქციის მნიშვნელობას.

შემდეგ იწყება მოსწავლეების გაცნობა. მასწავლებელი ინდივიდუალურად ახორციელებს ინტერაქციას ქართულ ენაზე თითოეულ მოსწავლესთან (*მე ვარ ..., შენ ვინ ხარ? აუცილებელია, რომ მოსწავლემ სრულად უპასუხოს მას – მე ვარ ...*). იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლე მხოლოდ სახელს იტყვის, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა სთხოვოს მას, გამოიყენოს ეს კონსტრუქცია.

მოსწავლეებთან ინტერაქციისას პირველ და მეორე პირებთან ერთად ვააქტიურებთ მესამე პირსაც, მაგალითად:

– *გამარჯობა, მე ვარ ---! ეს არის ფატმა, შენ ვინ ხარ? // მე ვარ ... ! შენ ვინ ხარ? ეს ვინ არის?* და ა.შ.

ინდივიდუალური გაცნობის შემდეგ შესაძლებელია, დამატებით სახალისო თამაშის გამოყენება ამ ენობრივი კონსტრუქციის დასაუფლებლად. მაგალითად:

- მოსწავლეები სხდებიან წრეზე. ერთი მიესალმება დანარჩენებს, წარადგენს საკუთარ თავს (*გამარჯობა, მე ვარ ...!*) და გადადის სხვასთან (*შენ ვინ ხარ?*). ახლა ის მიესალმება სხვებს, წარადგენს თავს და ა.შ. ვიდრე ყველას არ მიეცემა მისალმების და წარდგენის საშუალება.

**სასურველია,** ყოველი ახალი აქტივობა ჯერ მასწავლებლის მონაწილეობით (ან თანამონაწილეობით) შესრულდეს და შემდეგ მიეცეთ საშუალება მოსწავლეებს.

მისალმება-გაცნობისა და ამ ენობრივი კონსტრუქციის გავარჯიშების შემდეგ მასწავლებლი გადადის წიგნზე. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან წამყვანი გვერდის ილუსტრაციებს და სწავლების ენაზე (თურქულად) გამოთქვამენ ვარაუდებს, რას შეისწავლიან ისინი ამ თემაში. ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებითვე, ისინი აკავშირებენ „დედა ენის“ ფოტოს პირველი თემის სათაურთან.

**ნებისმიერი ვარაუდი,** რომელიც სასურველია, რომ მოსწავლეებს ხშირად გამოვათქმევინოთ, მიმდინარეობს მათს სწავლების ენაზე (ანუ თურქულ ენაზე). ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასაც შესასწავლი საკითხისა თუ მასალისადმი.

## აი ია

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს წიგნის წამყვან პერსონაჟებს – **თემურსა** და **თეონას** (*აი, ეს არის თეონა! აი, ეს არის თემური*!) და სვამს შეკითხვებს კონკრეტულ პერსონაჟზე მითითებით: ვინ არის ეს? აუცილებელია, რომ მოსწავლეებმაც გამოიყენონ კონსტრუქცია – ეს არის და ისე უპასუხონ (*ეს არის თეონა, ეს არის თემური*). ამგვარადვე დამუშავდება **ია** და **მაიმუნიც**.

**შენიშვნა:** ამ ოთხი სიტყვით მოსწავლეები სწავლობენ ასევე ქართულ ხმოვნებსაც!

ამ ოთხი სიტყვის გამოყენებით (თეონა, თემური, მაიმუნი, ია) ვაწყობთ მარტივ ინტერქციას კლასში.

- ჯერ მასწავლებელი გაითამაშებს ერთ-ერთ მოსწავლესთან მარტივ დიალოგს.
- შემდეგ მასწავლებლის მითითებით მსგავს დიალოგებს გაითამაშებენ მოსწავლეები წყვილებში.

**მაგალითად:** რა არის ეს? ეს არის ია? (კი, ეს არის ია), ეს არის მაიმუნი? (არა, ეს არის ია), ვინ არის ეს? ეს არის თემური? და ა.შ.

**სასურველია,** რომ საგაკვეთილო პროცესი მასწავლებელმა მაქსიმალურად ქართულ ენაზე წარმართოს. კერძოდ:

1. როცა შეუძლებელი ხდება სხვა არხებით გაგებინება;
2. როცა გვსურს, პარალელი გავავლოთ თურქული ენის ლექსიკურ თუ გრამატიკულ მონაცემთან ან, ზოგადად, საკითხთან.
3. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ვარაუდებისა და საკუთარი პოზიციების გამოხატვისას და ა.შ.

ამ გავარჯიშების შემდეგ მასწავლებელი გადადის ხმოვნების სწავლებაზე.

**შენიშვნა:** სასურველია, რომ კლასში მუდმივად იყოს გამოკრული დიდ ფორმატზე გადატანილი ქართული ანბანი. ასევე წინასწარ უნდა გადავიტანოთ ფორმატზე ან დაფაზე ასო-ბგერების ის ბლოკიც, რომელსაც ვასწავლით მოცემულ გაკვეთილზე (მათი ასაკისა და უნარების გათვალისწინებით, თავისუფლად არის შესაძლებელი, რომ ერთ გაკვეთილზე მათ 4-5 ასოც კი ავუხსნათ. უფრო კონკრეტულად ეს მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, ვინაიდან ეს დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე – მოსწავლეთა მზაობაზე, მათ მოტივაციაზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, მიწოდებისა და ათვისების ხარისხზე და ა.შ.).

1. მასწავლებელი მიუთითებს ვიზუალურად და ასახელებს ჯერ ერთ ხმოვანს (ა), იმეორებს ნელა და გარკვევით და სთხოვს მოსწავლეებს, მათაც გაიმეორონ. შემდეგ გადადის მეორეზე (ი).
2. ამთლიანებს ხმოვნებს: აი ია (თან მიუთითებს ვიზუალურად). იმეორებენ მოსწავლეებიც.
3. მსგავსად შემოდის დანარჩენი ხმოვნებიც: ე. აი ე. აი / ეი და ა.შ.
4. <u>გასავარჯიშებლად</u>:

   ა. ასახელებს ხმოვანს და მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, რომელია;

   ბ. უთითებს კონკრეტულ ასოს და მოსწავლეებმა უნდა გაახმოვანონ;

   გ. უთითებს კონკრეტულ ხმოვანს და ახმოვანებს სხვას. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ შეცდომას და გაასწორონ.

ამის შემდეგ ვუბრუნდებით ცალკეულ ხმოვანს და ვმუშაობთ მის გამოწერაზე (ბუნებრივია, ამ შემთხვევაში სწავლების ენა მთლიანად შეიძლება იყოს თურქული):

1. ვაკვირვებთ ბადის სტრუქტურაზე – ოთხხაზოვან პრინციპზე; რაში მდგომარეობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ასეთი განლაგების არსი;
2. ვაჩვენებთ ბადეში ამ ასოების (ხმოვნების) განლაგებას. რომელი ხმოვანი რამდენ ხაზზე იწერება და რომელია ეს ხაზები.
3. ვსვამთ შეკითხვებს უკეთ დასაკვირვებლად: რომელი ასოები იწერება ორ ხაზში? სამ ხაზში? რომელი ასოები ჰგავს ერთმანეთს? რით ჰგავს? რა აქვს საერთო? და ა.შ.
4. ყურადღებას ვამახვილებინებთ ასოთა მოხაზულობაზე – საიდან ვიწყებთ და სად ვამთავრებთ ასოს წერას; რომელი ასო რამდენ უჯრაში იწერება.

ვიწყებთ ასოთა გამოწერას. კარგი იქნება თუკი ცალკე გვექნება მომზადებული ცარიელი ბადე ფორმატზე (ან წინასწარ დავხაზავთ მას დაფაზე). მასწავლებელი სანიმუშოდ რამდენჯერმე გამოიყვანს ასოს დაფაზე. მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმუშაონ კალიგრაფიის რვეულში.

**შენიშვნა:** კალიგრაფიის რვეულში მუშაობას კლასში მხოლოდ გარკვეულ დროს ვუთმობთ. თითო ასოსათვის გამოვაწერინებთ მხოლოდ თითო ხაზს. კალიგრაფიის რვეულის ძირითად სამუშაოს მოსწავლეები ასრულებენ სახლში. მასწავლებელი მომდევნო გაკვეთილზე ამოწმებს რვეულებს და, საჭიროებისამებრ, ინდივიდუალურად აძლევს მათ ამა თუ იმ მითითებას.

კალიგრაფიის რვეული მოსწავლეების დამოუკიდებლად სამუშაო რვეულია. ასოთა მოხაზულობაზე მუშაობას ყოველ გაკვეთილზე ვუთმობთ გარკვეულ დროს იმისათვის, რომ ვაჩვენოთ როგორ იწერება ესა თუ ის ასო. რაც შეეხება კალიგრაფიის რვეულში მუშაობას, ძირითადად, სახლში უნდა მოხდეს.

სრულდება შესაბამისი სავარჯიშოები რვეულში (გვ. 8-9)

**<u>ენობრივ საკითხზე დაკვირვება:</u>** ვინ? / რა? (წიგნიდან, გვ. 10, №1)

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს კითხვებზე – **ვინ? რა?**

ვინ? – თემური, თეონა // რა? – ია, მაიმუნი

მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეებმა უნდა დაასრულონ შეკითხვები:

1. უთითებს თეონაზე და ამბობს: ეს არის ვინ თუ რა?
2. შემდეგ გადადის თემურზე, იწყებს ფორმულირებას და მოსწავლეებმა უნდა დაამთავრონ: ეს არის ...? და ა.შ.
3. უთითებს არეულად.
4. გასავარჯიშებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ საკლასო სიტუაცია: ვუთითებთ მოსწავლეზე – ეს არის ...? ვუთითებთ წიგნზე – ეს არის ...? და ა.შ.

მოსწავლეებს უნდა გავაგებინოთ, რომ ქართულში **ვინ** არის მხოლოდ ადამიანი, დანარჩენი არის **რა**.

ვაკეთებთ პარალელებს თურქულთან.

სრულდება დავალებები:

- წიგნში - გვ. 10, №2
- რვეულში - გვ 10 №1

მესამე დავალების შესრულებამდე, მასწავლებელი მუშაობს ილუსტრაციაზე. უთითებს და სვამს შეკითხვებს: ვინ არის ეს? ეს თემურია? ეს თეონაა? რა არის ეს? ეს მაიმუნია? ეს იაა? მასწავლებელი კითხულობს დიალოგს და მოსწავლეები ასრულებენ დავალებას.

**ისლუსტრირებულ ტექსტებზე მუშაობა:** ამგვარი ტექსტების წაკითხვამდე თუ მოსმენამდე, სასურველია, ვიმუშაოთ ჯერ ილუსტრაციაზე. ეს შეიძლება იყოს სურათის გარშემო კონკრეტული შეკითხვების დასმა, სურათის აღწერა და ა.შ.

სრულდება შემდეგი დავალებებიც:

- წიგნში - გვ. 10, №4, 5
- რვეულში -გვ.10 №2, 3; 11 №4,5,6,7.

ახალი დიალოგების წაკითხვამდე (წიგნი, გვ. 11, №6), მუშავდება ილუსტრაცია.

1. ვაცნობთ ახალ პერსონაჟებს – მერაბი და ბაია (ეს არის ბაია / ეს არის მერაბი), ვასწავლით ახალ ლექსიკურ ერთეულს – მზე (ეს არის მზე).
2. ვუთითებთ სურათზე და ვსვამთ სათანადო შეკითხვებს: ეს ვინ არის? ეს არის თეონა? რა არის ეს? ეს იაა? (არა, ეს არის მზე), ეს თეონაა? (არა, ეს ბაიაა.) და ა.შ.
3. ვთხოვთ მოსწავლეებს, აღწერონ სურათი – ვინ არის? რა არის?
4. მოსწავლეებს ვამუშავებთ წყვილებში: უსვამენ ერთმანეთს მსგავს შეკითხვებს სურათის გარშემო და პასუხობენ.

სრულდება შემდეგი დავალებები:

- წიგნში - გვ. 11, №6, 7, 8

<u>მუშავდება მორიგი ასო-ბგერები:</u> თ / ბ / ზ / მ / ნ / რ.

ხმოვნებისაგან განსხვავებით, თანხმოვნების სწავლებისას შემოდის ორი მნიშვნელოვანი აქტივობა:

1. კონკრეტულ თანხოვანზე არის მოსასმენი ენის გასატეხი, რომელიც ჩაწერილია აუდიოდისკზე ორი რეჟიმი - ნელა და სწრაფად.
    - ასოების დამუშავების შემდეგ (მითითებები იხილეთ ხმოვნებთან დაკავშირებით!) მასწვლებელი ასმენინებს მოსწავლეებს ენის გასატეხებს.
    - მოსწავლე ისმენს ენის გასატეხის ნელ ვარიანტს და ასახელებს, რომელი ასო ესმის ყველაზე ხშირად.
    - თავიდან ისმენს ნელ ვარიანტს და ცდილობს გაიმეოროს. ვასმენინებთ რამდენჯერმე და ვამეორებინებთ.
    - ენის გასატეხის ათვისების შემდეგ ისმენენ სწრაფ ვარიანტს და ცდილობენ, თავადაც სწრაფად გამეორებას.
2. სამუშაო რვეულში მოცემულია ეს ენის გასატეხები. მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ მითითებული, ხშირად გამეორებული ასო ამ ენის გასატეხში და გააფერადონ.

მნიშვნელოვანია, ამ აქტივობების შესრულებისას, მასწავლებელმა დაიცვას თანმიმდევრულობა:

1. პირველ რიგში, იმუშავეთ წიგნში მოცემულ ბადიან ნაწილში არსებულ ასოებზე ცალ-ცალკე ხმოვნებთან აღწერილი წესის გათვალისწინებით.
2. შემდეგ მოასმენინეთშესაბამისი ენისგასატეხები და ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით იმუშავეთ.
3. მოცემულ ენისგასატეხებში მითითებული ასო მოაძებნინეთ სამუშაო რვეულში და გააფერადებინეთ.
4. ამის შემდეგ ამუშავეთ მოსწავლეები კალიგრაფიის რვეულში (გამოაწერინეთ შესაბამისი ასოები, შეავსებინეთ და გამოაწერინეთ სიტყვები).
5. ბოლოს დაბრუნდით წიგნსა და რვეულში და შეასრულებინეთ ამ ასოებთან დაკავშირებული იქ მოცემული სხვადასხვა ტიპის აქტივობები, კერძოდ

    ა. ნახატის დაკავშირება ნაწერთან;

    ბ. სწორი დაწერილობის მოძებნა და მონიშვნა;

    გ. მითითებული სიტყვების მოძებნა და შემოხაზვა;

დ. გამოტოვებული ასოების ჩაწერე

ე. მარცვლების შეერთებით სიტყვების მიღება

ვ. მიჯრით მიწყობილი სიტყვების დაცალკევება ხაზით და ა.შ.

**შენიშვნა:** მსგავსი პრინციპით დამუშავდება დანარჩენი ასო-ბგერებიც (გ / ვ / კ / ფ / ს / ხ), რომელთაც ცალ-ცალკე აღარ შევეხებით.

## რიცხვები და ფერები

წიგნის პირველი დავალების შემდეგ (გვ. 15, №1) სრულდება რიცხვებზე გასავარჯიშებელი დავალებები სამუშაო რვეულში (გვ. 21 №1, 2; გვ 22 №1)

წიგნის მეორე დავალების შესრულებამდე, მიმდინარეობს ახალ ლექსიკაზე მუშაობა. ახალ სალექსიკონო ერთეულებზე სამუშაო შესაბამისი რეკომენდაციები იხილეთ ზემოთ.

სრულდება წიგნის მესამე დავალება (გვ. 15) და შასაბამისი სავარჯიშოები რვეულში (გვ. 22 № 2, 3, 4, 5; გვ 23 №6).

მუშავება ახალი ასო-ბგერები (დ / ლ / ც / ტ / შ / ქ) ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით.

სრულდება დავალებები:

- წიგნში (გვ. 16 , № 1, 2)
- რვეულში- გვ 23 №7, 8; გვ 24-25

**საანბანე ტექსტის წაკითხვა** (წიგნი, გვ. 16, №3)**:** ვიყენებთ ხმამაღალი კითხვის მეთოდს (იხ. რეკომენდაციებში, გვ. ).

**ისლუსტრირებულ დიალოგზე მუშაობა** (წიგნი, გვ. 16, №4) მიმდინარებს ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით.

ამ კონკრეტულ დავალებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალ პერსონაჟებზე დაკვირვება (გარდა იმისა, რომ მუდმივად ვააქტიურებთ ნაცნობ ენობრივ კონსტრუქციას და ვაბამთ მოსწავლეებს ინტერაქციაში, ასევე მნიშვნელოვანია, ისინი სათანადოდ მოვამზადოთ იმისათვის, რომ არ გაუჭირდეთ მოსმენილი დიალოგებიდან სწორი დიალოგის დასახელება. **<u>პასუხი:</u>** მესამე დიალოგი შეესაბამება სურათს).

სურათზე დაკვირვებით, მოსწავლეები იმახსოვრებენ, რა ჰქვიათ დიალოგში მონაწილე პირებს (დალი, შალვა და ლალე), რაც ეხმარებათ მათ, გაიგონ დიალოგები და შემდეგ სწორად მოახდინონ დიალოგში მონაწილე პირების იდენტიფიცირება სურათზე მოცემულ ბავშვებთან.

მასწავლებელი ნელა, გარკვევით და სწორი აქცენტების დასმით კითხულობს ჯერ პირველ დიალოგს და აცდის მოსწავლეებს პასუხის გაცემას. მოსწავლეები ისმენენ, აკვირდებიან და ამბობენ, ეს დიალოგია თუ არა. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი თავიდან კითხულობს დიალოგს. არასწორი პასუხის შემთხვევაში, მასწავლებელს შეკითხვებით მიჰყავს ისინი სწორ პასუხამდე, მაგალითად: *ეს არის ცირა? ეს ქეთევანია? ეს არის ომარი?*

**<u>ენობრივ საკითხზე დაკვირვება.</u> ეს / ის** ნაცვალსახელები.

ამ ოპოზიციის უკეთ გასაგებად, მასწავლებელი ასრულებს საკლასო აქტივობებს სათანადო ჟესტიკულაციის გამოყენებით. გთავაზობთ რამოდენიმე მათგანს:

1. დგება ერთ-ერთ მოსწავლესთან, მიუთითებს მასზე და ამბობს: ეს არის მერიემი. შემდეგ თითს იშვერს სხვისკენ და ამბობს: ის არის არჩილი. კვლავ იმეორებს ჟესტიკულაციის გამოყენებითა და ნაცვალსახელებზე აქცენტის დასმით: **ეს** არის მერიემი / **ის** არის არჩილი; **მე** ვარ ... / **ეს** მერიემია / **ის** არის არჩილი და ა.შ.
2. შემდეგ მიმართავს „მერიემის“ მეწყვილეს კითხვით – შენ ვინ ხარ? მოსწავლე პასუხობს. აგრძელებს მასთან შეკითხვების დასმას: ეს მერიემია? ვინ არის ის? ეს არჩილია? (სპეციალურად უსვამს შეცდომით კითხვას) და ა.შ. მოსწავლე პასუხობს. საჭიროებისამებრ, მასწავლებელი ეხმარება მას იმისათვის, რომ სრული პასუხი მიიღოს.
3. მოსწავლეებთან ერთად მასწავლებელი გაითამაშებს მინიდიალოგებს. გთავაზობთ მასწავლებლის რეპლიკებს:

   ა. – გამარჯობა, მე ვარ ... (ამბობს სახელს), ეს ლალია. შენ ვინ ხარ?

   – .....

   ბ. – გამარჯობა, არჩილ, მე ..... ვარ, ის ვინ არის?

   – .....

   გ. – გამარჯობა, შენ ..... ხარ?

   – .....

   – ეს არის ფატმა?

   – .....

   – ის ვინ არის?

   – .....
4. ამის შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის გარეშე გაითამაშებენ მსგავს დიალოგებს. მასწავლებელი აკვირდება, უსმენს მათ და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება დიალოგში.

**<u>მუშავდება რიცხვები:</u>** 6-10. სრულდება შესაბამისი დავალებები ჯერ წიგნში- გვ 17 №7 და შემდეგ რვეულში გვ-26 № 1,2,3,4. წიგნის მე-8 დავალება (გვ. 17) სრულდება ბოლოს.

<u>მუშავება ახალი ასო-ბგერები</u> (ჩ / ძ / პ / ჰ / ყ / ჭ) ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით.

სრულდება დავალებები:

- წიგნში (გვ. 17 , № 9,10)
- რვეულში - გვ 26 №5,6; გვ 27 №7, 8, 9

<u>მუშავდება ახალი ლექსიკა</u> (**ჩიტი, პეპელა, ვარდი, ჯოხი, ცისარტყელა, ჰამაკი**) ზემოთ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, წიგნი გვ 17 დავ. 11

სრულდება დავალებები რვეულში (გვ. 27 №10, გვ 28-31; 32 №1,2 ).

შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ საანბანე ტექსტს.

**მუშავდება ფერები** წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებების გამოყენებით. დამატებით საკარჯიშოდ, მასწავლებელს შეუძლია:

- ილუსტრაციების გამოყენებით ნაცნობი ლექსიკის გარშემო მარტივი ინტერაქციის მოწყობა, მაგალითად: *რა არის ეს? – ეს არის ია; რა ფერია ია? – ლურჯი; მზე წითელია? – არა, მზე არის ყვითელი. კიდევ რა არის ყვითელი? რა არის აქ მწვანე, წითელი ...?* და ა.შ.
- დავახატინოთ მოსწავლეებს კარნახით (*შენ დახატე წითელი მზე, ლურჯი ბუშტი* და *მწვანე ბურთი; შენ დახატე ორი სოკო – ერთი შავი, ერთი თეთრი* და *ია* და ა.შ.)

<u>მუშავება ახალი ასო-ბგერები</u> (ჟ / ჭ / ღ / წ) ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით.

**ტექსტის გაშიფრვა** (წიგნი, გვ. 18, №4). დავალების შესრულებამდე, მასწავლებელი აზუსტებს, ახსოვთ თუ არა მოსწავლეებს ტექსტში მოცემული ნახატების დასახელებები ქართულად. უთითებს და კითხულობს: *რა არის ეს? ეს პეპელაა? ეს რა ფერია?* და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლეები მეწყვილეებთან ერთად შიფრავენ ტექსტს. სამუშაოს დასრულების შემდეგ:

- ჯერ მასწავლებელი კითხულობს ტექსტს და მოსწავლეები ამოწმებენ.
- შემდეგ მასწავლებელი აკითხებს მოსწავლეებს ხმამაღლა ცალკეულ წინადადებებს (შესაბამისად, ხდება კიდევ ერთხელ გადამოწმება).
- დავალების სისწორეს ამოწმებს ინდივიდუალური შეკითხვებით, მაგალითად: *ფატმა, რა არის თეთრი და შავი? აქ რა ფერია ღრუბელი? არჩილ, რა არის ჭიანჭველა? კიდევ რა მწერია აქ, ფერიდე? რა ფერია ზღვა?* და ა.შ.

სრულდება დავალებები:

- წიგნში - გვ. 18 , №6
- რვეულში - გვ. 34 №1,2,3,4.

## დიდი თეთრი გემი

<u>საკომუნიკაციო მიზანი:</u> აღწერა-დახასიათება.

**მუშავდება ახალი ლექსიკა** (*გემი, ფანქარი, თაგვი; დიდი/პატარა, გრძელი/მოკლე, მსუქანი/გამხდარი, მაღალი/დაბალი*). განსაკუთრებული აქცენტი გადადის ზედსართავებზე – დიდი/პატარა, გრძელი/მოკლე, მსუქანი/გამხდარი, მაღალი/დაბალი. ვიზუალიზება უზრუნველყოფს გაგებინებას, შესაბამისად, ვარჯიში ხდება მათი ათვისება-განმტკიცებისათვის.

ზედსართავებზე სამუშაოდ შესაძლებელია საკლასო სიტუაციების გამოყენება:

- ვინ არის კლასში მაღალი / დაბალი / გამხდარი / დიდი / პატარა?
- ასახელებენ და აღწერენ მეწყვილეებს: *ეს არის ფერიდე. ფერიდე არის მაღალი* და *გამხდარი.*
- ასახელებენ და აღწერენ საკუთარ თავებს: *მე ვარ ფერიდე. მე ვარ მაღალი* და *გამხდარი.*
- მასწავლებელი უთითებს კლასში რომელიმე ნივთზე, საგანზე და ა.შ. და სვამს შეკითხვებს (ამ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ნაცნობია თუ არა ის ლექსიკური ერთეული. მასწავლებელი ახდენს მის ვიზუალიზებას და თან ასახელებს. მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ მისი გამეორება, მთავარია ის, სწორად თქვან, როგორია, მაგალითად: *როგორია ეს ჩანთა? მაგიდა? მერიემის თმა? // არის ეს ჩანთა დიდი? არის მერიემის თმა გრძელი?* და ა.შ.
- მასწავლებელი უთითებს და აღწერს არასწორად, მოსწავლეებმა უნდა გაასწორონ და ა.შ.

სრულდება დავალებები:

- წიგნში (გვ. 19; 20, №1)

წიგნის პირველ დავალებაში მოცემული სურათების გამოყენებით:

- ჯერ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს მოსწავლეებთან (რა არის ეს, ჟირაფია? – არა, ეს არის წიწილა. რომელია ჟირაფი? – ჟირაფი არის ეს/ის; რა ფერია წიწილა? როგორია წიწილა? რა არის აქ მაღალი? მსუქანი? ყვითელი? და ა.შ.).
- მასწავლებელი აღწერს – რა ფერია და როგორია, მოსწავლეები ასახელებენ, რა არის (მაგალითად, არის პატარა და ყვითელი).
- შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში – უსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს და პასუხობენ; ერთი აღწერს – რა ფერია და როგორია და მეორე ასახელებს, რა არის.

სრულდება დავალებები:

- რვეულში (გვ. 35-36)

**მუშავდება ახალი ზმნა:** „ჰქვია“.

1. მასწავლებელი თავიდან წარსდგება კლასის წინაშე და ამბობს: **მე ვარ ..., მე მქვია** ...; შემდეგ სვამს შეკითხვას – **რა მქვია მე**? მოსწავლეები პასუხობენ.
2. მასწავლებელი გადადის მოსწავლეებზე. უთითებს ერთ-ერთზე და ამბობს: *ეს არის მერიემი, მას ჰქვია მერიემი. შემდეგ გადადის სხვაზე: ის არის არჩილი, მას ჰქვია არჩილი.*
3. სვამს შეკითხვებს კლასში: *ვინ არის ეს/ის? რა ჰქვია მას?*
4. გაითამაშებს მინიდიალოგებს მოსწავლეებთან (აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა სრულად უპასუხონ მასწავლებელს – *მე მქვია ... / მას ჰქვია ...*):

   ა. – გამარჯობა, მე მქვია ... შენ რა გქვია?

   – .....

   – რა ჰქვია მას? (უთითებს მეწყვილეზე ან სხვა თანაკლასელზე)

   – .....
5. შემდეგ მოსწავლეები გაითამაშებენ მსგავს დიალოგებს ერთმანეთთან.

სრულდება დავალებები:

- წიგნში (გვ. 20, №2, 3; გვ. 21, №4, 5)
- რვეულში - გვ. 37 №3,4

**შეცდომების მოძებნა, დასახელება და გასწორება** ამ ტიპის აქტივობები ამოწმებს მოსწავლის ცოდნას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყურადღებით ადევნოს თვალი მოსწავლეთა მუშაობის პროცესს. ასეთი დავალებები ერთგვარ დიაგნოსტირების საშუალებასაც იძლევა – რამ შეიძლება განაპირობოს წარუმატებლობა. მოსწავლის მხრიდან არასწორი პასუხების მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი ხასიათის, კერძოდ: ყურადღების გაფანტულობა, გადაღლა, ცუდად ყოფნა, ხელის შეშლა და ა.შ.

სწორი დიაგნოსტირების შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან აცილება, დაბალი ენობრივი კომ-

პეტენციების შემთხვევაში კი გაზარდოს გავარჯიშების ფაზა, დაგეგმოს დამატებითი აქტივობები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

**მუშავდება ზმნა:** „<u>მაქვს</u>“ (მე მაქვს, შენ გაქვს, მას აქვს)

1. მასწავლებელი უთითებს საკუთარ ნივთებზე და ამბობს: *მე მაქვს კალამი, მაქვს საათი* და ა.შ.
2. პირთა მონაცვლეობისათვის რთავს მოსწავლეებსაც (*მე მაქვს მოკლე თმა, მერიემს აქვს გრძელი თმა, ფატმასაც აქვს გრძელი თმა*)
3. შემდეგ სვამს შეკითხვებს: *კიდევ ვის აქვს მოკლე თმა? გრძელი თმა?* მოსწავლეთა პასიურობის შემთხვევაში, ინდივიდუალურად შეგვიძლია დავუსვათ შეკითხვები (*ფატმა, შენ გაქვს გრძელი თმა? ფატმა, არჩილს როგორი თმა აქვს, გრძელი? მოკლე?* და ა.შ.). უნდა ვაკონტროლოთ, რომ მოსწავლეებმა სრული პასუხები გასცენ. დასაწყისისთვის, შესაძლოა, დასჭირდეთ მინიშნებები, ამიტომ მოკლე პასუხების შემთხვევაში, უნდა მივუთითოთ, რომ სრულად გვიპასუხონ. ამგვარი მითითებები, ცხადია, თურქულ ენაზე ხორციელდება.

სრულდება დარჩენილი დავალებები:

- წიგნში (გვ. 22-23)
- რვეულში- გვ. 37 №5,6; გვ. 38

**<u>პოსტერებზე მუშაობა ენობრივ საკითხებზე დაკვირვებისა და ათვისება-განმტკიცებისათვის.</u>**

1. <u>განსხვავებული ტიპის ზმნები:</u>

   მასწავლებელი ქმნის ორ პოსტერს (შესაძლებელია, ეს იყოს დიდი ფორმატის ქაღალდი), რომელიც დაიკიდება თვალსაჩინო ადგილას და პერიოდულად შეივსება ახალი მასალით. წარმოვადგენთ ნიმუშებს:







ცალ-ცალკე პოსტერზე ვათავსებთ ერთი-ტიპის ზმნების პირველი და მესამე პირის ფორმებს. პირველი სუბიექტური პირის (მოქმედი პირის) ნიშნებს, კარგი იქნება, თუკი სხვა ფერში ჩავწერთ (ვ / მ), ასევე უნდა გამოიკვეთოს მესამე პირის ნაცვალსახელებიც (ის / მას). შესაძლებელია, გამოკვეთ მოხდეს მათი წრეში ჩასმით (როგორც აქ არის წარმოდგენილი) ან სხვა ფერით (მასწავლებელს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, რა იქნება მისთვის უმჯობესი. მთავარია, რომ ვიზუალურად ეს განსხვავება თვალში საცემი უნდა იყოს). ამ პოსტერების გამოყენება მუდმივად იქნება შესაძლებელი სხვადასხვა ფუნქციით (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ.)

2. პოსტერების შექმნა მნიშვნელოვანია ლექსიკის სწავლების თვალსაზრისითაც. ყოველი

ახალი ლექსიკური ერთეული გადაგვაქვს პოსტერზე, სადაც ისინი გარკვეული ნიშნით შეგვიძლია დავახარისხოთ. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

| ყვავილი | ცხოველი | ნივთი |
|---|---|---|
| ყაყაჩო<br>ია ... | ჟირაფი<br>ძაღლი... | ბურთი<br>საათი... |

| შინაური | გარეული |
|---|---|
| ძაღლი<br>წიწილა... | ჟირაფი<br>მაიმუნი... |

როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკური პოსტერები მუდმივად შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც დამატებითი რესურსი სხვადასხვა საჭიროების დროს, მაგალითად:

- <u>მარტივი ინტერაქციისათვის</u> (რომელია აქედან მაღალი / დაბალი / პატარა / გრძელი...? რომელია ლურჯი ფერის ყვავილი? რა გაქვს აქედან სახლში? და ა.შ.)
- <u>თამაში – **„გამოიცანი, რა არის“**</u>: ერთი ჩაიფიქრებს და აღწერს, სხვებმა უნდა გამოიცნონ (მაგ., ნივთია. არის მრგვალი და სხვადასხვა ფერის; წითელი ფერის ყვავილია და ა.შ.). მეტი ენობრივი კომპეტენციის შემთხვევაში, პოსტერების მრავალმხრივ გამოყენების შესაძლებლობები იზრდება.
- კონკრეტული ენობრივი საკითხის გააქტიურებისა და გასავარჯიშებლად (მაგ., მაქვს / მყავს ოპოზიციისათვის: ბურთი მაქვს / ძაღლი მყავს ... )

◈ მთავარია, რომ ნებისმიერ პოსტერზე მუშაობა – ახალი მასალის შეტანა იქნება ეს თუ სხვა რამ, აუცილებლად მოსწავლეების თანამონაწილეობით უნდა მოხდეს. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვქმნით საჭირო სასწავლო რესურსებს თვალსაჩინოების სახით, თავად ეს პროცესი ცალკე აღებული მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც განსაკუთრებით უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელებას.

**ცოდნის შემოწმება:** თემის დასრულების შემდეგ 24-ე გვერდზე მოცემული აქტივობები აჯამებს თემის ძირითად პრიორიტეტებს და ამ კუთხით ამოწმებს მოსწავლეთა ცოდნას. მოსწავლეთა შემოწმება თამაშის სახით ხდება.

ამისათვის:

- მასწავლებელი თითო ბარათზე თითო ციფრს წერს – სულ სამ ციფრს: 1, 2, 3, რათა მოსწავლემ ნელ-ნელა გაიაროს ეს უჯრები და მეტი დავალების შესრულების საშუალება მიეცეს. მასწავლებელი ამოატრიალებს ბარათებს მაგიდაზე.
- მოსწავლე დგება პირველ უჯრაზე და ასრულებს დავალებას. თუ ვერ შეძლო დავალების შესრულება, დროებით წყვეტს თამაშს და ელოდება თავის რიგს. ამასობაში მას შეუძლია, მოუსმინოს სხვებს და თავადაც მოემზადოს დავალების შესასრულებლად.
- პირველი დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ მოსწავლე იღებს ერთ ბარათს, ამბობს რა ციფრია, გადადის იმდენ უჯრაზე, რა ციფრიც წერია ბარათზე. ასრულებს იქ მოცემულ დავალებას და იღებს მორიგ ბარათს. ასე აგრძელებს თამაშს, ვიდრე არ გავა ბოლო უჯრამდე.

- თუ მოსწავლეს გაუჭირდება რომელიმე დავალების შესრულება, ის დროებით წყვეტს თამაშს და ელოდება თავის რიგს. მას ეძლევა უფლება, მოძებნოს წიგნში პასუხები, დახმარება სთხოვოს თანაკლასელს და ა.შ. თამაშს აგრძელებს იმ დავალებიდან, რომლის პასუხიც გაუჭირდა. ჯერ პირდაპირ შეასრულებს იმ დავალებას და შემდეგ აიღებს ბარათს.

ამის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან 25-ე გვერდზე მოცემულ ინფორმაციებს და აფასებენ საკუთარ ცოდნასა და უნარებს. ცხრილში მონიშნავენ იმ უჯრებს, რომლებიც, მათი აზრით, ხელს უშლის მათ წარმატების მიღწევაში.

მასწავლებელი და მოსწავლე ერთობლივად შეიმუშავებენ კონკრეტულ სტრატეგიებს შედეგების გასაუმჯობესებლად.

# მეორე თემა – „გავიცნოთ“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

| | |
|---|---|
| **ძირითადი მიზნები** | • ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• მინიდიალოგების გათამაშება;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ადამიანის აღწერა-დახასიათება;<br>• ინტერაქცია საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების შესახებ (ვინ არის? რა ჰქვია? რამდენი წლისაა? სადაურია? სად ცხოვრობს? როგორია?)<br>• უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა;<br>• მოკლე ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით;<br>• მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. |
| **ძირითადი ლექსიკა** | რიცხვები: 11-20<br>რთული ფერები: ცისფერი, ყავისფერი, ვარდისფერი და ა.შ.<br><br>ოჯახის წევრებისა და ნათესავების აღმნიშვნელი ლექსიკა: დედა, მამა... დეიდა, მამიდა... დეიდაშვილი ... |
| **ძირითადი ენობრივი საკითხები**<br><br>**ფორმულები კონსტრუქციები** | მისალმება: გამარჯობა!<br>გაცნობა/მოკითხვა: გაიცანი, ეს არის ...<br>როგორ ხარ?<br><br>აქვს / ჰყავს;<br>კუთვნილებითობის გამოხატვა: ვისი? – ჩემი, ომარის ...<br>წარმომავლობის, სადაურობის გამოხატვა: ვარ ...-ელი / არის ...-ელი;<br>ადგილის მითითება: სად? – ...-ში;<br><br>ნაცვალსახელები: პირის, კუთვნილებითი, კითხვითი |



**წამყვან გვერდზე მუშაობა** მიმდინარეობს იმავე პრინციპით, რომელზედაც პირველ თემაში ვისაუბრეთ. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები უკვე თავად კითხულობენ რეპლიკებს, აკვირდებიან სურათებს და გამოთქვამენ ვარაუდებს (თურქულად), რის შესახებ იქნება მოცემულ თემაში საუბარი.

**ნებისმიერი ვარაუდი,** რომელიც სასურველია, რომ მოსწავლეებს ხშირად გამოვათქმევინოთ, მიმდინარეობს მათს სწავლების ენაზე (ანუ თურქულ ენაზე). ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასაც შესასწავლი საკითხისა თუ მასალისადმი.

წამყვან გვერდზე მოცემული სურათების გამოყენებით, მასწავლებელი ააქტიურებს წინარე ცოდნასაც. მოსწავლეები საუბრობენ პერსონაჟებზე – ვინ არიან, რა ჰქვიათ, აღწერენ, როგორები არიან, როგორი თმა აქვთ...

## გაცნობა. წარდგენა.

შემოდის და აქტიურდება სამეტყველო ფრაზა – **გაიცანი, ეს არის** ...

სასურველია, მოსწავლეებს პირდაპირ შევასრულებინოთ პირველი დავალება და თავად ამოვაცნობინოთ კონტექსტის მიხედვით ამ ფრაზის მნიშვნელობა.
ამის შემდეგ ვთხოვთ მოსწავლეებს, გადაშალონ წიგნის ბოლოს დართულ ფრაზების ლექსიკონზე, ვეხმარებით ამ ფრაზის მოძებნაში და ვაზუსტებინებთ, სწორად გამოიცნეს თუ არა მისი მნიშვნელობა.

კონტექსტისა და სურათის მიხედვით შესაძლებელია, მოსწავლეებს ვთხოვოთ ასევე სიტყვა „ბიძიას“ მნიშვნელობის გამოცნობაც. მსგავსი აქტივობები ეხმარებათ მოსწავლეებს და ხელს უწყობს მათ ათვისებაში. ასევე ზრდის მათ მოტივაციასაც.

**ახალი ლექსიკა** (ბიჭი, გოგო // გოგონა).

1. მასწავლებელი მიდის ერთ-ერთ გოგონასთან და ამბობს: *ეს არის ფერიდე. ფერიდე არის გოგო. ის არის ორჰანი. ორჰანი არის ბიჭი.*

2. სვამს შეკითხვებს ინდივიდუალურად: *შენ ვინ ხარ, ფატმა? ვინ არის ომარი?* და ა.შ.

3. ინტერესდება, რამდენი ბიჭი და რამდენი გოგო კლასში?

4. წარმართავს ინტერაქციას წიგნის პერსონაჟებთან დაკავშირებით: *ვინ არის ეს ბიჭი? რა ჰქვია ამ ბიჭს? ვინ არის ეს გოგო? რა ჰქვია მას? რამდენი გოგო ამ გვერდზე? რამდენი ბიჭია აქ? როგორი თმა აქვს ამ გოგოს? რა ფერის თმა აქვს ამ ბიჭს? როგორია ეს ბიჭი / გოგო?* და ა.შ.

5. მოსწავლეები თავიდან წარადგენენ თავს (მოდელირებას ახდენს მასწავლებელი): *მე ვარ ბიჭი, მე მქვია ჯემალი; მე ვარ გოგო, მე მქვია ლელა;*

6. შემდეგ ვთხოვთ ერთმანეთის წარდგენასაც: *ეს არის ლელა. ლელა არის გოგო; ეს არის ომარი. ომარი არის ბიჭი* და ა.შ.

7. ჯერ მასწავლებელი გაითამაშებს მოსწავლეებთან ერთად მინიდიალოგებს, შემდეგ მოსწავლეები თავად გაითამაშებენ, მაგალითად:

*– გამარჯობა, ლალი! ვინ არის ეს ბიჭი?*
*– ეს არის ...*
*– რა ჰქვია მას?*
*– მას ჰქვია ...*

მუშავდება სავარჯიშოები სამუშაო რვეულში (გვ. 39, 40)

**<u>ენობრივი საკითხი</u>** (კუთვნილებითობის გამოხატვა: **ვისი? – ჩემი, ომარის, თემურის**...)

1. მასწავლებელი აჩვენებს საკუთარ ნივთს მოსწავლეებს და ამბობს სათანადო ჟესტიკულაციის გამოყენებით (ხელის მკერდზე მიდებით): *ეს არის ჩემი საათი, ეს არის ჩემი წიგნი ...*
2. იღებს ერთ-ერთი მოსწავლის ნივთს და ამბობს: *ეს არის ლალის ფანქარი; ეს არის ომარის წიგნი* და ა.შ.
3. პარალელურად სვამს შეკითხვებსაც: *ვისი წიგნია ეს? – ეს არის ჩემი / ომარის / ფატმას წიგნი* და ა.შ. ვისია ეს ჩანთა? – *ეს ჩანთა ჩემია / ომარისაა / ფატმასია* და ა.შ.
4. მასწავლებლის მითითებით, ანალოგიურ შეკითხვებს სვამენ და პასუხობენ მოსწავლეებიც: *ფატმა, რა არის ეს? – ეს ჩემი ჩანთაა; ომარ, ვისია ეს კალამი? – ჩემი* და ა.შ.
5. პროცესი მომაბეზრებელი და უინტერესო რომ არ გამოგვივიდეს, კარგი იქნება ფოტოების გამოყენებაც. მოსწავლეები ფოტოების მეშვეობით წარადგენენ საკუთარ მეგობრებს, და-ძმას: *ეს ჩემი მეგობარია. მას ჰქვია ... / ეს დიდი ბიჭი ჩემი მეგობარია. ეს პატარა გოგო არის ჩემი და. მას ჰქვია ..... / ეს ბიჭი არის არჩილი. არჩილი ჩემი მეგობარია. ეს გოგო არის არჩილის და. მას ..... ჰქვია* და ა.შ.

   **შენიშვნა:** ჯერ მასწავლებელი შეასრულებს, რათა მოსწავლეებმა კარგად გაიგონ, რის თქმას ითხოვენ მათგან.

6. შესაძლებელია, ამ აქტივობაში ვასწავლოთ სიტყვა „ძმაც“: ეს ბიჭი არის ჩემი ძმა. / ეს არის ჩემი ძმა. მას ჰქვია ...

სრულდება პირველი დავალება წიგნში (გვ. 28).
აქაც შეგვიძლია, დავუბრუნდეთ ახალ სალექსიკონო ერთეულს (ძმა) და გააქტიუროთ: *სოფო არის კახას და / ვინ არის კახა? – სოფოს ძმა.*

სრულდება დავალებები:

- წიგნში (გვ. 28 № 2; გვ. 29; 30 №1)
- რვეულში - გვ. 41-42

**დიალოგის დაკავშირება სურათთან** (წიგნი, გვ. 30, №2)**:** როგორც პირველ თემაში ითქვა, ჯერ მუშავდება სურათი. სურათის მიხედვით, დიალოგში მონაწილე სამი პირიდან მათთვის ორი ნაცნობია. ესენია და-ძმა – სოფო და კახა.

1. მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს: *ვინ არის ეს ბიჭი? რა ჰქვია მას? რა ჰქვია სოფოს ძმას? რა ჰქვია კახას დას? ვინ არის სოფო? ვინ არის? კახა?*

2. მოსწავლეები ასრულებენ დავალებას. მასწავლებლის მითითებით, ისინი მუშაობენ წყვილებში. კითხულობენ დიალოგებს და ასახელებენ, რომელი დიალოგი შეესაბამება სურათს.

3. შესაძლებელია, მოისმინონ დიალოგები და ისე შეასრულონ დავალება. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელი კითხულობს ჯერ პირველ დიალოგს ნელა და გარკვევით (საჭიროების მიხედვით, შესაძლოა, წაიკითხოს ორჯერ) და აცდის პასუხებს მოსწავლეებს. შემდეგ

კითხულობს მეორე დიალოგს იმავე პრინციპით.

4. მოსწავლეები თურქულად ამბობენ, როგორ გამოიცნეს.

სრულდება ამ ქვეთემაში დარჩენილი დავალებები.

## მონაცემები. რიცხვები. ფერები

სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 31)
- რვეულში - გვ. 43

ბუნებრივია, მოსწავლეებს ერთბაშად გაუჭირდებათ ამ რიცხვების დამახსოვრება და არც უნდა მოვთხოვოთ. სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს სიტუაციები და ყოველ ჯერზე, როცა კი ამის საჭიროება იქნება, დასვას სათანადო შეკითხვები, მაგალითად: რამდენი ბავშვია დღეს კლასში? რა რიცხვია დღეს? რამდენი ნივთია ორ ჩანთაში ერთად? სულ რამდენი ახალი სიტყვა ისწავლეს? და ა.შ. კითხვების დასმისას, შესაძლებელია, მასწავლებელმა თურქული ენაც გამოიყენოს, ვინაიდან მოსწავლეებს, შესაძლოა, გაუჭირდეთ ამ შეკითხვების გაგება (და არც მოეთხოვებათ ეს ამ ეტაპზე). მთავარია, რომ მათ სწორად დაასახელონ შესაბამისი რიცხვი ქართულად.

**ტექსტის გაგება** (წიგნი, გვ. 32, №1):

ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი ამუშავებს ილუსტრაციებს.
- მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ნაცნობი პერსონაჟი (თემური);
- უნდა ამოიცნონ სტამბოლის ხედი;
- გამოთქვან ვარაუდები, ვინ არის ის ბიჭი სტამბოლის ფონზე?
- რომელი ქალაქის ხედია თემურის უკან?

ვარაუდების გამოთქმა და მსჯელობები, ბუნებრივია, მიმდინარეობს თურქულად. ამ აქტივობის მიზანია მათი გამოწვევა, მოტივაციის გაზრდა და ისე მიყვანა ტექსტთან.

მასწავლებელი იწერს (ან იმახსოვრებს) მოსწავლეთა ვარაუდებს და ტექსტის წაკითხვის შემდეგ ამბობს, ვისი ვარაუდი გამართლდა და ვისი – არა.

უცნობ სიტყვებზე მუშაობა: შესაძლებელია, მოსწავლეებს ვთხოვოთ წყვილებში მუშაობა. სასურველია, რომ მათ დამოუკიდებლად, მასწავლებლის დახმარების გარეშე, კონტექსტის მიხედვით გამოიცნონ უცნობი სიტყვების მნიშვნელობები. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ინიშნავენ უცნობ სიტყვებს, რომელთაც შემდეგ კარნახობენ მასწავლებელს.

მასწავლებელი, მოსწავლეთა კარნახით, ამ სიტყვებს წერს დაფაზე და მიუწერს შესაბამის კონტექსტებსაც, მაგალითად:

**წლის:** თემური არის თერთმეტი წლის.
**ვცხოვრობ:** თემური ცხოვრობს თბილისში.
ორჰანი ცხოვრობს სტამბოლში.

იქვე წერს მოსწავლეების ვარაუდებსაც – რას შეიძლება ნიშნავდეს ეს სიტყვები. ერთობლივად ზუსტდება მათი მნიშვნელობები. საჭიროებისამებრ, შესაძლოა, გადავამოწმებინოთ ისინი ლექსიკონშიც.

**შენიშვნა:** ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მზამზარეულად არ უთარგმნოს მოსწავლეებს მათთვის უცნობი სიტყვები. პირველ რიგში, უნდა ვაცადოთ, თავად ამოიცნონ ისინი კონტექსტის მიხედვით; შესაძლებელია, დავეხმაროთ მინიშნებებითაც. ვასწავლოთ, როგორ მოძებნონ ის სიტყვა ლექსიკონში.

ტექსტის წაკითხვისა და უცნობი სიტყვების დაზუსტების შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ ტექსტის შემდეგ დასმულ შეკითხვებზე.

**ახალი ენობრივი საკითხები.** *ვცხოვრობ ...-ში / ვარ ქართველი, თურქი*

მასწავლებელი მოცემულ ენობრივ კონსტრუქციებს წერს დაფაზე და კითხვების დახმარებით დააკვირვებს მოსწავლეებს შესაბამის ფორმებზე.

<u>ვინ ცხოვრობს</u>? – მე , ის, თემური, ორჰანი
<u>სად ცხოვრობს</u>? – საქართველოში , თურქეთში; თბილისში, სტამბოლში




სრულდება სათანადო დავალებები
- რვეულში - გვ. 44-46

მოსწავლეების თანამონაწილეობით მასწავლებელი ამ ახალ ზმნას (**ვ**ცხოვრობ) წერს შესაბამის პოსტერზე. დაწერამდე ხმამაღლა კითხულობს ორივე პოსტერზე არსებულ ზმნებს პირველი სუბიექტური პირის ნიშნებზე (**ვ** / **მ**) ხაზგასმით. შესაძლებელია, პარალელურად მივუთითოთ კიდეც თითით ეს ნიშნები. ამგვარი ქმედებით მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ვამახვილებინებთ ყურადღებას მათ შორის არსებულ განსხვავებებზე (პირველ პირში ნიშნები: მე **ვ**-არ / მე **მ**-აქვს; და მესამე პირში ნაცვალსახელის ფორმა – **ის** არის / **მას** აქვს).

ამის შემდეგ მასწავლებელი ხმამაღლა ამბობს ამ ახალ ფორმებს (*მე ვცხოვრობ – ის ცხოვრობს*) და მოსწავლეებთან ერთად მიუჩენს მათ შესაბამის პოსტერზე ადგილს.

**შენიშვნა:** სწავლების დასაწყისში ცალკეული ზმნის ამგვარი დამუშავება შესაძლებლობას მოგვცემს, რომ შემდეგ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად და მარტივად შეძლონ ქართული ენის რთულ ზმნურ ფორმებში გარკვევა.

ბოლოს ასრულებენ წიგნში მოცემულ მეორე დავალებას (გვ. 32-ია).

**რთული ფერები.** მოსწავლეები ცისარტყელას დახმარებით სწავლობენ ფერებს. აკვირდებიან ცისარტყელას, იხსენებენ ნაცნობ ფერებს და ამატებენ ახალს.

1. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს მეოთხე დავალების ნიმუშს (რებუსი) და მოსწავლეებს ყურადღებას ამახვილებინებს რებუსის ამოხსნის პრინციპზე.

2. აზუსტებს, გაიგო თუ არა ყველამ.

3. ბრუნდება მეოთხე დავალებაზე და ახალ ლექსიკას (ყავა, ვარდი, იასამანი) აკავშირებს სურათებთან. **ვარდი** და **იასამანი** მასწავლებელს გადააქვს ლექსიკურ პოსტერზე და წერს სათანადო ადგილას.

4. მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით მუშაობენ მეოთხე დავალებაზე – დამოუკიდებლად ხსნიან რებუსებს.

5. დავალების დასრულების შემდეგ კითხულობენ და ამოწმებენ.

სრულდება სავარჯიშოები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ჯერ რვეულში – გვ. 47. 48, №1,2,3.
- შემდეგ წიგნში – გვ. 34, №1
- ამის შემდეგ ისევ რვეულიდან – გვ. 48, №4 და გვ. 49
- ბოლოს წიგნიდან – გვ. 34, №2,3,4

## ჩემი ოჯახი და ნათესავები

წიგნში მოცემული აქტივობების შესრულებამდე, სასურველია, მასწავლებელმა ჯერ დამატებით იმუშაოს მოსწავლეებთან საოჯახო ფოტოსურათის (ან სხვა სურათების), ან საოჯახო სქემის დახმარებით. გთავაზობთ ნიმუშებს:

1. მასწავლებელს მოაქვს საკუთარი საოჯახო ფოტო (*შესაძლებელია სხვისიც. ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია, რომ ფოტოზე გამოსახულები იყვნენ ოჯახის სამი თაობის წევრები*) და აცნობს მასზე გამოსახულ ადამიანებს მოსწავლეებს, შესაბამისად მიუთითებს თითოეულ მათგანზე:

   *ეს ჩემი ოჯახია. ეს ჩემი ძმაა. მას ჰქვია ------. ჩემი ძმა 18 წლისაა. ეს ჩემი დაა. მას ------ ჰქვია. ------ არის 14 წლის. ეს დედაა. დედას ჰქვია ------. ეს მამაა. მამას ------- ჰქვია. ეს ჩემი ბებიაა. მას ------- ჰქვია. ეს ჩემი ბაბუაა. ბაბუას ჰქვია ------.*

2. სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ მოამზადოს დიდ ფორმატზე (რომ ყველას თავისუფლად შეეძლოს დანახვა) საოჯახო სქემა (იგივე გენეალოგიური ხე), რომელზედაც მიაკრავს სურათებს (ამისათვის შესაძლებელია, გამოვიყენოთ ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები. მთავარია, რომ იყოს სამი თაობა). სურათებს ქვეშ მივამაგრებთ სტიკერებს, რომლებზედაც ეწერება, ვინ არიან – **დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბაბუა** (და-ძმის რაოდენობას განსაზღვრავს თავად მასწავლებელი). სახელებსაც სტიკერებზე დავწერთ და ისე მივამაგრებთ. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში გამოვიყენოთ, კერძოდ:

ა. ჯერ ვაცნობთ სრულად ოჯახის წევრებს – ვინ არიან და რა ჰქვიათ (შესაბამისად, ყველა სტიკერია მიმაგრებული სქემაზე): *ეს არის ძმა. მას ჰქვია კახა. კახას დას ჰქვია ლალი. აი, ეს არის ლალი. ეს არის კახას და ლალის დედა. დედას ჰქვია ანა. ეს კახას და ლალის მამაა. მამას არჩილი ჰქვია* და ა.შ.




ბ. ამის შემდეგ წარიმართება ინტერაქცია მოსწავლეებთან: *რა ჰქვია კახას მამას? ვინ არის ანა? ვისი ძმაა კახა? რა ჰქვია ლალის ძმას? ვინ არის ანას დედა/მამა? რა ჰქვია არჩილის მამას/ დედას?* და ა.შ.

გ. შემდეგ მოსწავლეები დასვამენ მსგავს შეკითხვებს ერთმანეთთან და უპასუხებენ.

დ. ამის შემდეგ მასწავლებელი ხსნის სქემიდან იმ სტიკერებს, რომლებსაც აწერიათ დედა, მამა და ა.შ. და ტოვებს მხოლოდ სახელებს. სვამს მორიგ შეკითხვებს: ვინ არის ანა, არჩილი, კახა, შოთა, დილა? და ა.შ. რა ჰქვია კახას დედის დედას/მამას? ლალის მამის დედას...?

ე. სრულად მოხსნან სტიკერები და მოსწავლეებმა მიაკრან იმის მიხედვით, ვის როგორ ახსოვს და ა.შ.

3. მოსწავლეებს ვყოფთ ჯგუფებად და ვაძლევთ დავალებას.
   ა. ეს შეიძლება იყოს მსგავსი საოჯახო სქემის მომზადება და წარდგენა სხვებისთვის. ჯერ თავად საუბრობენ მათ შესახებ (ვინ არის, რა ჰქვია და ა.შ.), შემდეგ პასუხობენ სხვების შეკითხვებზე.
   ბ. შესაძლებელია, რეალურად საკუთარი ოჯახის წევრების გაცნობაც.

საინტერესოა შედარების გაკეთება თურქულთანაც.

ამგვარი გავარჯიშების შემდეგ მოსწავლეები საკმარისად იქნებიან მზად იმისათვის, რომ მარტივად და სწრაფად დაძლიონ წიგნსა და რვეულში ამ ქვეთემის ფარგლებში მოცემული დავალებები.

სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 35; 36 № 1,2, 3.)
- რვეულში - გვ. 50-51

**მუშავდება ახალი ლექსიკა** (მშობლები, შვილები, შვილიშვილები).

სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 36 №4; 37-38)
- რვეულში - გვ. 52

**<u>გრამატიკული საკითხები:</u>** მოცემული ქვეთემა ენობრივი თვალსაზრისით, რამდენიმე გრამატიკული საკითხის ათვისებას გულისხმობს. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შემდეგ შეძლონ საკუთარი თუ სხვისი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის გადაცემა და მიღება, მნიშვნელოვანია მოცემული გრამატიკული ცოდნის გაგება/გააზრება და გამოყენება. რა უნდა გავითვალისწინოთ ამ საკითხების სწავლებისას და როგორ წარვმართოთ სასწავლო პროცესი ისე, რომ მოსწავლეებს, ერთი მხრივ, არ დავუკარგოთ სწავლის მოტივაცია და, მეორე მხრივ, გავუმარტივოთ მათი ათვისება.

- პირველ, რიგში, უნდა მოვერიდოთ გრამატიკული საკითხების კონტექსიდან მოწყვეტით მხოლოდ თეორიულ სწავლებას.
- პირველ რიგში, თვალსაჩინოებების გამოყენებითა და კონკრეტული მაგალითებით გავაგებინოთ, მივახვედროთ, დავაკვირვოთ ამა თუ იმ საკითხზე, პრობლემაზე.
- წესების ნაცვლად გამოვიყენოთ მყარი ენობრივი ფორმულები.
- მათ გასააქტიურებლად, კონკრეტულ ენობრივ სავარჯიშოებთან ერთად, მივმართოთ ყოფით სიტუაციებსა და საინტერესო კონტექსტებს.

ბუნებრივია, კატეგორიულად არ უნდა გამოვრიცხოთ სიტყვიერი ახსნაც, რომელსაც, საჭიროებისამებრ, უნდა მიმართოს მასწავლებელმა (განსაკუთრებით ამ ეტაპზე ეს პროცესი თურქულ ენაზე უნდა წარიმართოს). კარგი იქნება, ამ დროს პარალელებსაც თუ გავავლებთ თურქულ ენასთან. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთ დაინახონ ორ ენობრივ სისტემას შორის არსებული მსგავსება თუ განსხვავება.

1. <u>სახელის მრავლობითი რიცხვი.</u>

მრავლობით რიცხვში სახელის გადაყვანისას ზოგიერთი სახელი კარგავს გარკვეულ ხმოვნებს. ზოგი ხმოვანს კარგავს ბოლოში, ზოგი – შუაში. ამ მოვლენის უკეთ აღსაქმელად, სასურველია, მასწავლებელმა მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები ერთ სიბრტყეზე დაალაგოს და ისე მიაწოდოს მოსწავლეებს. ამისათვის ის ამ ფორმებს წერს დაფაზე ან დიდ ფორმატზე.

| | | |
|---|---|---|
| დ**ა** – დ-ები<br>ძმ**ა** – ძმ-ები ... | მშობ**ე**ლი – მშობლ-ები | შვილი – შვილ-ები |

ბუნებრივია, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი თეორიული მსჯელობა, უბრალოდ უნდა

ვაჩვენოთ, რა ხდება და ნელ-ნელა მივიყვანოთ გარკვეული კანონზომიერებების აღმოჩენამდე.

უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომების დაშვების ალბათობა (მით უფრო საწყის ეტაპზე) დიდი იქნება (მოსალოდნელია მათგან დაების, ძმაებისა და ა.შ. ფორმათა ხმარება), ამიტომ საჭიროა, მასწავლებელი მოთმინებით აღიჭურვოს და ნელ-ნელა, მიზანმიმართულად იმუშავოს ამ პრობლემის დასაძლევად. რა თქმა უნდა, აუცილებლად, ყოველ ჯერზე, უნდა გასწორდეს არასწორი ფორმები. უნდა მოვიფიქროთ მეტი სიტუაციური და კომუნიკაციური აქტივობები, სადაც აუცილებელი იქნება მრავლობითის გამოყენება.

2. <u>ნაცვალსახელები:</u>

წიგნში მოცემულია ნაცვალსახელების ბლოკი, რომელთა ათვისება-განმტკიცებას ემსახურება წიგნისა და რვეულის არაერთი სავარჯიშო.

- წიგნში (გვ. 39, №2,3,4)
- რვეულში - გვ. 53

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვინ? | მე | შენ | ის | ჩვენ | თქვენ | ისინი |
| ვის? | მე | შენ | მას | ჩვენ | თქვენ | მათ |
| ვისი? | ჩემ**ი** | შენ**ი** | მისი | ჩვენ**ი** | თქვენ**ი** | მათი |
| ვისთან? | ჩემთან | შენთან | მასთან | ჩვენთან | თქვენთან | მათთან |

მოცემული ნაცვალსახელების გასააქტიურებლად მასწავლებლებს შეუძლიათ, მიუბრუნდნენ წიგნში მოცემულ ომარის ოჯახის წევრებს, ასევე გამოიყენონ დამატებით შექმნილი რესურსები, რომლებიც უნდა შეივსოს დამატებითი ინფორმაციით (გარდა იმისა, ვინ არიან და რა ჰქვიათ, უნდა დაემატოს ინფორმაცია იმის შესახებ, სად ცხოვრობენ და ვისთან ერთად).
მოსწავლეებს ვაბრუნებთ გენეალოგიურ ხესთან (გვ. 29-აა) და ვუსვამთ სათანადო შეკითხვებს. მასწავლებლის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა დაუსვან ერთმანეთს მსგავსი შეკითხვები, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ შეკითხვებიც და პასუხებიც ითხოვდეს ნაცვალსახელების გამოყენების აუცილებლობას.
აქტივობა მოსწავლეებისათვის საინტერესო და სახალისო რომ იყოს, შეგვიძლია მას თამაშის სახე მივცეთ: **„გამოიცანი, ვინ არის?“**
გთავაზობთ სავარაუდო შეკითხვების ნიმუშებს ომარის ოჯახის წევრებთან დაკავშირებით.

ა. *ისინი ბათუმში ცხოვრობენ. ვინ არიან ისინი?*
ბ. *მას სამი შვილი ჰყავს. რა ჰქვია მას?*
გ. *მისი მშობლები თბილისში ცხოვრობენ. ვინ არის ის?*
დ. *ისინი შვილიშვილებთან ცხოვრობენ. რა ჰქვიათ მათ?*
ე. *მას სამი შვილი ჰყავს და მშობლებთან ერთად ცხოვრობს. ვინ არის და რა ჰქვია მას?* და ა.შ.

3. <u>სიტყვათწარმოება:</u> წარმომავლობა (სადაური?)

წიგნსა და რვეულში მოცემული სავარჯიშოების გარდა, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებთან წარიმართოს ინტერაქცია:

*– შენ სად ცხოვრობ, მერიემ?*
*– შენ სტამბოლში ცხოვრობ?*

*– შენ სტამბოლელი ხარ?*
*– სად ცხოვრობს ბებიაშენი?*
*– სადაურია შენი მეგობარი?*
*– სად ცხოვრობს ის?* და ა.შ.

შესაძლებელია, მოსწავლეთა პასუხები იყოს მოკლე (კი, არა). ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეებს უნდა მივუთითოთ, რომ აუცილებელია სრული პასუხების გაცემა.

**ახალი ლექსიკური ერთეულები** (დეიდა/დეიდაშვილი; მამიდა/მამიდაშვილი; ბიძა/ბიძაშვილი)

ყურადღება უნდა მიექცეს მრავლობითის წარმოებასაც: *მამიდა – მამიდები, დეიდა – დეიდები* და ა.შ. (ამის შესახებ იხ. ზემოთ).

სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 40 )
- რვეულში - გვ. 54-57

**ტექსტის გაგება** (წიგნი, გვ. 42, №1)

~~ტექსტის წაკითხვამდე,~~ მოსწავლეებს ვაცნობთ გოგონას და ვუსვამთ შეკითხვებს: *ეს გოგონა არის ფერიდე. თქვენი აზრით, სადაურია ფერიდე? სად ცხოვრობს ის? ვინ არიან მისი ნათესავები და სად ცხოვრობენ ისინი?*

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, რომლებიც მოწმდება ტექსტის წაკითხვის შემდეგ. სასურველია, მასწავლებელმა ჩაინიშნოს ან დაიმახსოვროს ისინი და ბოლოს დააკონკრეტოს, ვისი ვარაუდი გამართლდა და ვისი – არა.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეების პასუხობენ ტექსტის ბოლოს დასმულ შეკითხვებს.
სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 42 № 2,3)
- რვეულში- გვ.58

თემის ბოლო გვერდზე (წიგნი, გვ. 43, №4,5) მოცემული დავალებები შემაჯამებელი ხასიათისაა. ეს დავალებები მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს მოსწავლეთა ცოდნა და განსაზღვროს – რა აითვისეს, რა ვერ აითვისეს, რა გაუჭირდათ, რატომ და ა.შ.

შემაჯამებელი შეფასების წინ გააფრთხილეთ მოსწავლეები და გააცანით შეფასების კრიტერიუმები.
რაც შეეხება წერითმეტყველებაში შემაჯამებელი შეფასების ჩატარებას, შეგიძლიათ გამოიყენოთ რვეულში მოცემული დავალებები (გვ. 59, №5 და გვ. 60, №1; შეფასების სქემის ნიმუშები იხ., ქვემოთ, შეფასების რუბრიკაში).

მასწავლებელი დაუბრუნდება იმ საკითხებს, რომლებიც გამოიკვეთება და დამატებითი აქტივობების გამოყენებით შეეცდება ამ ხარვეზების ამოვსებას.

სქემა თემის შემაჯამებელი შემოწმებისათვის:




**პროექტი.** ახალ თემაზე გადასვლამდე, მოსწავლეებს ვთავაზობთ პროექტს – „ჩემი ოჯახი და ჩემი ნათესავები“.
მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი ოჯახის წევრების ალბომს, აფორმებენ და წარადგენენ კლასის წინაშე პრეზენტაციით – ვინ არიან, რა ჰქვიათ, სადაურები არიან, სად ცხოვრობენ და ა.შ.

**ცოდნისა და უნარების შემოწმება.** სრულდება აღწერილი წესისა და მითითებების გათვალისწინებით.

# მესამე თემა – „ჩემი სახლი“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

| | |
|---|---|
| **ძირითადი მიზნები** | • ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• მინიდიალოგების გათამაშება;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ადამიანის აღწერა-დახასიათება; ადგილის აღწერა;<br>• ინტერაქცია საკუთარი საცხოვრებელი სახლის / ოთახის შესახებ;<br>• უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა;<br>• მოკლე აღწერითი ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით;<br>• მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. |
| **ძირითადი ლექსიკა** | საცხოვრებელი ადგილი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა: სახლი, ეზო, სართული, აივანი...<br><br>ინტერიერი: ოთახები, საძინებელი, სამზარეულო...<br>საოჯახო ავეჯი და საყოფაცხოვრებო ნივთები |
| **ძირითადი ენობრივი საკითხები**<br><br>**ფორმულები კონსტრუქციები** | რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება;<br>სახელის მრავლობითობა;<br>კუთვნილებითობის გამოხატვა (ვისი? – სამივე პირის ორივე რიცხვში);<br>ადგილის მითითება (სად? რომელ სართულზე?)<br>ჩვენებითი ნაცვალსახელი (ეს / ამ);<br>სიტყვათწარმოება (...-იანი: ქუდიანი, წვერიანი; გრძელწვერიანი, დიდეზოიანი...) |

**წამყვან გვერდზე მუშაობა** მიმდინარეობს იმავე პრინციპით, რომელზედაც უკვე ვისაუბრეთ.

## ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

პირველ რიგში, მუშავდება ახალი **ლექსიკური ერთეული** – „სართული“ და შესაბამისი **გრამატიკა** – სიტყვათწარმოება: **...-იანი.**

*ერთ**ი** სართული* → *ერ**თს**ართულიანი / ცხრ**ა** სართული* → *ცხრ**ა**სართულიანი*

- მასწავლებელი აღწერს წამყვან გვერდზე მოცემულ ოთხსართულიან სახლს – *ეს არის სახლი. სახლს აქვს ოთხი სართული. ეს სახლი არის ოთხასრთულიანი.* – და თან მიუთითებს შესაბამისად სურათზე.
- სახლების სხვადასხვა სურათსა თუ ფოტოს მასწავლებელი ადარებს ერთმანეთთან: *ამ სახლს აქვს ოთხი სართული, ამ სახლს აქვს ორი სართული. ეს სახლი არის ოთხასრთულიანი, ეს სახლი – ორსართულიანი.*
- მოცემულ ფოტოებსა თუ სურათებზე დაყრდნობით, სვამს შეკითხვებს, მოსწავლეები პასუხებენ და უთითებენ: *რომელია ოთხსართულიანი / ორსართულიანი ... სახლი? რამდენი სართული აქვს ამ სახლს? რამდენსართულიანია ეს სახლი?* და ა.შ.
- მოსწავლეები უსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს და პასუხობენ.
- ამბობენ, ვინ რამდენსართულიან სახლში ცხოვრობს.
- გაითამაშებენ მინიდიალოგებს (მოდელირებისათვის, პირველად მასწავლებელი გაითამაშებს ერთ მოსწავლესთან ერთად). წარმოვადგენთ ორიოდე ნიმუშს სხვადასხვა კონსტრუქციის გამოყენებით:

– რამდენსართულიანი სახლი გაქვს?
– ერთსართულიანი, შენ რამდენსართულიანი სახლი გაქვს?
– მე ორსართულიანი სახლი მაქვს.

– რამდენსართულიანია შენი სახლი?
– ერთსართულიანი, შენი რამდენსართულიანია?
– ჩემი სახლი ორსართულიანია. ჩემს სახლს ორი სართული აქვს.

**დიალოგების დაკავშირება სურათთან** (წიგნი, გვ. 47, №1). დიალოგების წაკითხვამდე მუშავდება ილუსტრაცია. მასწავლებელი შეკითხვებით ეხმარება მოსწავლეებს, დააკვირდნენ და აღწერონ სურათი.

ა. *რამდენსართულიანია ეს სახლი? ის სახლი?*
ბ. *ვინ არიან ესენი? ისინი?*
გ. *სად არიან ბიჭები? გოგონები?*
დ. *რა ჰქვია ამ გოგონას?*
ე. *ვინ არის ეს გოგონა?*
ვ. *სად არის თეონა?*
ზ. *ვინ დგას აივანზე? / ვინ არის აივანზე?*
თ. *ვისი სახლია ის?* და ა.შ.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 47 № 1,2,3.)
- რვეულში - გვ. 61-62

**ენობრივ საკითხზე დაკვირვება:** ის / იმ; ეს / ამ

მათ შორის არსებული განსხვავება მასწავლებელმა სათანადო კითხვებითა და მარტივი სიტუაციების გათამაშებით უნდა დაანახოს მოსწავლეებს. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ განსხვავების გაგება მოსწავლეებს ისედაც არ უნდა გაუჭირდეთ, ვინაიდან მასწავლებელს საკლასო სიტუაციაში თითქმის ყოველ გაკვეთილზე უწევს მათი დასახელება. შესაბამისად, მოსწავლეებს ყურში გამჯდარი აქვთ ეს ფორმები.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა უკვე აქტიურად გამოიყენონ ეს ფორმები სათანადო სიტუაციებში.

1. მასწავლებელი მიდის ერთ-ერთ მოსწავლესთან, მიუთითებს და კითხულობს – *ვინ არს ეს გოგონა? რა ჰქვია ამ გოგონას?* ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სათანადო მახვილები დასვას ამ ნაცვალსახელებზე (**ეს** გოგონა. **ამ** გოგონას). ანალოგიურ შეკითხვებს სვამს ის სხვა მოსწავლეებთან მიმართებაშიც.

   ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმაც სრულად უპასუხონ – *ეს გოგონა არის დილა. ამ გოგონას ჰქვია დილა.*

   **მიზანი:** სწორად გამოიყენოს ეს ნაცვალსახელები კონტექსტში.

   ამიტომ, მოკლე პასუხების შემთხვევაში, მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ უპასუხონ სრულად. საჭიროებისამებრ, მოდელირებას ახდენს თავად მასწავლებელი.

2. ამ ნაცვალსახელების გამოყენებით მასწავლებელი მუშაობს წინა სურათებზეც. სვამს შეკითხვებს და მოსწავლეები პასუხობენ – *რამდენი სართული აქვს **ამ** სახლს? ვინ დგას **ამ** აივანზე? ვინ ცხოვრობს **ამ** სახლში? რა ჰქვია **ამ** გოგოს?* და ა.შ.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 48 )
- რვეულში -გვ. 63 №4,5,6; გვ.64 №1,2,3.

**ახალი ლექსიკა** (*სათვალე, წვერი, ულვაში, ქუდი, მანქანა*): მუშავდება მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 49-50)
- რვეულში- გვ. 65-69

ენობრივი სავარჯიშოების შესრულების შემდეგ მასწავლებელი გადადის მოსწავლეებთან და უსვამს მათ პირად შეკითხვებს:

ა. *ვის სახლს აქვს აივანი? ვისი სახლია აივნიანი?*
ბ. *ვის აქვს ეზოიანი სახლი?*
გ. *ვინ ცხოვრობს ორსართულიან სახლში?*
დ. *ვის ჰყავს ულვაშიანი / წვერიანი ბაბუა, მამა, ბიძა?*
ე. *ვის ჰყავს სათვალიანი ბებია ...?*
ვ. *ვისი ბებიაა თეთრთმიანი?* და ა.შ.

შესაძლებელია, გამოვიყენოთ საკლასო სიტუაციაც და ისე დავსვათ შეკითხვები:

ა. *ვინ არის კლასში სათვალიანი? ქუდიანი? საათიანი? ტელეფონიანი? გრძელჩანთიანი? დიდჩანთიანი? ...*
ბ. *ვინ არის შავთმიანი? გრძელთმიანი? ლურჯთვალა?*
გ. *ვის აქვს სათვალე? გრძელი თმა? დიდი ჩანთა?* და ა.შ.

**გამოიცანი, ვინ არის.** თამაშს პირველად იწყებს მასწავლებელი. ის ჩაიფიქრებს ერთ-ერთ მოსწავლეს, აღწერს და მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, ვინ არის.

მაგალითად: *არის მაღალი და შავთმიანი, აქვს გრძელი თმა და ლურჯი თვალები.*

საჭიროებისამებრ, ამატებს ბიჭია თუ გოგო. შემდეგ მოსწავლეები ჩაიფიქრებენ, აღწერენ და გამოიცნობენ.

**გრამატიკა.** <u>რიგობითი რიცხვითი სახელები.</u>

სრულდება წიგნისა და რვეულის სავარჯიშოები. ყურადღება უნდა გახვილდეს წარმოების წესზე:

ორი → **მე**-ორ-**ე**
გამონაკლისი: ერთი → <u>პირველი</u>

დამატებით აქტივობად შესაძლებელია, მოსწავლეებს გარკვეული პერიოდულობით გავათვლევინოთ რიგზე:

ა. ჯერ ერთი რიგი გაითვლის, შემდეგ – მეორე;
ბ. გოგონები ცალკე გაითვლიან, ბიჭები – ცალკე;
გ. გავათვლევინოთ სიმაღლისდა მიხედვით და ა.შ.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 51-53)
- რვეულში -გვ. 70-71

**დიალოგების აწყობა.** დავალების შესრულებამდე, მოსწავლეები ჯერ ყველა რეპლიკას უნდა გაეცვნენ და გაუგებარი / უცნობი სიტყვების (თუკი არის ასეთი) მნიშვნელობები დააზუსტონ / გაიხსენონ.

ჯერ სრულდება პირველი დიალოგი, მოწმდება და შემდეგ გადადიან მეორე დიალოგის აწყობაზე.
პირველი-ორი რეპლიკა, სასურველია (ვინაიდან მაინც პირველად სრულდება ამ ტიპის დავალება), მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად მოძებნონ. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მზამზარეულად არ მიაწოდოს მათ ეს რეპლიკები. საწყის რეპლიკას მკვეთრი მარკერი აქვს (დიალოგი იწყება მისალმებით). ამიტომ, სავარაუდოდ, მოსწავლეებს არც უნდა გაუჭირდეთ მისი მოძებნა.

ამის შემდეგ სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 55, №3,4,5)
- რვეულში - გვ. 72

## სახლის ინტერიერი

ჯერ მუშავდება ახალი სალექსიკონო ერთეულები იმავე მითითებების გათვალისწინებით და შემდეგ სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 56; 57 № 3)
- რვეულში - გვ. 73-76

**მუშაობა ახალ ზმნებზე:** დგას, კიდია

1. საკლასო სიტუაციის გამოყენებით მასწავლებელი მიუთითებს, რა დგას საკლასო ოთახში და რა კიდია კედელზე: *ოთახში დგას მაგიდა... კედელზე კიდია სურათი, საათი ...*
2. სვამს შეკითხვებს და ჯერ თავადვე პასუხობს, შემდეგ ჩართავს მოსწავლეებსაც: *სად დგას მაგიდა? – ოთახში; სად კიდია საათი? –* კედელზე და ა.შ.
3. გამოქვს დაფაზე სქემა და სქემაზე მითითებით თავიდან სვამს და პასუხობს შეკითხვებს:




   მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს დავაფიქსირებინოთ, შეკითხვაზე – **სად?** როგორია სიტყვათა დაბოლოებები: **...-ში / ...-ზე**.

4. მასწავლებელი უბრუნდება პირველი დავალების სურათს (გვ. 50) და უსვამს მოსწავლეებს შეკითხვებს:
   ა. *რა დგას სასტუმრო ოთახში? სამზარეულოში?* და ა.შ.
   ბ. *სად დგას მაცივარი? სავარძელი?* და ა.შ.
   გ. *რა კიდია აბაზანაში, საძინებელში?*
   დ. *სად კიდია სურათი?* და ა.შ.

5. შემდეგ მოსწავლეები უსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს და პასუხობენ.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 57, №4)

**სურათების აღწერა** (წიგნი, გვ. 58)**.** დავალების შესრულებამდე მუშავდება ახალი ლექსიკა (*კარი, ფანჯარა, ფარდა, პირსახოცი*).

- მასწავლებლის შეკითხვების დახმარებით მოსწავლეები აღწერენ სურათებს.
- შემდეგ მუშაობენ წყვილებში. უსვამენ ერთმანეთს მსგავს შეკითხვებს და პასუხობენ.

მეორე დავალების შესრულებამდე, მოსწავლეებს ყურადღებას ვამახვილებინებთ ოჯახის წევრებზე:

- სად არის დედა? მამა? ძმა? და ა.შ.
- რომელ ოთახშია ბებია? და? დედა? და ა.შ.
- რა გქვია ამ ბიჭს? მის დას?
- ვისი სახლია ეს?
- ვისი ოჯახი ცხოვრობს ამ სახლში?
- რა ჰქვია მათ მშობლებს? ბებიას? ბაბუას?
- ვისი მშობლები არიან ბებია და ბაბუა?

სახელების გასახსენებლად მოსწავლეებს ვაძლევთ საშუალებას, გამოიყენონ წიგნი და მოძებნონ.

ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე მეორე დავალების წინადადებებს წერს:

1. დედა ამზადებს საჭმელს.
2. ბაბუა კითხულობს გაზეთს.
3. ბებია და მამა უყურებენ ტელევიზორს.
4. ბიჭი იძინებს.
5. გოგონა იბანს ხელებს

ამ წინადადებებს ვაკავშირებინებთ მოსწავლეებს სურათებთან და ვთხოვთ, განმარტონ ზმნების მნიშვნელობები (ამზადებს, კითხულობს, უყურებს, იძინებს, იბანს). მოსწავლეები ამოწმებენ საკუთარ ვარაუდებს ლექსიკონში.

ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე (ან დიდ ფორმატზე. ამას მნიშვნელობა არ აქვს) აკეთებს მარტივ ცხრილს მოსწავლეების თანამონაწილეობით.

| **ვინ?** | **რას?** | **აკეთებს** |
|---|---|---|
| დედა | საჭმელს | ამზადებს |
| მამა | ტელევიზორს | უყურებს |
| ბებია | ტელევიზორს | უყურებს |
| ბაბუა | გაზეთს | კითხულობს |
| და | ხელებს | იბანს |
| ძმა | ---------- | იძინებს |

სრულდება მეორე დავალება წიგნში (გვ. 58) და სათანადო სავარჯიშოები რვეულში.

**გრამატიკა:** <u>სახელის მრავლობითობა.</u>

რვეულში ამ საკითხს ეთმობა სავარჯიშოთა ფართო სპექტრი: გვ. 77-81.

ბოლოს მოსწავლეები საუბრობენ საკუთარი საცხოვრებელი სახლების შესახებ (გვ. 59 №5).

მუშავდება წიგნის 60-51 გვერდები.

**ცოდნისა და უნარების შემოწმება.** სრულდება აღწერილი წესისა და მითითებების გათვალისწინებით.

მოსწავლეებს **ვასმენინებთ ზღაპარს** „გოგონა და სამი დათვი“. საჭიროებისამებრ, მასწავლებელი ეხმარება მათ გარკვეული ფრაზების გაგებაში.

# მეოთხე თემა – „სკოლაში“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

| | |
|---|---|
| **ძირითადი მიზნები** | • ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• მინიდიალოგების გათამაშება;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ადგილის აღწერა;<br>• საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (უყვარს / არ უყვარს; აინტერ-ესებს / არ აინტერესებს);<br>• დროში ორიენტაცია (მიუთითებს, რომელი საათია, როდის რა აქვს და ა.შ.);<br>• ინტერაქცია გაკვეთილების ცხრილზე, საყვარელ საგნებზე, სასკოლო საქმიანობაზე;<br>• უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა;<br>• გაკვეთილების ცხრილის შედგენა;<br>• მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. |
| **ძირითადი ლექსიკა** | სკოლა, კლასი... საკლასო ნივთები<br>მასწავლებელი, მოსწავლე<br>საგნები: მათემატიკა, სპორტი, სიმღერა, ხატვა...<br>სასკოლო აქტივობები<br>კვირის დღეები: ორშაბათი, სამშაბათი...<br>დრო: საათი, წუთი |
| **ძირითადი ენობრივი საკითხები**<br><br>**ფორმულები კონსტრუქციები** | მისალმება: გამარჯობა! სალამი! დილა მშვიდობისა!<br>სახელის მრავლობითობა;<br>კუთვნილებითობის / დანიშნულების გამოხატვა (...-ის: – სკოლის ჩანთა, ქარ-თულის მასწავლებელი...);<br>დროის მითითება (რომელი საათია? რომელ საათზე?);<br>„ყოფნა“ ზმნა სამივე დროში;<br>თავისებური ზმნა: დევს – აწყვია;<br>ზმნების წარმოება აწმყო დროში. |

**წამყვან გვერდზე მუშაობა** მიმდინარეობს იმავე პრინციპით, რომელზედაც უკვე ვისაუბრეთ. მოსწავლეები საუბრობენ ახალი თემის შინაარსზე.

მასწავლებლის მითითებით:

1. მოსწავლეები აკვირდებიან წამყვანი გვერდის ილუსტრაციებს და აღწერენ მათ მასწავლებლის კითხვების დახმარებით.
2. ასახელებენ ნაცნობ ნივთებს, აღწერენ ბავშვებს და ა.შ.
3. სწავლების ენაზე (თურქულად) გამოთქვამენ ვარაუდებს, რას შეისწავლიან ისინი ამ თემაში.
4. ამის შემდეგ აკავშირებენ სურათებს თემის სათაურთან

## საკლასო ოთახი. საკლასო ნივთები

პირველი დავალების შესრულებამდე მუშავდება მისალმების ფორმულები. მასწავლებელი იყენებს დაფას (ან დიდ ფორმატს) და მოსწავლეებთან ერთად აკონკრეტებს, როდის ვესალმებით ასე.




<u>დიალოგების წაკითხვამდე</u> (გვ. 65, №1) მუშავდება ილუსტრაცია და შესაბამისი ახალი ლექსიკა.

1. ეძებენ და ასახელებენ ნაცნობ პერსონაჟებს. სურათის მიხედვით განმარტავენ, რას ნიშნავს – სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე (თუმცა, სავარაუდოდ, მათთვის ეს ლექსიკა ამ ეტაპისთვის უცხო აღარ უნდა იყოს).

2. მასწავლებელი პარალელს ავლებს საკუთარ თავთან და თავის მოსწავლეებთან: მე ვარ მასწავლებელი. მე ვარ თქვენი ქართულის მასწავლებელი. თქვენ ხართ მოსწავლეები. მერიემი არის ჩემი მოსწავლე, არჩილიც მოსწავლეა. არჩილიც არის ჩემი მოსწავლე და ა.შ.

3. ასევე საუბრობს სკოლაზე / კლასზე: ეს არის ჩვენი სკოლა, ეს ჩვენი კლასია...

4. საჭიროებისამებრ, ახალი ლექსიკა გადაგვაქვს ლექსიკურ პოსტერზე შემდგომი მუშაობისათვის.

<u>ინტერაქცია კლასში.</u>

1. მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს: რა ჰქვია თქვენს მათემატიკის მასწავლებელს? სპორტის მასწავლებელს?... თქვენ გყავთ ულვაშიანი/სათვალიანი მასწავლებელი? რა ჰქვია მას? რისი მასწავლებელია ის?

2. გაითამაშებენ თემატურ დიალოგებს (ჯერ მოდელირებას აკეთებს მასწავლებელი ერთ მოსწავლესთან ერთად):

*– გამარჯობა, მერიემ, როგორ ხარ?*
*– კარგად!*
*– რომელ კლასში ხარ?*
– .....
*– გყავს და-ძმა?*
– ---------
*– რომელ კლასშია შენი და?*
– .....
*– ვინ არის შენი დის მათემატიკის მასწავლებელი?*
– .....
*– შენი ძმაც მოსწავლეა? ის რომელ კლასში სწავლობს?* და ა.შ.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 65 № 1,2; გვ. 66)
- რვეულში - გვ. 82-83; გვ 84 №1

**ახალი ლექსიკა** (სკოლის ნივთები, სასკოლო ავეჯი) მუშავდება მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

**გრამატიკა**.

1. <u>თავისებური ზმნა</u> (დევს ის – აწყვია ისინი)
2. <u>სახელის მრავლობითობა</u>

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 67-69)
- რვეულში - გვ. 84 №2,3; გვ. 85-86

ამ საკითხების გაგება-გააზრებასა და ათვისებას ემსახურება წიგნსა და რვეულში მოცემული მთელი რიგი სავარჯიშოები. საჭიროებისამებრ, დამატებითი ვარჯიშისათვის, შესაძლებელია, მასწავლებელმა მსგავსი სახარჯიშოები მოუმზადოს და შესთავაზოს მოსწავლეებს ინდივიდუალურად.

## საგნები, კვირის დღეები და საათები

მოცემულ ქვეთემაში, ენობრივი თვალსაზრისით, წამყვანია სხვადასხვა ტიპის ზმნების (ე.წ. **ვ**ინიანი და **მ**ანიანი ზმნების) სინტაქსურ კონსტრუქციებზე დაკვირვება და კონკრეტულ ზმნებთან (ასევე უკვე ნასწავლ ზმნებთანაც) შედარება. ასევე დროში ორიენტირება (საათის ცნობა).

**შენიშვნა:** სწავლების პირველ და მეორე ეტაპებზე (ანუ, მეხუთე-მეექვსე კლასებში) შეგნებულად არ შევიტანეთ წიგნებში ეს ტერმინები – **ვ**ინიანი / **მ**ანიანი, თუმცა ზმნური ლექსიკონი სწორედ ამ პრინციპითაა დალაგებული (იხ. ზმნური ლექსიკონის დალაგების პრინციპი, გვ. ). თუმცა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მასწავლებელმა ზმნების პოსტერებზე სწორედ ამ პრინციპის დაცვით გააგრძელოს ახალი ზმნების შეტანა (ამის შესახებ საუბარი გვქონდა ზემოთაც). კვლავ წარმოვადგენთ ნიმუშებს:

**ვ**ინიანი

| **მე** | **ის** |
|---|---|
| **ვ**არ | არის |
| **ვ**დგები | დგება |
| **ვ**ცხოვრობ | ცხოვრობს |
| **ვ**სწავლობ | სწავლობს |
| ... | ... |

**მ**ანიანი

| **მე** | **მას** |
|---|---|
| **მ**ქვია | ჰქვია |
| **მ**აქვს | აქვს |
| **მ**ყავს | ჰყავს |
| **მ**იყვარს | უყვარს |
| **მ**აინტერესებს | აინტერესებს |
| ... | ... |

ამგვარი თვალსაჩინოება დაეხმარება მოსწავლეს ნასწავლი ზმნების სწორად გამოყენებაში და სწორი სინტაქსური კონსტრუქციების აგებაში.
ყოველი ახალი ზმნის შეტანის დროს, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს, რომელ ფორმატზე შეიტანოს (ანუ, **ვ**ინიანია ის ზმნა თუ **მ**ანიანი).

მარკერებად შეგვიძლია გამოვიყენოთ პირველი სუბიექტური (ანუ მოქმედი) პირის ფორმებში არსებული პირის ნიშნები: ვ / მ (ვარ / მაქვს).

რაც შეეხება სწორი სინტაქსური კონსტრუქციების აგებას, ასეთ შემთხვევაში მარკერის როლს ასრულებს მესამე პირი:

ის → **ვინ?** — ბიჭი, გოგო, მოსწავლე, დედა...

ის → არის / მას → **ვის?** — ბიჭს, გოგოს, მოსწავლეს, დედას...

ეს სქემა, სასურველია, მოსწავლეებთან ერთად გაკეთდეს და გარკვეული დროის განმავლობაში დაიკიდოს თვალსაჩინო ადგილას.

არასწორი კონსტრუქციების აგებისას (მაგ., *ბიჭი აქვს ბურთი / თემური უყვარს ქართული* და ა.შ.) მასწავლებელი უთითებს ზმნურ პოსტერზე და ახდენს მასზე დაკვირვებას: **ვინ** არის, ცხოვრობს, სწავლობს? – **ის** (ბიჭი, გოგო...), **ვის** აქვს, ჰყავს, უყვარს? – **მას** (ბიჭს, გოგოს...).

სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 70-72)
- რვეულში -გვ. 87-93

მუშავდება მორიგი ენობრივი საკითხები: ლექსიკა (რიცხვები და კვირის დღეები) და „ყოფნა“ ზმნა სამივე დროში (ვარ – ვიყავი – ვიქნები).

1. პირველ რიგში დაამუშავეთ რიცხვები წიგნსა და რვეულში მოცმული დავალებებისა და სავარჯიშოების გამოყენებით (წიგნში – გვ. 73; რვეულში – გვ. 94, 95, №5,6,7).
2. წიგნში მოცემული სქემა (არის – იყო – იქნება) გადაიტანეთ დაფაზე და ისე იმუშავეთ მასზე.

3. შეასრულეთ სავარჯიშოები წიგნსა (გვ. 74, №3,4) და რვეულში (გვ. 89, №8; გვ. 90).

გამოიყენეთ ნებისმიერი თვის კალენდარი და შეასრულებინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული დავალებების მსგავსი აქტივობები.

**საათზე მუშაობა.** <u>რომელი საათია?</u>

მასწავლებელი პირველად მუშაობს განსხვავებაზე – რომელი / რამდენი: რამდენი საათია? რომელი საათია? ამისათვის მას შეუძლია, გამოიყენოს როგორც წიგნში მოცემული საათები (გვ. 69), ისე საკუთარი ან კლასში არსებული საათები (კედლის საათი, მოსწავლეების საათები).

რამდენი საათია კლასში? – ითვლიან და ასახელებენ.
რომელი საათია? – აკვირდება საათს და ასახელებს დროს.

საათის ცნობა, ზოგადად, ამ ასაკი ბავშვებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, საუბარია ქართულად გადმოცემაზე.

რა უნდა გავითვალისწინოთ?

1. <u>ზუსტ დროსთან</u> დაკავშირებით ერთდერთ განსხვავებას გვაძლევს **პირველი**. მასწავლებელი აკეთებს თვალსაჩინოებას დაფაზე:

ერთი → პირველი საათია
ორი → ორი საათია
სამი → სამი საათია და ა.შ.

2. ნახევართან დაკავშირებით, მოსწავლეებს ყურადღება უნდა მივაქცევინოთ ფორმაზე:

პირველი საათია → პირველ-**ის** ნახევარია
ორი საათია → ორ-**ის** ნახევარია
სამი საათია → სამ-**ის** ნახევარია და ა.შ.

3. დანარჩენ ორ შემთხვევაშიც აქცენტები კეთდება ფორმაზე:

პირველ-**ის** ხუთი წუთია.
პირველ-**ს** აკლია ხუთი წუთი.

4. კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი წინასწარ მოამზადებს დიდ ფორმატზე ამგვარ სქემას და ბოლოს გარკვეული დროით გამოფენს თვალსაჩინო ადგილას:

პირველ-**ი** საათია

პირველ-ს აკლია 5 წუთი.
ორ-ს აკლია 5 წუთი.
სამ-ს აკლია 5 წუთი.

და ა.შ.



პირველ-ის 5 წუთია.
ორ-ის 5 წუთია.
სამ-ის 5 წუთია.

და ა.შ.

პირველ-**ის** ნახევარია

5. ასევე სასურველია, მოსწავლეებთან ერთად გაკეთდეს ეს ცხრილიც:

| **რომელი საათია?** | **რომელ საათზე?** |
|---|---|
| ორი საათია | ორ საათზე |
| ორ-ის ნახევარია | ორ-ის ნახევარზე |
| ორ-ის ხუთი წუთია | ორ-ის ხუთ წუთზე |
| ორ-ს აკლია ხუთი წუთი | ორ-ს რომ აკლია ხუთი წუთი |

სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 75-77)
- რვეულში - გვ. 97-101

**კომუნიკაციური სიტუაციები:**

გაათამაშებინეთ დიალოგები ნაცნობ თემებზე – მაგალითად, სკოლის გარშემო: რომელ საგნებს სწავლობს? რამდენი გაკვეთილი აქვს დღეში? რომელი საგანი უყვარს / აინტერესებს? რა ჰქვია ამა თუ იმ საგნის მასწავლებელს? როდის / რომელ საათზე აქვს ქართული, მათემატიკა? და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენოთ მოდელირების სტრატეგია და ჯერ თქვენ გაითამაშეთ ერთ-ერთ მოსწავლესთან. მხოლოდ ამის შემდეგ ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად.

ზოგადად, უნდა მოვერიდოთ გრამატიკული საკითხების კონტექსიდან მოწყვეტით მხოლოდ თეორიულ სწავლებას.

პირველ რიგში, თვალსაჩინოებების გამოყენებითა და კონკრეტული მაგალითებით გავაგებინოთ, მივახვედროთ, დავაკვირვოთ ამა თუ იმ საკითხზე, პრობლემაზე.

წესების ნაცვლად გამოვიყენოთ მყარი ენობრივი ფორმულები.

მათ გასააქტიურებლად, კონკრეტულ ენობრივ სავარჯიშოებთან ერთად, მივმართოთ ყოფით სიტუაციებსა და საინტერესო კონტექსტებს.

სქემა კომუნიკაციური სიტუაციებისათვის:




## საქმიანობა სკოლაში

ამ ქვეთავში, ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით, წამყვანი ადგილი უკავია ზმნებს. ახალი სალექსიკონო ერთეულების დამუშავების შემდეგ აუცილებელია სათანადო გავარჯიშება მათ დასამახსოვრებლად.
მიგვაჩნია, რომ მოსწავლეებს ამ ზმნების გაგება-გააზრება და დამახსოვრება არ უნდა გაუჭირდეთ იმის გამო, რომ მოსწავლეებს პირველივე გაკვეთილიდან ესმით ისინი მასწავლებლისაგან – წაიკითხე(თ), მოისმინე(თ), ნუ ლაპარაკობ(თ), ახლა ვითამაშებთ, წავიკითხავთ, მოვისმენთ, ახლა ფერიდე წაიკითხავს და ა.შ.

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკლასო ინტერაქცია მასწავლებელმა ქართულ ენაზე წარმართოს. მართალია, დასაწყისში მოსწავლეებს გაუჭირდებათ ყველაფრის გაგება, თუმცა არავერბალური ენის დახმარებით (ჟესტიკულაციით, მიმიკით და ა.შ.) მათი გაგებინება შესაძლებელია.

სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 78-79)
- რვეულში - გვ. 102-107

დავალებებისა და სავარჯიშოების შესრულების შემდეგ, დაუბრუნდით ზმნებს და მოსწავლეებთან ერთად განათავსეთ ისინი ზმნურ პოსტერზე:

1. დააკვირვეთ მოსწავლეები მოცემული ზმნების პირველი პირის ფორმებზე (ვუსმენ, ვუყურებ და ა.შ.) და მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ, რომელი ტიპის ზმნურ პოსტერზე უნდა განათავსოთ ისინი.

2. მეორე ტიპის პოსტერი, შესაბამისად, შეავსეთ მათთვის უკვე ნასწავლი ზმნებით – მიყვარს / მაინტერესებს.

3. ამგვარი მუშაობისას, ცხადია, მიმართავთ თურქულ ენას.

**ცოდნისა და უნარების შემოწმება.** სრულდება მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

# მეხუთე თემა – „ქალაქში“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

| | |
|---|---|
| **ძირითადი მიზნები** | • ახალი ლექსიკის ათვისება;<br>• მინიდიალოგების გათამაშება;<br>• ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით;<br>• ქალაქის / ქუჩის აღწერა;<br>• საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;<br>• სივრცეში ორიენტაცია (მიუთითებს, სად არის და ა.შ.);<br>• ინტერაქცია ტრანსპორტის სახეობებზე; საკუთარი ქალაისა და ქუჩის შესახებ<br>• ინტერაქცია მაღაზიაში;<br>• უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა;<br>• მოკლე აღწერითი ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით;<br>• მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. |
| **ძირითადი ლექსიკა** | ტრანსპორტის სახეობა<br>ტანსაცმელი / ფეხსაცმელი<br>ადამიანის სხეულის ნაწილები<br>საყოფაცხოვრებო ნივთები<br>ხილი, ბოსტნეული, ჭურჭელი, ტექნიკა |
| **ძირითადი ენობრივი საკითხები**<br><br>**ფორმულები კონსტრუქციები** | მაქვს / მყავს ოპოზიცია<br><br>სახელის მრავლობითობა;<br>შედარების გამოხატვა: უფრო ... / ყველაზე ...<br>სახელობითის, მიცემითისა ნათესაობითის კონკრეტული ფუნქციები<br>ადგილის მითითება: ...-ის + წი,, უკან, გვერდით; ...-ზე / ...-ში / ...-თან<br><br>ზმნები: ჩაცმა, დახურვა, გაკეთება აწმყოში;<br>თავისებური ზმნა: დევს – აწყვია. |

**წამყვან გვერდზე მუშაობა** მიმდინარეობს იმავე პრინციპით, რომელზედაც უკვე ვისაუბრეთ. მოსწავლეები საუბრობენ ახალი თემის შინაარსზე.

## ტრანსპორტი. ქალაქის ქუჩები

მუშავდება ლექსიკა მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ახალ ლექსიკაზე იმუშავეთ ზოგადი მითითებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

**რეკომენდაცია:** სალექსიკონო ერთეულებზე მუშაობისას, მიეცით საშუალება მოსწავლეებს, თავად შეასრულონ ლექსიკური დავალებები. თქვენ ჩაერიეთ შესრულებული დავალების დასაზუსტებლად და აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში.

**ძალიან მნიშვნელოვანია**, რომ მასწავლებელმა მზამზარეულად არ უთარგნოს მოსწავლეებს მათთვის უცნობი სიტყვები. პირველ რიგში, უნდა ვაცადოთ, თავად ამოიცნონ ისინი კონტექსტის მიხედვით; შესაძლებელია, დავეხმაროთ მინიშნებებითაც. ვასწავლოთ, როგორ მოძებნონ ის სიტყვა ლექსიკონში.

სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 83)
- რვეულში - გვ. 108-109

**ენობრივ საკითხებზე დაკვირვება.** მაქვს / მყავს

**შენიშვნა:** ვინაიდან თურქულ ენაში ასეთი განსხვავება არ არსებობს, ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა საკმარისი დრო დაუთმოს ამ საკითხის გაგება-გააზრებასა და შემდგომ მასზე ვარჯიშს.

1. მუშავდება წიგნში მოცემული ბლოკი. ხდება დაკვირვება შესაბამის ლექსიკაზე – რა შემთხვევაში ვამბობთ „**მაქვს**“ და რა შემთხვევაში – „**მყავს**“. გამოიკვეთება სულიერი და უსულო სახელები (გამონაკლისია ტრანსპორტი!). მასწავლებელი ამის ახსნისას იყენებს თურქულ ენას.

**მაქვს**
სახლი, ეზო, ჩანთა, სათამაშო მანქანა ...
**მყავს**
და, ძმა, მეგობარი, ველოსიპედი, მანქანა, ძაღლი, კატა ...

2. ამის შემდეგ მასწავლებელი მუშაობს ლექსიკის პოსტერზე და იქ მოცემულ სიტყვებს გადაახარისხებს **მაქვს** თუ **მყავს** ნიშნის მიხედვით:

| მაქვს | მყავს |
|---|---|
| | |

3. ამის შემდეგ მუშაობს ამ მასალაზე. უთითებს კონკრეტულ სიტყვაზე და კითხულობს: **მაქვს** თუ **მყავს**? მოსწავლეები პასუხობენ. ამ დავალების შესრულება სირთულეს არ წარმოადგენს.

4. მოცემული სიტყვების გამოყენებით, მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს თამაშს – „**გამოიცანი, რა სიტყვაა**“. ის ირჩევს ერთ-ერთ სიტყვას და აღწერს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით. გთავაზობთ ნიმუშებს:

   ა. ***თმა:*** *აქვს ბიჭსაც და გოგოსაც. არის სხვადასხვა ფერის. არის გრძელიც და მოკლეც (თუ გაუჭირდებათ გამოცნობა, მასწავლებელი მისცემს მინიშნებას: ეს გვაქვს თავზე და მიუთითებს).*
   ბ. ***ბანანი:*** *ყვითელი ფერის ხილია. უყვარს მაიმუნს. უყვართ დიდებსაც და პატარებსაც. მეც მიყვარს.*
   გ. ***მაიმუნი:*** *გარეული ცხოველია. უყვარს ბანანი. ცხოვრობს აფრიკაში. გვყავს ზოოპარკში. აქვს გრძელი კუდი.*
   დ. ***მანქანა:*** *არის სხვადასხვა ფერის. ადამიანები ამით დადიან ქალაქში. მე მყავს წითელი ფერის.*
   ე. ***ბებია:*** *ის ჰყავს ბევრს. მეც მყავს. ის ცხოვრობს ჩვენთან. მას ჰქვია ლალი. არის მოხუცი. აქვს თეთრი თმა. არის სათვალიანი.*
   ვ. და ა.შ.

5. ამის შემდეგ მოსწავლეები თამაშობენ.

6. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები გაითამაშებენ დიალოგებს (მოდელირებისათვის, პირველ დიალოგს მასწავლებელი გაითამაშებს ერთ-ერთ მოსწავლესთან ერთად), მაგალითად, გთავაზობთ შეკითხვებს დიალოგებისათვის:

   – *ლალე, გყავს ძმა?*
   – *რა ჰქვია შენს ძმას?*
   – *კიდევ ვინ გყავს ოჯახში?*
   – *შენს ძმას ჰყავს ველოსიპედი?*
   – *კიდევ რა გყავთ ოჯახში?*
   – *ძაღლი გყავთ?*
   – *როგორია შენი ძმა?*
   – *გრძელი თმა აქვს?* და ა.შ.

7. მასწავლებელი სვამს ფრონტალურ შეკითხვებს კლასში: *ვის ჰყავს სახლში ძაღლი / კატა? ვის ჰყავს მანქანა / ველოსიპედი? ვის ჰყავს წითელი ფერის / დიდი ... მანქანა?* და ა.შ.
8. მოსწავლეები თავად უსვამენ მსგავს შეკითხვებს ერთმანეთს და პასუხობენ.

ამგვარი გავარჯიშების შემდეგ გადავდივართ წიგნსა და რვეულზე და ვასრულებთ იქ მოცემულ დავალებებს.

- წიგნში (გვ. 84)
- რვეულში - გვ. 110 №1

**ენობრივ საკითხზე დაკვირვება:** უფრო ... / ყველაზე ...

წიგნში მოცემული აქტივობების შემდეგ (გვ. 84-85) სრულდება სავარჯიშოები რვეულშიც ( გვ. 110 №2,3,4; გვ. 111-112

**ნაკლული ტექსტის შევსება** (წიგნი, გვ. 86-87).

1. პირველ რიგში, მუშავდება 86-ე გვერდზე მოცემული ფოტოები და სრულდება შესაბამისი სავარჯიშოები (№1,2).
2. <u>დავალების შესრულებამდე,</u> სასურველია, მოსწავლეებს შევთავაზოთ წინმსწრები აქტივობა: დაფაზე ჩამოვწერთ ჩასასმელ სიტყვებს და შემდეგ მოსწავლეებთან ერთად მივუწერთ შესაბამის შეკითხვებს:

| | | |
|---|---|---|
| ქალაქის | → | რის? |
| ჩემი | → | ვისი? |
| ქალაქში | → | სად? |
| ამ | → | რომელ? |
| ქალაქია | → | რა არის? |
| მე | → | ვინ? |

3. ამის შემდეგ ამ სიტყვების გამოყენებით მოსწავლეებთან ერთად ამბობს მარტივ წინადადებებს ან კონკრეტულ სიტყვათშეხამებებს (შესაძლებელია, ინსტრუქცია კარგად ავუხსნათ მათ თურქულ ენაზე, რათა აქტიურად ჩაერთონ ამ აქტივობის შესრულებისას). მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს სათანადო კითხვებით:

ქუჩები (რის?) ქალაქის
ქალაქი (ვისი?) ჩემი
ვცხოვრობ (სად?) ქალაქში.
ვცხოვრობ (რომელ?) ამ ქალაქში.
ეს ჩემი ქალაქია.
მე აქ ქალაქში ვცხოვრობ. და ა.შ.

4. ამის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ მითითებულ დავალებას.

ბოლოს სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 87 № 4,5,6,7,8.)
- რვეულში - გვ 113-116

მოცემულ ქვეთემაში (**„ადგილმდებარეობის მითითება“**) რამდენიმე ენობრივი საკითხი მუშავდება – ადგილმდებარეობის მითითება შესაბამისი მარკერების გამოყენებით (ადგილის ზმნიზედებით – წინ, უკან, გვერდით; შესაბამისი თანდებულებით – ში, ზე, თან), ვდგავარ/ვზივარ ზმნების წარმოება ახლანდელ დროში და სივრცეში ორიენტირებისათვის **მი**დის/**მო**დის/**გადა**დის ზმნები.

ამ საკითხებზე სამუშაო რვეულში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ემსახურება წიგნში მოცემული ამ ენობრივი (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) საკითხების გავარჯიშებას.
გთავაზობთ ამ ენობრივი საკითხების გარშემო რეკომენდაციებს, რომლებიც დაგეხმარებათ მათ დამუშავებაში.

**ენობრივ საკითხზე დაკვირვება**. <u>სივრცეში ორიენტირება:</u> წინ / უკან / გვერდით

სურათის აღწერამდე (წიგნი, გვ. 88) და სხვა დავალებების შესრულებამდე, მასწავლებელი ასრულებს წინმსწრებ აქტივობებს:

1. გამოჰყავს სამი მოსწავლე და ერთმანეთის უკან სიმაღლის მიხედვით აყენებს, რომ კარგად ჩანდეს სამივე. ჯერ თავად ამბობს, ვინ სად დგას და თან მიუთითებს: *არჩილი დგას დილას წინ, დილა დგას არჩილის უკან* და ა.შ.

2. შემდეგ სვამს შეკითხებს და ეხმარება მოსწავლეებს პასუხების გაცემისას. შეკითხვის დასმისას მიუთითებს სათანადო ჟესტიკულაციითაც: *სად დგას არჩილი? – არჩილი დგას დილას წინ. სად დგას დილა? – არჩილის უკან. ვინ დგას დილას უკან?* და ა.შ.

3. შემდეგ ერთმანეთის გვერდით დააყენებს მათ და იმავე პრინციპით ახსნის, რას ნიშნავს „გვერდით“: ვინ დგას დილას გვერდით? ვის გვერდით დგას არჩილი? და ა.შ.

4. სვამს მსგავს ფრონტალურ შეკითხვებს კლასში: ვინ ზის ფერიდეს წინ? უკან? გვერდით? და ა.შ. მოსწავლეები პასუხობენ.

5. ამბობს ვინ სად ზის/დგას და მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა.

6. ამბობს შეცდომით და მოსწავლეებმა უნდა გაასწორონ.

დაკვირვებისა და გავრჯიშების შემდეგ სრულდება დავალებები

- წიგნში (გვ. 88-91)
- რვეულში - გვ. 117-120

წინ / უკან / გვერდით გასააქტიურებლად შესაძლებელია, გავახსენოთ წინა თემები და ვასაუბროთ, მაგალითად – ჩემი სახლი და ჩემი სკოლა (სკოლის სქემა იხ., ზემოთ. აქ გთავაზობთ სქემას – ჩემი სახლი):

**<u>ახალ ზმნებზე მუშაობა</u>** (წიგნი, გვ. 86-87): დგომა (ვდგავარ) / ჯდომა (ვზივარ)

წიგნის ილუსტრაციებზე დაკვირვებისა და პირველი დავალების შესრულების შემდეგ მუშავდება გრამატიკული ბლოკები წიგნის 92-ე გვერდზე.

სასურველია, ჯერ მხოლობითის ფორმებზე მოხდეს დაკვირვება. ყურადღება მოსწავლეებს უნდა მივაქცევინოთ წარმოების საერთო წესზე – ვდგა**ვარ** / ვზი**ვარ.** იქვე იმასაც ვახსენებთ, რომ ვარ ცალკე ზმნაა.

ცალკე ყურადღება უნდა დაეთმოს **ჯდომა** ზმნის მრავლობითის ფორმებს – ვსხედ**ვართ**, სხედ**ხ-ართ**, სხედან. აქაც მიეთითება საერთო ნაწილი. თურქულ ენაზე ვუხსნით მოსწავლეებს, რომ ეს ზმნა თავისებურია და თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ვკითხულობთ ამ ფორმებს, მოსწავლეები აკვირდებიან.

| | |
|---|---|
| **მე** ვზივარ | **ჩვენ** ვსხედვართ |
| **შენ** ზიხარ | **თქვენ** სხედხართ |
| **ის** ზის | **ისინი** სხედან |

**კარგი იქნება,** თუკი მასწავლებელი პარალელს გაავლებს თურქულ ენასთან – არის თუ არა თურქულში თავისებური ზმნები, თავად როგორია ეს ზმნა და ა.შ. (ამ შემთხვევაში, სასურველია, მაწავლებელმა ერთგვარი კონსულტაცია გაიაროს წინასწარ თურქული ენის მასწავლებელთან). ზოგადად, მსგავსი ენობრივი შედარებები ძალიან ეხმარება მოსწავლეებს მათთვის უცნობ ენობრივ სისტემაში გასარკვევად.

ილუსტრაციებზე (წიგნი, გვ. 92-93) დაკვირვების შემდეგ კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი დაფაზე (ან ფორმატზე) დახატავს ამგვარ ცხრილს და შეავსებს მოსწავლეებთან ერთად.

| **სად?** | **რას აკეთებს?** |
|---|---|
| ქუჩა**ში** | მიდის |
| გადასასვლელ**თან** | დგას |
| კაფე**ში** | არიან |
| სკვერ**ში** | ზის და ხატავს |
| მაგიდას**თან** | სხედან |
| სკამ**ზე** | ზის |

**ენობრივ საკითხებზე დაკვირვება**. სივრცეში ორიენტაცია

1. იქით / აქეთ
2. **მი**დის / **მო**დის / **გადა**დის

ამ ეტაპისთვის შეგნებულად არ ვსაუბრობთ ზმნისწინსა და მის ფუნქციებზე. გაგება-გააზრებისათვის საკმარისად მიგვაჩნია წიგნში მოცემული ილუსტრაციები (გვ. 90). გავარჯიშებისათვის იხ. სავარჯიშოები წიგნსა და რვეულში.

მოცემული თემის ფარგლებში გავლილი მასალის შეჯამებისათვის გთავაზობთ სქემას – ჩემი ქალაქი/სოფელი:




## ტანსაცმელი. სხეულის ნაწილები. მაღაზიები

**მუშავდება ლექსიკა** (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი) მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

**მუშავდება ზმნები** – *ჩაცმა / დახურვა / გაკეთება* შესაბამის კონტექსტებში და სრულდება შესაბამისი დავალებები

- წიგნში (გვ. 97-98)
- რვეულში - გვ. 127-132

**ინტერაქცია მაღაზიაში.**
ილუსტრაციაზე დაკვირვებით (წიგნი, გვ. 99, №6) მუშავდება შესაბამისი ლექსიკა: *გამყიდველი – ის, ვინც ყიდის; მყიდველი – ის, ვინც ყიდულობს. გამყიდველი ყიდის / მყიდველი ყიდულობს*;

მასწავლებლის შეკითხვების დახმარებით, მოსწავლეები აღწერენ სურათს: *რა მაღაზიებია? სად რომელი მაღაზიაა? რომელ მაღაზიაში რა იყიდება? სად, რომელ მაღაზიაში იყიდება ჩანთა? რომელია გამყიდველი / მყიდველი?* და ა.შ.

სრულდება დარჩენილი სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 99-101)
- რვეულში - გვ. 132-139

**ცოდნისა და უნარების შემოწმება** მიმდინარეობს აღწერილი წესითა და მითითებებით.

# დამატებითი რესურსები და სახალისო მინიპროექტები

როგორც ზემოთ ითქვა, **ინფორმაციული ბლოკები** ასევე წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათზე დაყრდნობით სხვისი ან საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი.
საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ სავარაუდო თემებს შესაბამისი შეკითხვებისა და სათანადო კლიშეებისა და ენობრივი კონსტრუქციების  გათვალისწინებით მოცემული სახელმძღვანელოს ფარგლებში:

| | **შეკითხვები** | **ენობრიივი კონსტრუქციები** |
|---|---|---|
| **ვინაობა** | რა გქვია? ვინ ხარ? | მე მქვია. . . /მე ვარ. . . |
| **ასაკი** | რამდენი წლის ხარ? | ვარ. . . . წლის |
| **საცხოვრებელი ადგილი** | სად ცხოვრობ? | ვცხოვრობ . . . -ში |
| **წარმომავლობა** | სადაური ხარ ? | ვარ ქართველი, თურქი ...<br>ვარ სტამბოლელი, ადანელი ... |
| **ოჯახური მდგომარეობა** | ვინ გყავს ოჯახში?<br>ვისთან ერთად ცხოვრობ? | მყავს. . . .<br>ვცხოვრობ . . .  თან ერთად |
| **საქმიანობა** | სად სწავლობ? რომელ კლასში სწავლობ? რომელი კლასის მოსწავლე ხარ? რომელ კლასში სწავლობს შენი და/ძმა? | ვსწავლობ . . . -ში / ვარ . . . -ის მოსწავლე;<br>ჩემი ძმა სწავლობს ... |
| **ჩემი სკოლა** | სად არის შენი სკოლა/კლასი?<br>რომელ სართულზეა შენი კლასი?<br>როგორია შენი სკოლა/კლასი?<br>რა აქვს შენს სკოლას/კლასს?... | არის ...-ის ცენტრში / ...-ის წინ, გვერდით, უკან...<br>არის დიდი / ორსართულიანი...<br>სკოლას/კლასს აქვს . . . |
| **ჩემი სახლი/ბინა** | სად არის შენი სახლი? რამდენსართულიანია?<br>მერამდენე სართულზე ცხოვრობ?<br>რამდენი ოთახი აქვს შენს სახლს? (დაასახელე ისინი)<br>სად არის . . . ოთახი?<br>როგორია შენი სახლი/ოთახები?... | არის  ...-ის წინ / გვერდით / უკან / მაღლა...<br>არის სამსართულიანი /-იანია<br>ვცხოვრობ მესამე სართულზე<br>ჩემს სახლს/ოთახს აქვს  დიდი აივანი...<br>ჩემი სახლი/ოთახი არის… |
| **ინტერესები** | რას სწავლობ? რაზე დადიხარ?<br>რომელი საგნები გიყვარს/არ გიყვარს? | დავდივარ  . . .-ზე;<br>ვსწავლობ. . .-ს;<br>მიყვარს + საწყისი (ხატვა, ცეკვა...) |
| **ჩემი გარდერობი** | რას იცვამ/არ იცვამ ხშირად, იშვიათად...<br>რომელი (როგორი) ჩასაცმელი გიყვარს/არ გიყვარს/მოგწონს/არ მოგწონს? რატომ არ გიყვარს? | ვიცვამ კაბა**ს** / შარვალს...<br>მიყვარს/არ მიყვარს . . .-ის ტარება<br>მაქვს  წითელი ფერის . . . |
| **ჩემი მეგობრები** | რა ჰქვია შენს მეგობარს?<br>როგორია ის გარეგნობით?<br>როგორი / რა ფერის  თმა / თვალები...  აქვს? ...<br>სად ცხოვრობს? ვისთან ერთად?<br>რამდენი წლისაა?...<br>სადაურია?<br>ვინ ჰყავს ოჯახში? | მას ჰქვია ...<br>არის...<br>აქვს ... ფერის ...<br>არის ... წლის<br>ცხოვრობს ...-ში / ... სართულზე / ...სთან ერთად<br>არის ...-ელი<br>ჰყავს ... |

**გავიცნოთ ერთმანეთი.**
მოსწავლეები ირჩევენ რამდენიმე კლასელს (მაგ., 3 გოგოს და 3 ბიჭს). ერთ ფურცელზე დააკრავს საკუთარ სურათს (ან დახატავს) და ასევე ხატავენ (ან დააკრავენ) შერჩეულ კლასელებს. აფორმებენ და წარადგენენ კლასის წინაშე ზეპირად (საუბრობენ მათ შესახებ, აღწერენ და ახასიათებენ მათ).

**ჩემი ოჯახი.**

ა. საკუთარი გენეალოგიური ხის გაკეთება და წარდგენა კლასში.

ბ. მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი ოჯახის წევრების ალბომს. აფორმებენ და წარადგენენ კლასის წინაშე ზეპირად.

**ჩემი კლასელები.**

ა. მოსწავლეები ხატავენ საკუთარ კლასს, მასწავლებელს და რამდენიმე კლასელს. აფორმებენ და ასევე წარადგენენ კლასის წინაშე. ზეპირად.

ბ. მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი ოჯახის წევრების ალბომს. აფორმებენ და წარადგენენ კლასის წინაშე ზეპირად.

**გაზაფხულის ბარათის შექმნა.**
(საანბანე პერიოდის დასრულების შემდეგ)
მოსწავლეები ხატავენ (მზე, ფოთოლი, ია, ღრუბელი, სოკო, ჭიამაია...), აფერადებენ, შემდეგ ამოჭრიან და თეთრ ქაღალდზე ქმნიან კომპოზიციას (შესაძლებელია, ეს კომპოზიცია გაკეთდეს ხატვის მასწავლებელთან ერთად). შემდეგ აფორმებენ, აწერენ საკუთარ სახელს და წარადგენენ კლასის წინაშე.

**ჩემი ლექსიკონი**

- ✓ ნახატებით
- ✓ თემატურად
- ✓ ანბანურად...

**მინიინტერვიუების მოწყობა**
რა გქვია, რამდენი წლის ხარ, რა გიყვარს, რა არ გიყვარს, ვინ გყავს / რა გყავს, რომელ საათზე რას აკეთებ...

**ჩემი გამოფენა**

ა. ჯგუფები მოაწყობენ თავიანთი ნახატების ან ნაკეთობების გამოფენას (ნახატები უნდა ეხებოდეს სახელმძღვანელოს თემატიკასა და ლექსიკას). ჯერ თავად წარადგენენ საკუთარ ნაშრომებს (აღწერენ...), საუბრობენ სხვა ჯგუფების ნამუშევრებზეც. შესაძლებელია, მოამზადონ პატარ-პატარა ინტერვიუები ერთმანეთთან და ა.შ.

ბ. ბავშვობისდროინდელი ფოტოების, ნახატების, სათამაშოების ... გამოყენებით "პერსონალური გამოფენების" მოწყობა და წარდგენა კლასში.

**ჩემი გაკვეთილების ცხრილი**
მოსწავლეები ადგენენ სასურველი გაკვეთილების ცხრილს და აფორმებენ ნახატებით. ადარებენ ერთმანეთისას, ასახელებენ მსგავსება-განსხვავებას. შესაძლებელია, შევთავაზოთ ცხრილის შედგენა სხვა კრიტერიუმითაც, მაგ., ყველაზე ცუდი ცხრილი, ყველაზე სასაცილო და ა.შ.

**თამაშები (სივრცეში საორიენტაციოდ):**

- ✓ თვალდახუჭული ორიენტირება კლასში მასწავლებლის ან კლასელის ინსტრუქციის მიხედვით.

**ხატვა ინსტრუქციით**

სახლის უკან დგას ბიჭი. სახლის წინ დგას გოგონა. სახლის გვერდით არის ძაღლი. ძაღლის უკან არის ხე. ზემოთ არის ღრუბელი. ღრუბლის ქვემოთ არის მზე და სხვა.

**ლოტო**

<u>ცალკეული სიტყვებით წინადადებების აწყობა</u> (შესაძლებელია, შეჯიბრის მოწყობა: ვინ მეტ წინადადებას ააწყობს მოკლე დროში და სწორად)

**ალბომის გაკეთება**

ცხოველებზე / ფრინველებზე / ყვავილებზე და სხვა და წარდგენა კლასში.

**ოცნების ქალაქი** (ასევე უფრო საინტერესო და ნაყოფიერი იქნება ჯგუფებად მუშაობის შემთხვევაში)

- ✓ ხატავენ ქალაქს (შესაძლებელია, ცალკეული სურათების გამოყენებაც. ასეთ შემთხვევაში ისინი ქმნიან ერთ კომპოზიციას საკუთარი ნახატისა და სურათის გამოყენებით)
- ✓ დასრულებული პროექტების გამოფენა/ წარდგენა კლასში.
- ✓ შემდეგ მათი გამოყენება ხდება შემდგომი საჭიროებისამებრ.

მსგავსი პროექტის გაკეთება - **"ჩემი მაღაზია"**

ა. "მაღაზიების" მოწყობა კლასში და მისი ინსცენირება.

**კონკურსების** მოწყობა:

- ✓ ვინ უკეთ იმღერებს
- ✓ ვის უკეთ ახსოვს სამი დათვის ზღაპარი
- ✓ ვინ უფრო გამართულად წაიკითხავს
- ✓ ვინ უფრო სწრაფად იტყვის ენის გასატეხებს
- ✓ ვის მეტი სიტყვა ახსოვს (შესაძლებელია, სიტყვებით აოციაციური თამაშების მოწყობაც)

# მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები

მოსწავლეთა შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ სწავლის შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზე ორიენტირებასაც. ამიტომ მოსწავლის შეფასება უნდა ემსახურებოდეს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. შესაბამისად, მასწავლებელი მოსწავლეთა შეფასებისას ორიენტირებული უნდა იყოს უფრო მეტად უკეთესი შედეგების მიღწევაზე, ვიდრე უბრალოდ ცოდნის შემოწმებასა და მის ფორმალურ დაფიქსირებაზე.

შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას და, მეორე მხრივ, განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლისათვის თანაბარი პირობების შექმნას იმისათვის, რომ ყველამ შეძლოს საკუთარი შესაძლებლოებების გამოვლენა და განვითარება.

არსებობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სხვადასხვა ტიპი, რომელთაც განსხვავებული ფუნქცია და მიზანი გააჩნია. ეს არის მოსწავლეთა ცოდნის დონისა და უნარების <u>განმსაზღვრელი</u> და <u>განმავითარებელი</u> შეფასებები.

**განმსაზღვრელი შეფასება**
მისი ძირითადი დანიშნულება სწავლის შედეგების შემოწმება-შეფასებაა. განმსაზღვრელი შეფასებისას ყურადღება ექცევა არა კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს, არამედ სტანდარტით განსაზღვრულ საერთო ნორმის მოთხოვნებს.
განმსაზღვრელი შეფასების მიზნით, მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს სხვადასხვა "შემაჯამებელი" აქტივობა.

<u>შემაჯამებელი დავალებით</u> ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემის, ქვეთემის, საკითხის) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართულ ენაზე სათანადო ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

შემაჯამებელ დავალებებად შეიძლება განისაზღვროს:
- მოსმენილი ან ზეპირი ტექსტის გაგება - გააზრება;
- სხვადასხვა სახის ტექსტის შედგენა;
- როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა;
- ინტერაქცია კონკრეტული საკითხის/თემის ირგვლივ;
- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ;
- და სხვა.

დავალებას, რომელსაც მასწავლებელი შემაჯამებელი ფუნქციით გამოიყენებს, უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა, რომელიც უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით.

**განმავითარებელი შეფასება**
მისი მიზანი სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა და სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობაა. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეთა მიღწევის დონეს არა ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად.
განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი სწავლის პროცესში აკვირდება თითოეულ მოსწავლეს და შეისწავლის მათ საჭიროებებს იმისათვის, რომ თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში და, მეორე მხრივ, ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი.

განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ისეთი საშუალებები,

როგორებიცაა: *სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი დონეები* (სასურველია, რომ ისინი რანჟირებული იყოს სამი ან ოთხი პარამეტრის მიხედვით, მაგ., ოთხის შემთხვევაში გვექნება: *ძალიან სუსტი, სუსტი, საშუალო* და *კარგი;* ხოლო სამის შემთხვევაში – *ათვისებულია, ათვისების პროცესშია, ასათვისებელია* და სხვა).

ენობრივი ცოდნისა და უნარების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს მოსწავლის:

- ლექსიკური ცოდნა
- გრამატიკული ცოდნა
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები (ანუ, როგორ შეუძლია მას ამ ცოდნის კონტექსტში გამოყენება)
- გამოთქმა
- მართლწერა

კომუნიკაციური უნარების შეფასებისას კი მოწმდება:

- კითხვა-გაგება
- ხმამაღალი კითხვა
- მოსმენა-გაგება
- ზეპირი კომუნიკაცია (ინტერაქცია, გაბმული ლაპარაკი)
- წერითი კომუნიკაცია

ენობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება ხდება შემდეგი დავალებებით:

1. სხვადასხვა ტიპის <u>გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოებით</u> (მაგ., რამდენად ახერხებს მოსწავლე: *სწორი ფორმის ამოცნობას; ფორმის/კონსტრუქციის შეცვლას ნიმუშის მიხედვით; შეცდომების ამოცნობა-გასწორებას; სინონიმებისა* და *ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრებას; ნაკლულ ტექსტში სიტყვების ჩასმასა* და სხვა);
2. სხვადასხვა ტიპის <u>საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრით</u> (მაგ., *შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა, ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით* და სხვა);
3. სხვადასხვა ტიპის <u>ზეპირი აქტივობის შესრულებით</u> როგორც დამოუკიდებლად, ისე მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად (მაგ., *დიალოგის გათამაშება მეწყვილესთან ერთად; მინიინტერვიუები; აღწერა-დახასიათება; საკუთარი თავის ან სხვის შესახებ საუბარი; თანაკლასელების გამოკითხვის გზით კონკრეტული კითხვარების შევსება* და *შემდეგ ამ კითხვარებზე დაყრდნობით ინფორმაციის გადაცემა* და სხვა);

**<u>წერითი და ზეპირი</u>** <u>შემაჯამებელი</u> დავალებებისათვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს:

- პირობასთან შესაბამისობა (იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს);
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (მაგ., გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; საუბრობს გარკვევით; აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას და ა.შ.)
- ენობრივი უნარ-ჩვევები (სწორად იყენებს ნასწავლ ზმნებს; ადეკვატურად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებსა და შესაბამის ენობრივ ფორმებს; იყენებს ნასწავლ ლექსიკას და ა.შ.);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევები (იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით; არ უფრთხის შეცდომებს და ა.შ.).

**ხმამაღალი კითხვისთვის** მნიშვნელოვანია, შემოწმდეს: კითხულობს თუ არა:

- უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- გარკვევით და მკაფიოდ;
- გამომსახველობით – შესაბამისი ინტონაციით, სასვენ ნიშნების მართებული გამოყენებით და ა.შ.

**ჩუმი კითხვისთვის** მნიშვნელოვანია, რამდენად შეუძლია მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა.

გთავაზობთ კონკრეტული შეფასების სქემებს, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს, რა შემთხვევაში, როდის და როგორ შექმნას მან მსგავსი სქემები.

**ნიმუში 1:** (თემის დასრულების შემდეგ)

| **პირველი თემა (ანბანი)** | ათვისებულია | ათვისების პროცესშია | ასათვისებელია |
|---|---|---|---|
| **კითხვა** | | | |
| ასოების ცნობა და გახმოვანება | | | |
| კითხვის მოქნილობა (სავარჯიშო ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა) | | | |
| კითხვა-გაგება (სიტყვების, წინადადებების დაკავშირება შესაბამის სურათთან) | | | |
| **წერა** | | | |
| ოთხხაზოვან სისტემაში ასოს ჩაწერის წესების დაცვა (განლაგება, ზომა და მიმართულება) | | | |
| სიტყვების სწორად გამოწერა | | | |
| ცალკეული სიტყვებისა და წინადადებების გადაწერა | | | |
| **ლექსიკა** | | | |
| ძირითადი ფერები (რა ფერისაა?) | | | |
| თვლა 1-დან 10-მდე (რამდენია?) | | | |
| მცენარეები | | | |
| ცხოველები | | | |
| ნივთები | | | |
| ბუნების მოვლენები (მზე, ცისარტყელა, ღრუბელი) | | | |
| **კითხვებზე პასუხი** | | | |
| ვინ არის? | | | |
| რა ჰქვია? | | | |
| როგორია? – დიდი, პატარა, გამხდარი, მსუქანი... | | | |

მოსწავლეთა შესაფასებლად მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს ის ტიპური სავარჯიშოები, რომელთაც ის სასწავლო პროცესში იყენებდა.

**ნიმუში 2:** (ზეპირმეტყველების შეფასების სქემა – მონოლოგური საუბარი: <u>დავალება:</u> მოსწავლემ უნდა ისაუბროს წიგნში მოცემული სურათის შესახებ; **მესამე თემა (**ჩემი სახლი); გვ. 53, №6)

**ქულები:** 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

| | ქულები |
|---|---|
| პირობასთან შესაბამისობა | |
| • აღწერს, როგორია სახლი (*რამდენსართულიანია, რა აქვს? რა ხდება პირველ, მეორე, მესამე* და *მეოთხე სართულებზე*);<br>• ასახელებს და აღწერს ადამიანებს (*ვინ არის, რომელ სართულზე ცხოვრობს, როგორია გარეგნულად*);<br>• წარმოსახვით საუბრობს ამ ადამიანების შესახებ (*რა ჰქვიათ, რამდენი წლისანი არიან, ვინ ჰყავთ ოჯახში, სადაურები არიან* და ა.შ.). | 0 — 1 — 2 |
| კომუნიკაციური უნარ-ჩვევები | |
| • გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას;<br>• საუბრობს სწორად და გარკვევით;<br>• აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას. | 0 — 1 — 2 |
| ენობრივი უნარ-ჩვევები | |
| • სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს;<br>• სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს;<br>• იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას. | 0 — 1 — 2 |
| შემოქმედებითი უნარ-ჩვევები | |
| • იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით (*ნასწავლი ლექსიკის ფარგლებში ხმარობს სინონიმებსა და ანტონიმებს; არ ერიდება შედარებით რთული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენებას*);<br>• არ უფრთხის შეცდომებს. | 0 — 1 |

**ნიმუში 3:** (ზეპირმეტყველების შეფასების სქემა – ინტერაქცია (დიალოგური საუბარი): <u>დავალება:</u> ერთმა მოსწავლემ მეორეს უნდა გააცნოს თავისი მეგობარი; **მეორე თემა, გავიცნოთ**).

**ქულები:** 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

| | I მონაწილე | II მონაწილე |
|---|---|---|
| შეფასების კრიტერიუმები | | |
| • სათანადოდ რეაგირებს კითხვა-პასუხზე (0 — 1 — 2) | | |
| • რეპლიკები გასაგებია (0 — 1 — 2) | | |
| • საუბრობს გარკვევით და ხმამღლა (ინტონაცია, ხმის ტონი, მიმიკა-ჟესტიკულაცია) (0 — 1 — 2) | | |
| • იყენებს შესაბამის ფორმულებს (0 — 1) | | |
| • სწორად იყენებს ნასწავლ გრამატიკულ საკითხებს (კუთვილებითობისა და სადაურობის გამოხატვა; აქვს/ჰყავს ზმნებს, ნაცვალსახელებს) (0 — 1 — 2) | | |
| • ავლენს ფანტაზიას, ენობრივ გაბედულობას (0 — 1) | | |

**ნიმუში 4:** (წერითმეტყველების შეფასების სქემა; <u>დავალება:</u> მოსწავლემ უნდა დაწეროს საკუთარი ქალაქის/სოფლის შესახებ; **მეხუთე თემა (ქალაქში)**; რვეულში – გვ. 116, №3)

**ქულები:** 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

| | ქულები |
|---|---|
| პირობასთან შესაბამისობა | |
| • ასახელებს, სად ცხოვრობს და რა ჰქვია; რომელი ტრანსპორტი დადის იქ; რა არის ქალაქში/სოფელში;<br>• აღწერს როგორი ქალაქია/სოფელია; როგორი ქუჩები და სახლებია იქ;<br>• ასახელებს, სად ცხოვრობს იქ, როგორ უბანში/ქუჩაზე, როგორ სახლში. | 0 — 1 — 2 |
| კომუნიკაციური უნარ-ჩვევები | |
| • გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას;<br>• აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას. | 0 — 1 — 2 |
| ენობრივი უნარ-ჩვევები | |
| • სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს;<br>• სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს;<br>• იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას. | 0 — 1 — 2 |
| შემოქმედებითი უნარ-ჩვევები | |
| • იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით (*ნასწავლი ლექსიკის ფარგლებში ხმარობს სინონიმებსა და ანტონიმებს; არ ერიდება შედარებით რთული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენებას*); | 0 — 1 |

მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩასართავად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების რუბრიკის შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობას. ურთიერთთანამშრომლობის გარდა, ამ პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებსაც.

თვითშეფასების დროს მოსწავლე თავად აფასებს საკუთარ მიღწევებსა თუ წარუმატებლობას. ინიშნავს, რა ვერ გაიგო, რის განმარტებას საჭიროებს, რა შემთხვევაში შეასრულებს დავალებას სრულყოფილად, რა ინფორმაცია უნდა მოიძიოს და სხვა. თვითშეფასება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თვალი ადევნონ საკუთარ განვითარებასა და პროგრესს. გარდა იმისა, რომ სახელმძღვანელო ყოველი თემის გასრულების შემდეგ მოსწავლეს თვითშეფასების საშუალებას აძლევს, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თემის მსვლელობისასაც უზრუნველყოს ეს.

სასურველია, რომ თვითშეფასების წინ მასწავლებელმა ურთიერთშეფასებასა (*როცა მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს*) და თანაშეფასებას (*მოსწავლე და მასწავლებელი*) მიმართოს. ურთიერთთანამშრომლობის გარდა, პირველ რიგში, ეს ეხმარება მოსწავლეს გვერდიდან შეხედოს საკუთარ თავს, მაქსიმალურად გამორიცხოს სუბიექტურობა, დაინახოს ის, რაც, შესაძლოა, მან თავად ვერ შეამჩნია და ა.შ.

შეფასების დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად უნდა განიხილონ შესრულებული სამუშაო, მიღებული შედეგები და განსაზღვრონ, რა გამოუვიდათ კარგად, რისი გაკეთება სჯობდა სხვაგვარად, რაში გამოვლინდა მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და რა უნდა გააუმჯობესონ.

ცალკე გვინდა შევეხოთ მასწავლებლის **დაკვირვების ფურცლებს**.

დაკვირვების ფურცლების გამოყენება ძალიან ეფექტურია, მით უფრო ზეპირი აქტივობებისათვის (იქნება ეს მარტივი ინტერაქცია თუ როლური თამაშები). შესაძლებელია, მასწავლებელმა ერთი აქტივობის ფარგლებში რამდენიმე დაკვირვების ფურცელი გამოიყენოს (ასეთ შემთხვევაში, ისინი სხვადასხვა უნარებს უნდა ამოწმებდეს). გთავაზობთ ორიოდე ნიმუშს:

<u>დაკვირვების ფურცელი 1</u>. (როლური თამაშისთვის)

| | **I წყვილი** | **II წყვილი** | **III წყვილი** |
|---|---|---|---|
| **საუბარი:**<br>1. საუბრობენ გარკვევით<br>2. საუბარი რთული გასაგებია<br>3. საუბრობენ გაურკვევლად | | | |
| **ექსპრესიულად თამაშობენ როლს.**<br>კი / არა | | | |

დაკვირვების ფურცელი 2. (გრამატიკული შეცდომებისათვის)

| | I წყვილი | II წყვილი | III წყვილი |
|---|---|---|---|
| **შეცდომაა:** | 1. ----------<br>2. ----------<br>3. ---------- | 1. ----------<br>2. ----------<br>3. ---------- | 1. ----------<br>2. ----------<br>3. ---------- |
| **უნდა იყოს:** | 1. ----------<br>2. ----------<br>3. ---------- | 1. ----------<br>2. ----------<br>3. ---------- | 1. ----------<br>2. ----------<br>3. ---------- |

# რვეულში მოცემული ზოგიერთი სავარჯიშოს პასუხები

## 1. ანბანი

### აი ია

**გვ. 9, №8. მოძებნეთ და შემოხაზეთ.** თემური თეონა მაიმუნი ია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ | ა | ი | მ | უ | ნ | ი | |
| ი | | | | | | | |
| ა | | თ | ე | ო | ნ | ა | |
| თ | ე | მ | უ | რ | ი | | |

**გვ. 11, №5. მოძებნეთ და შემოხაზეთ.** თემური ომარი მერი ია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ | | | | | | ი | ა |
| ე | თ | ე | მ | უ | რ | ი | |
| რ | | | ო | მ | ა | რ | ი |
| ი | | | | | | | |

**გვ. 19, №5. მოძებნეთ და შემოხაზეთ.** გივი ბურთი მზე ხე ზარი ფეხი სოკო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მ | ბ | | | | |
| | ზ | უ | გ | ი | ვ | ი |
| ხ | ე | რ | ს | ო | კ | ო |
| | | თ | | | | |
| | | ი | ზ | ა | რ | ი |
| ფ | ე | ხ | ი | | | |

### რიცხვები და ფერები

**გვ. 23, №6. მოძებნეთ და შემოხაზეთ.** ბანანი სოკო ხე თაგვი საათი ბურთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ს | ბ | უ | რ | თ | ი |
| ბ | ა | ნ | ა | ნ | ი | თ |
| | ა | | ს | | | ა |
| | თ | | ო | | | გ |
| | ი | | კ | | ხ | ვ |
| | | | ო | | ე | ი |

**გვ. 33, №6. მოძებნეთ და შემოხაზეთ.** ცისარტყელა ძაღლი ღრუბელი წიწილა ძროხა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ღ | რ | უ | ბ | ე | ლ | ი | | |
| | | | ძ | | | | | | |
| ც | ი | ს | ა | რ | ტ | ყ | ე | ლ | ა |
| | | | ღ | წ | ი | წ | ი | ლ | ა |
| | | | ლ | | | | | | |
| | | | ი | | ძ | რ | ო | ხ | ა |

დიდი თეთრი გემი

**გვ. 35, №2. გაასწორეთ წინადადებები ნახატის მიხედვით.**

ა. წიწილა არის პატარა. ბ. თაგვი არის გამხდარი. გ. ბაყაყი არის მსუქანი.
დ. ჩემოდანი არის პატარა. ე. ფანქარი არის გრძელი ვ. ხე არის მაღალი

**გვ. 38, №5. შეავსეთ დიალოგში გამოტოვებული ადგილები.**

– ბაქარ, ეს რა ----------?
– ეს ჩემი ბურთია. შენ ---------- ბურთი?
– არა, მე არ ---------- ბურთი. ბურთი
---------- ომარს.

## 2. გაცნობა

გაიცანი, ეს ჩემი ...

**გვ. 39, №3. მოძებნეთ, დააკავშირეთ და გადაწერეთ.**

გაიცანი, ბ. ეს არის ფერიდე.

**გვ. 39, №4. შემოხაზეთ ყველა სწორი ვარიანტი.**

გაიცანი,
მას ჰქვია ერდალი.
ეს დილაა.
ეს არის ჩემი მეგობარი ლალე.

**გვ. 40, №5. სწორად დაალაგეთ სიტყვები წინადადებებში.**

ა. ჩემი ეს მეგობარია ბიჭი.
ბ. ჰქვია ერდალი მას.
გ. ეს მეგობარი ლალე არის ჩემი.

**გვ. 41, №6. შემოხაზეთ ყველა სწორი ვარიანტი.**

<u>ვინ არის ის გოგონა?</u>
ის ჩემი მეგობარია.
ის ორჰანის დაა.
ის თეონას მეგობარია.

**გვ. 42, №4. შეავსეთ დიალოგები და წაიკითხეთ.**

**1.**

– მე ლალეს ---------- ვარ.
– ----------?
– დილა. შენ ----------?
– ------- ფერიდე ----------.

**2.**

– ----------, ომარ?
– კარგად, შენ?
– მეც ----------.

## ჩემი ოჯახი და ნათესავები

**გვ. 54, №2. შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები სურათის მიხედვით.**

ბაიას დედა ბათუმელია. **მას** ქეთევანი ჰქვია. ქეთევანს ერთი **და** და ერთი **ძმა** ჰყავს. ბაიას ბიძა ბათუმში ცხოვრობს. მას **ნოდარი** ჰქვია. ბაიას ბიძასთან ცხოვრობენ ბაიას ბებია და **ბაბუაც**. ნოდარს ორი **შვილი** ჰყავს – ცხრამეტი წლის მურადი და თორმეტი წლის დარეჯანი. ბაიას დეიდას ერთი შვილი ჰყავს. მას ლალი **ჰქვია**. ლალი ცამეტი **წლისაა**.

**გვ. 54, №4. გამოიყენეთ ტექსტი და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.**

| | **სწორია** | **არ არის სწორი** | **არ ჩანს ტექსტში** |
|---|---|---|---|
| ბაიას ბებია და ბაბუა ბათუმლები არიან. | ✓ | | |
| ბაიას დედას ორი და-ძმა ჰყავს. | | ✓ | |
| დეიდა ქობულეთში ცხოვრობს. | | | ✓ |
| ქეთევანის ძმას ნოდარი ჰქვია. | ✓ | | |
| ბაიას დეიდას თამილა ჰქვია. | | | ✓ |
| მურადი და დარეჯანი ლალის მამიდაშვილები არიან. | | ✓ | |
| ლალი და ბაია დეიდაშვილები არიან. | ✓ | | |
| დარეჯანი და ბაია დები არიან. | | ✓ | |

**გვ.55, №5. გაასწორეთ მცდარი წინადადებები.**

ა. ბაიას დედას ერთი და-ძმა ჰყავს.
ბ. მურადი და დარეჯანი ლალის ბიძაშვილები არიან.
გ. დარეჯანი და ბაია ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან.

**გვ. 58, №2. დასვით შეკითხვები პასუხების მიხედვით და შეავსეთ დიალოგი.**

**– რა გქვია შენ?**
– მე ფერიდე მქვია.
**– სად ცხოვრობს შენი ოჯახი?**
– ჩემი ოჯახი ტრაპიზონში ცხოვრობს.
**– სადაურები არიან შენი მშობლები?**
– მამა ტრაპიზონელია, დედაჩემი ბურსელია.
**– რამდენი და-ძმა ჰყავს დედაშენს?**
– დედაჩემს ერთი ძმა და ერთი და ჰყავს.
**– რა ჰქვია ბიძაშენს და სად ცხოვრობს ის?**
– ბიძაჩემს ასლანი ჰქვია და ბურსაში ცხოვრობს.
**– რამდენი შვილი ჰყავს ბიძაშენს?**
– მას სამი შვილი ჰყავს – ორი ბიჭი და ერთი გოგო.
**– სად ცხოვრობენ შენი ბებია და ბაბუა?**
– ჩემი ბებია და ბაბუა ბურსაში ბიძაჩემთან ცხოვრობენ.
**– რა ჰქვია დეიდას?**
– დეიდას ხათუთა ჰქვია.
**– სად ცხოვრობს ის?**
– ის ადანაში ცხოვრობს.
**– რამდენი შვილი ჰყავს დეიდაშენს?**
– დეიდაჩემს ორი შვილი ჰყავს – იასემინი და ქერიმი.
**– სადაურები არიან შენი დეიდაშვილები?**
– ჩემი დეიდაშვილები ადანელები არიან.

## 3. ჩვენი სახლი

ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

**გვ.68, №2. წაიკითხეთ და მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა.**

ა. ფერიდე არის ცისფერთვალება. ის არის მაღალი და გამხადრი. აქვს მოკლე შავი თმა. ოჯახში ფერიდეს ჰყავს: დედა, მამა და ორი ძმა. დედამისს ჰქვია მელიქი, მამას – ასლანი. ფერიდეს დიდ ძმას ჰქვია მევლუდი. ის არის ცხრამეტი წლის. პატარა ძმა არის რვა წლის და ჰქვია რიზა.

ბ. ერდალს აქვს დიდეზოიანი სახლი. სახლი არის ორსართულიანი. სახლს აქვს ორი აივანი და პატარა ბაღი.

გ. ფატმას ბიძა და ბაბუა არიან წვერიანები. ბიძას აქვს მოკლე და შავი წვერი, ბაბუა არის თეთრწვერიანი. ბიძას ჰქვია ორჰანი და ცხოვრობს ადანაში. ის არის ადანელი. ბაბუას ჰქვია სეითი. ის ცხოვრობს ფატმას მამიდასთან ბურსაში. ბაბუა სეითი არის ბურსელი.

| | ფერიდე | ერდალი | ფატმა |
|---|---|---|---|
| **ის ცხოვრობს კერძო სახლში.** | | √ | |
| **მის მშობლებს სამი შვილი ჰყავთ.** | √ | | |
| **მის ბიძას ადანაში აქვს სახლი.** | | | √ |
| **ის არის შავთმიანი.** | √ | | |
| **მისი ნათესავები ბურსასა და ადანაში ცხოვრობენ.** | | | √ |
| **მას ორაივნიანი და პატარაბაღიანი სახლი აქვს.** | | √ | |

**გვ. 74, №1. მოძებნეთ და შემოხაზეთ.** სავარძელი საწოლი აბაზანა გაზქურა მაცივარი პირსაბანი კარადა სარკე თარო ტახტი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | თ | ტ | ა | ხ | ტ | ი |
| | | ა | ბ | ა | ზ | ა | ნ | ა | გ |
| ს | ა | ვ | ა | რ | ძ | ე | ლ | ი | ა |
| | ს | ა | წ | ო | ლ | ი | | | ზ |
| პ | ი | რ | ს | ა | ბ | ა | ნ | ი | ქ |
| | მ | ა | ც | ი | ვ | ა | რ | ი | უ |
| | | ს | ა | რ | კ | ე | | | რ |
| | | | | კ | ა | რ | ა | დ | ა |

**გვ. 76, №1. შეავსეთ კროსვორდი და წაიკითხეთ, რა სიტყვა წერია გამუქებულ უჯრაში.**




**გვ.80, №3. შეავსეთ მოცემულ ტექსტებში გამოტოვებული ადგილები.**

საძინებლის ოთახს ორი **ფანჯარა** აქვს. ფანჯრებზე ყვავილებიანი **ფარდები** კიდია. საძინებლის **კედლები** ვარდისფერია. კედელზე მრგვალი **საათი** კიდია.

სააბაზანოში ერთი პატარა ფანჯარაა. სააბაზანოს **კედლები** ცისფერია. **კედელზე** დიდი **სარკე** და წითელი **პირსახოცები** კიდია.

მისაღებში სამი დიდი **ფანჯარაა. ფანჯრებზე** გრძელი ყავისფერი ფარდები კიდია. თეთრ **კედლებზე** სურათები კიდია.

სამზარეულოს ერთი დიდი ფანჯარა აქვს. ფანჯარაზე მოკლე **ფარდა** კიდია. სამზარეულოს კედლებზე ჭურჭლის **თაროები,** პატარა **საათი** და სამზარეულოს **პირსახოცი** კიდი

# 4. სკოლაში

## საკლასო ოთახი. საკლასო ნივთები

**გვ. 82, №1. წაიკითხეთ და მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა.**

ეს მასწავლებელია. მას ნინო ჰქვია. ნინო მასწავლებელი სკოლაში ქართულს ასწავლის. ის ქართულის მასწავლებელია. ეს თემურია. თემური ნინო მასწავლებლის მოსწავლეა. ნინო მასწავლებელი თემურს ქართულს ასწავლის. თემური ქართულს სწავლობს.
ეს თემურის სკოლაა. თემური ამ სკოლაში სწავლობს. ნინო მასწავლებელიც ამ სკოლაში ასწავლის.

| | **ნინო** | **თემური** |
|---|---|---|
| ის არის ქართულის მასწავლებელი. | ✓ | |
| ის არის სკოლის მოსწავლე. | | ✓ |
| ის ასწავლის სკოლაში. | ✓ | |
| ის სწავლობს სკოლაში. | | ✓ |
| ის სწავლობს ქართულს. | | ✓ |
| ის ასწავლის ქართულს. | ✓ | |
| ის თემურის მასწავლებელია. | ✓ | |
| ის ნინო მასწავლებლის მოსწავლეა. | | ✓ |

## საგნები. კვირის დღეები და საათები

**გვ. 88, №1. მოძებნეთ და შემოხაზეთ.** სპორტი ქართული ინფორმატიკა  მათემატიკა ისტორია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | ხ | | |
| | | | მ | ა | თ | ე | მ | ა | ტ | ი | კ | ა | | |
| | | | | | უ | | | | ს | | | ტ | ბ | |
| | ი | ნ | ფ | ო | რ | მ | ა | ტ | ი | კ | ა | ვ | უ | |
| | | | | | ქ | | | | მ | | | ა | ნ | |
| | ქ | ა | რ | თ | უ | ლ | ი | | ღ | | | | ე | |
| | | | | | ლ | | | | ე | | | | ბ | |
| | | | | | ი | ს | პ | ო | რ | ტ | ი | | ა | |
| | | | ი | ს | ტ | ო | რ | ი | ა | | | | | |

ხატვა

სიმღერა

ბუნება

თურქული

**გვ. 97, №6. წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ თეონას გაკვეთილების ცხრილი.**

<u>თეონას გაკვეთილების ცხრილი:</u>

**ორშაბათი:** ქართული, ბუნება, მათემატიკა, ხატვა, სპორტი
**სამშაბათი:** ინგლისური, ქართული, მათემატიკა, ბუნება
**ოთხშაბათი:** ხატვა, ქართული, მათემატიკა, სპორტი
**ხუთშაბათი:** ქართული, ინგლისური, მათემატიკა, ინფორმატიკა, სიმღერა
**პარასკევი:** ისტორია, ბუნება, მათემატიკა, ქართული

**გვ. 98, №1. უპასუხეთ შეკითხვებს თეონას ცხრილის გარშემო.** <u>რომელი საგნები აქვს თეონას:</u>

- ყოველდღე? ქართული, მათემატიკა
- კვირაში ერთხელ? ინფორმატიკა, სიმღერა, ისტორია
- კვირაში ორჯერ? სპორტი, ინგლისური, ხატვა
- კვირაში სამჯერ? ბუნება

**გვ. 98, №3. წაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი წინადადებები.**

ა. ინგლისური მაქვს კვირაში ორჯერ.
გ. კვირაში ერთხელ გვაქვს ისტორია.

## 5. ქალაქში

### ტრანსპორტი. ქალაქის ქუჩები

**გვ.110, №1. შემოხაზეთ სწორი წინადადებები.**

ბ. ჩემს ძმას სათამაშო მანქანა ჰყავს.
გ. ჩემი ძმის მანქანა ძალიან ლამაზია.

გ. გყავს შენ ველოსიპედი?

**გვ. 113, №7. დააკავშირეთ ერთმანეთთან და გადაწერეთ.**

ძველი უბანი; საპორტო ქალაქი; ვიწრო ქუჩა; სწრაფი ტრანსპორტი; გადატვირთული მოძრაობა; მრავალსართულიანი სახლი

### ადგილმდებარეობის მითითება

**გვ.120, №1. სწორად გადმოწერეთ ტექსტი წიგნიდან.**

ჩემი სახლი ქალაქის ცენტრშია. სახლს თეთრი კედლები და ყავისფერი სახურავი აქვს. სახლის წინ პატარა ეზოა, სახლის უკან არის დიდი ბაღი. ბაღში მაღალი ხეები და ლამაზი ყვავილებია. სახლის გვერდით არის პატარა მაღაზია.

**გვ. 120, №4. სწორად დაალაგეთ შეკითხვები და უპასუხეთ.**

ა. რა ფერის კედლები და სახურავი აქვს თქვენს სკოლას?
ბ. აქვს თქვენს სკოლას ეზო, ბაღი, სპორტული მოედანი და საცურაო აუზი?
გ. რა არის სკოლის წინ, უკან, გვერდით?
დ. არის სკოლის ეზოში ხეები და ყვავილები?

**გვ. 123, №4. მოძებნეთ და შემოხაზეთ.** გადასასვლელი შუქნიშანი ქუჩა ტროტუარი გაჩერება მოედანი შადრევანი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შ | | | | | | | მ | | |
| | | ა | | | | | | | ო | | |
| გ | ა | დ | ა | ს | ა | ს | ვ | ლ | ე | ლ | ი |
| ა | ტ | რ | ო | ტ | უ | ა | რ | ი | დ | | |
| ჩ | | ე | შ | უ | ქ | ნ | ი | შ | ა | ნ | ი |
| ე | | ვ | | | უ | | | | ნ | | |
| რ | | ა | | | ჩ | | | | ი | | |
| ე | | ნ | | | ა | | | | | | |
| ბ | | ი | | | | | | | | | |
| ა | | | | | | | | | | | |

**გვ. 126, №1. შეავსეთ კროსვორდი და წაიკითხეთ, რა სიტყვა წერია გამუქებულ უჯრაში.**



**გვ. 128, №1. მოძებნეთ და შემოხაზეთ.**

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქ | | | პ | | შ | | | |
| თ | ა | ვ | ს | ა | ფ | ა | რ | ი | ქ |
| | მ | | | ლ | | რ | | | ე |
| | ა | | | ტ | | ვ | | | რ |
| | რ | | ბ | ო | ტ | ა | ს | ი | თ |
| | ი | | | | | ლ | | | ე |
| | | | ქ | უ | დ | ი | | | კ |
| ხ | ე | ლ | თ | ა | თ | მ | ა | ნ | ი |

## პირველი თემა (ანბანი)

**track 1.**

თ / ვ
თოვლი მღერის,
თოვლი ცეკვავს,
თოვლი მოდის,
თოვს.

ბ
ბილიკ-ბილიკ ბურტყუნებს
ბრიყვი ბელი - ბელუკა:
- ბანით ვჯობნი ბულბულებს,
ბეჭებით კი - ბერმუხას.

ზ / რ
ზარი ზანზარებს უზარმაზარი,
ზარმაც ზაზუნებს დასცა თავზარი.

მ
მელამ მოგაგნო მამალო,
მურას მოუხმე მალეო!

**track 2.**

**გ**
გუგუ - გუგუ! – გუგულმა
გულჭრელათა გვარისამ,
გამარჯობა გვისურვა,
გული გაგვიხალისა.

ფ
ფრთაფოფინა ფარშავანგი
ფანტავს ფერად ფერებსაო,
ფრინველეთის დედოფლობას
ფრიად შეიფერებსაო.

ხ
ხევ-ხევ ხერხი მოცუხცუხებს,
აცახცახებს ვერხვებს, მუხებს.

**track 3.**

ტ
ტატას ბატი ფარფატა
ტალახ-ტალახ ტანტალებს.

შ
შარიშურა შინდიანში
შტოზე შეჯდა შვიდი შაშვი

ქ
ქრის, ქრის, ქრის
ქარი სექტემბრის.

**track 4.**

ჩ
ჩირიმ-ჩირიმ-ჩირიმ,
ჩამიჩი და ჩირი.
წკირიმ-წკარუნ-წკარე,
ვაწკრიალებთ ზარებს...

ჩიკი-ჩიკი- ჩხიკი-ჩხაკ,
პაპა ჩორკნის ჩიჩილაკს,
რაკ-რაკ, ტაკ-ტუკ, რაკი-რაკ,
_ ბებო რას ჭრის? _ გოზინაყს....

ძ
ძეძვის ძირს მიძინებულმა
ძლივს გაიღვიძა ენძელამ.

ყ
აყიყინდნენ ბაყაყები,
- გადაყლაპავს ბაყბაყდევი!

**ჯ**
ჯანსულმა და ჯმუხმა ჯარჯიმ
ჯადოქარზე გაიმარჯვეს,
ჯახი-ჯუხი აღარ გააქვს
ჯოხის ხმლებს და აბჯარ-ხანჯლებს.

**track 5.**

ჟ
ჟოლოს ჟვერიდან
ჟინჟღლი ჟონავს,
ჟანგისფერ ჟირაფს
შეაჟრჟოლა.

ჭ
ჭინჭრებს შუა ჭივჭავები
ჭანჭურს ჭამენ ჭიანაჭამს,
ჭრიჭინები გაჭყეპილან,
ჭინჭილებით სვამენ მაჭარს.

ღ
ღობის თავზე ვეღარ ვხედავ
ღუდღუდელა ღოღნაშოსა.

**წ**
წვიმიანში გაწეწილი
წისქვილის წინ წუხს წიწილი,
- წია, წია! - მწარედ წივის,
წნორის წნელზე წაჰკრა წვივი.

**track 6.**

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, იძახის
და კედელზე კიდია,
დღე და ღამე ისრები
მიდიან და მიდიან.

## მეორე თემა (გაცნობა)

**track 7.**

- არის გამხდარი.
- რა ფერის თმა აქვს?
- აქვს შავი თმა. კიდევ აქვს  პატარა ცხვირი.
- გოგოა?
- არა, ბიჭია.

**track 8.**

<u>ლექსი:</u>

მზე დედაა ჩემი,
მთვარე - მამაჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

**track 9.**

<u>სიმღერა:</u>

მზე დედაა ჩემი,
მთვარე - მამაჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

## მესამე თემა (ჩვენი სახლი)

**track 10.**

- არის ულვაშიანი. აქვს გრძელი  კუდი.
- ვეშაპია?
- არა, შინაური ცხოველია. უყვარს რძე.
- კატაა.
- სწორია. კატას აქვს გრძელი კუდი და ულვაში.

**track 11.**

ფიფქია ქოხში შევიდა. იქ ყველა ნივთი პატარა იყო: შვიდი პატარა სკამი, შვიდი პატარა თეფში და კოვზი, პატარა მაგიდა...
- აქ ალბათ ბავშვები ცხოვრობენ, - იფიქრა ფიფქიამ და საძინებელ ოთახში შევიდა.
- ოო, ნამდვილად ბავშვები ცხოვრობენ, რა პატარა საწოლებია?!

## მეოთხე თემა (სკოლაში)

**track 12.**

<u>სიმღერა</u>- ჩიტო, ჩიტო, ნაცარა
- მზეო, მზეო, ცხრათვალა,
ვის უცინი, ვისა?
- შენ გიცინი, პატარა,
დილა მშვიდობისა!
- ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,
ვის უგალობ, ვისა?
- შენ გიგალობ, პატარა,
დილა მშვიდობისა!
მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან პირსა,
ყველას მივესალმები,
დილა მშვიდობისა!

**track 13.**

- ის არის მაგიდაზე და არის დიდი.
- მანქანაა?
- არ არის მანქანა. სასკოლო ნივთია.
- წიგნია?
- კი, ის არის წიგნი.

**track 14.**

- როდის გაქვს მათემატიკა?
- ორშაბათს.
- რომელ საათზე გაქვს?
- ათ საათზე.

**track 15.**

<u>პირველი დიალოგი.</u>
- რას აკეთებ?
- ვმღერი, შენ?
- მე ვკითხულობ.

<u>მეორე დიალოგი.</u>
- შენ რას აკეთებ?
- მე ვანგარიშობ, შენ?
- მე ვწერ.

## მეხუთე თემა (ქალაქში)

**track 16.**

<u>მეორე დიალოგი:</u>
- აქ რატომ დგახარ?
- იქით მინდა გადასვლა და...
- მერე აქ არის გადასასვლელი?
- არ ვიცი, სად არის გადასასვლელი...
- წამოდი, გაჩვენებ. აი, შუქნიშანს ხედავ?

<u>მესამე დიალოგი:</u>

- გამარჯობა! ექვსი ნომერი ავტობუსი აქ ჩერდება?
- კი, აქ ჩერდება. ზუსტად ახლა წავიდა ექვსი ნომერი.

<u>მეხუთე დიალოგი:</u>

- კიდევ შორს არის ჩვენი გაჩერება?
- არა, აი, მოვედით უკვე.

**track 17.**

- მოდი, მაღაზიობანა ვითამაშოთ.
- კარგი, მე გამყიდველი ვიქნები.
- არა, მე ვიქნები გამყიდველი, შენ მყიდველი იყავი.
- კარგი. ფორთოხლის წვენი გაქვთ?
- არა, ვაშლის წვენი გვაქვს.
- რა ღირს?
- 1 ლარი და 50 თეთრი.
- ორი წვენი მომეცით.
- ინებეთ.
- მადლობთ.

**track 18. ზღაპარი –** გოგონა და სამი დათვი

## გოგონა და სამი დათვი

აი, ამ ტყეში სამი დათვი ცხოვრობს - მამა დათვი, დედა დათვი და შვილი დათვი. მამა დათვი ძალიან დიდია, დედა დათვი არც ისე დიდი, შვილი დათვი კი პატარაა.

დათვებს პატარა და ლამაზი სახლი აქვთ. დათვების სახლს სამი ოთახი აქვს - სამზარეულო, საძინებელი და ერთიც დიდი ოთახი.

ეს საძინებელია. აქ დათვებს სძინავთ. ეს დიდი საწოლი მამა დათვისაა, ეს პატარა საწოლი - პატარა დათვის, ეს საწოლი კი დედა დათვისაა.

ეს სამზარეულოა. მაგიდაზე სამი ჯამი დგას. ეს დიდი ჯამი მამა დათვისაა. ეს პატარა ჯამი - შვილი დათვის, ეს კი დედა დათვის ჯამია.

ეს დიდი ოთახია. დიდ ოთახში სამი სკამია. ეს დიდი სკამი მამა დათვისაა, ეს პატარა სკამი - შვილი დათვის, ეს კი დედა დათვის სკამია.

ერთხელ ერთი პატარა გოგონა ტყეში წავიდა. მიდის გოგონა ტყეში და თან ლამაზ ყვავილებს კრეფს. გოგონამ დათვების სახლი დაინახა.

- რა ლამაზი სახლია! - ამბობს გოგონა და სახლში შედის.

დათვები სახლში არ არიან.

გოგონა სამზარეულოში შედის. ხედავს, მაგიდაზე სამი ჯამია - დიდი ჯამი, საშუალო და პატარა ჯამი. ჯამებში ფაფაა. გოგონამ შეჭამა სამივე ფაფა და დიდ ოთახში შევიდა. ხედავს, სამი სკამია - დიდი სკამი, საშუალო სკამი და პატარა სკამი. ჯერ დიდ სკამზე დაჯდა, მერე საშუალო სკამზე დაჯდა, ბოლოს პატარა სკამზე დაჯდა და... პატარა სკამი გატყდა.

გოგონა საძინებელ ოთახში შედის. ხედავს, სამი საწოლი დგას - დიდი, საშუალო და პატარა. გოგონა ჯერ დიდ საწოლზე დაწვა, შემდეგ საშუალო საწოლზე დაწვა. ბოლოს პატარა საწოლში ჩაწვა და დაიძინა.

დათვები სახლში დაბრუნდნენ.

- სად არის ჩემი ფაფა? - ამბობს მამა დათვი.
- სად არის ჩემი ფაფა? - ამბობს დედა დათვი.
- ჩემი ფაფაც არ არის! - ამბობს პატარა დათვი.
- აქ ვიღაც იყო! - ამბობს მამა დათვი.
- ვინ გატეხა ჩემი სკამი? - ტირის პატარა დათვი.

მამა დათვი, დედა დათვი და პატარა დათვი საძინებელ ოთახში შევიდნენ.

- ვინ წევს ჩემს საწოლში? - ამბობს პატარა დათვი.

ხმაურზე გოგონამ გაიღვიძა და სახლში გაიქცა.

**track 19. ქართული სპეციფიკური თანხმოვნები**

**კ** კუ, კუდი, კატა, კბილი, კლასი, კაკალი, კალამი, კალია, კოდალა, კომბოსტო. ეს კატოს კატაა.

**პ** პირი, პური, პაპა, პეპელა, პამიდორი, პინგვინი, პარასკევი

**ჟ** ჟირაფი, ჟოლო, ჟუჟუნა. ჟუჟუნა ჟორას დაა. ჩიტები ჟივჟივებენ.

**რ** რუ, რძე, რქა, რვა, რვეული, რეზო, ეს რეზოს რვეულია.

**ს** სორო, სახლი, სკოლა, საათი, სარკე, სკამი, სურათი, სტაფილო, საზამთრო

**ტ** ტბა, ტყე, ტყემალი, ტოტი, ტანი, ტანსაცმელი, ტელევიზორი, ტელეფონი

**ყ** ყუთი, ყური, ყურძენი, ყვავი, ყვავილი, ყაყაჩო, ყარყატი, ყინული. ყვავი ყრანტალებს.

**ც** ცა, ციგა, ციყვი, ცხვირი, ცხენი, ცხვარი, ცხრილი, ცისარტყელა. ცირა ციცინოს დაა. ციცინო ცაცას დედაა.

**ძ** ძმა, ძაღლი, ძროხა, ძელი, ძილი, ძალა

**წ** წვიმა, წვეთი, წიგნი, წიწილა, წრუწუნა, წითელი, წელიწადი. წრუწუნა წრუწუნებს. წიწილა წივის.

**ჭ** ჭია, ჭიანჭველა, ჭიამაია, ჭრიჭინა, კაჭკაჭი, ჭანჭური. ჭრიჭინა ჭრიჭინებს. კაჭკაჭი ჭიკჭიკებს.

**ხ** ხბო, ხე, ხელი, ხერხი, ხილი, ხალი, ხუთი, ხოჭო, ხვლიკი, ხუთშაბათი

**track 20. ჰარმონიული ბგერათკომპლექსები**

**თხ:** თხა, თხილი, თხუნელა, ოთხი, ოთხშაბათი,
**ცხ:** ცხენი, ცხვირი, ცხვარი, ცხრილი, ცხელი, ცხოველი, ცხრა, კვერცხი, ცეცხლი, მერცხალი, სავარცხელი,
**ჩხ:** ჩხირი, ფრჩხილი, ჩურჩხელა
**ფხ:** ფხა, ფხალი, ზაფხული, გაზაფხული,
**ტყ:** ტყე, ტყემალი, ტყლაპი, ბარტყი, ტყუილი
**წყ:** წყალი, წყარო, წყურვილი
**ჭყ:** ჭყივის ჭყლოპინებს ჭყუმპალაობს

**track 21. თითო ასოთი შეცვლილი სიტყვები**

**პ-ფ:** პირი/ფირი; პური/ფური; პაპა/ფაფა; ფაფა/პაპა; პაპა ფაფას ჭამს.

ქარი/ქალი; კუ/ბუ; კბილი/რბილი; რვა/ქვა; ბუზი/კუზი;
კარი/ქარი; ბარი/ბალი; სამი/სკამი; ყელი/ყველი;